ყოველთვიური ჟურნალი მეწარმეებისა და ფინანსისტებისათვის

№ 6(306) 2025

ISSN 1512-083X

გამოდის 2000 წლის იანვრიდან

აუდიტი
აღრიცხვა
ფინანსები

ინფო კონსულტანტი

ელუს

დამოუკიდებელი გამოცემა

იკითხეთ „ააფის“ ფურცლებზე – მაკა ხარაზიშვილი:
ქართველი მინისტრების ქონებრივი დეკლარაციები

ჟურნალის პარტნიორი – ბოდნისა აუდიტური კონცერნი

გამომცემელი შპს „ააფ-მენეჯმენტი“

PUBLISHER “AAF-MANAGEMENT” LTD

შინაარსი

არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ 2024 წლის პროგრამული ანგარიში 3

მარიამ აფრასიძე
საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები: ივნისი-2025 9

მაკა ხარაზიშვილი
ინტერვიუ შპს „ეფეიეს გრუპის“ (FAS Group) დამფუძნებელ ნათია სხვიტარიძესთან 14

ლევან ნატროშვილი
უცხოელებს საქართველოში მუშაობა შეეზღუდებათ 20

მაკა ხარაზიშვილი
ქართველი მინისტრების ქონებრივი დეკლარაციები 23

თემურ იობაშვილი
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იკლებს 28

თემურ იობაშვილი
სახელისუფლო წნეხი არასამთავრობო ორგანიზაციებზე 32

კითხვა–პასუხი 39

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის 43

ფრიდონ კერვალიშვილი
NATO-ს ყველა ქვეყანა სამხედრო ბიუჯეტს მისი მშპ-ის 5%-მდე გაზრდის 49

უცხოური ვალუტის კურსები 55

გენერალური დირექტორი: **ფრიდონ ალშიბაია**.

მთავარი რედაქტორი: **გიორგი ცერცვაძე,** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ სარედაქციო კოლეგია: **თემურ იობაშვილი** (მთ. რედაქტორის მოადგილე), **მარიამ აფრასიძე, ფრიდონ კერვალიშვილი** (ელექტრონული ვერსიის რედაქტორი), **მაკა ხარაზიშვილი.**

„კითხვა-პასუხის“ განხილვის საბჭო: **ფრიდონ ალშიბაია** (საბჭოს თავმჯდომარე), **ლევან ასანიძე, ნონა ბერძენიშვილი, ბექა დოღონაძე, ნიკოლოზ ედიბერიძე, ნათია უჩანეიშვილი, გოგა ფარასტაშვილი, ფარნაოზ წულაია.**

იურისტ-კონსულტანტი: **გიორგი ბოჭორიშვილი.**

გამომცემელი: შპს „ააფ-მენეჯმენტი“, რეგისტრირებულია 06.09.1999 წ. საიდენტიფიკაციო კოდი 211390074. ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

მისამართი: ქ. თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, III და IV სართული.

ტელ.: 239-33-50, 239-33-47, 239-33-69, 239-57-26.

სარეკლამო სამსახური: (599) 111-001. რეალიზაციის სამსახური: (593) 32-27-05, (597) 69-57-57.

ელ. ფოსტა: **info@aaf.ge** ვებგვერდი: **www.aaf.ge**

„ამგვარად, შევახსენებ ყველა ვაჭარს და ვურჩევ მას, ჩათვალოს სიამოვნებად წიგნების სწორი და კარგი წარმოება, ხოლო ვისაც არ აქვს ამის უნარი, მან, დაე, ისწავლოს, ანდა აიყვანოს თავისთვის ნამდვილად ყოჩაღი და პრაქტიკული ახალგაზრდა ბუღალტერი, ვინაიდან სხვაგვარად შენი საქმენი იქცევიან ქაოსად და ბაბილონის გოდოლად, რასაც შენ, თუ სახელი და ქონება შენთვის ძვირფასია, უნდა უფრთხოდე“.

ბენედეტო კოტრული, „სავაჭრო ბუღალტერიის შესახებ“. 1573 წ.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ და

„ბიზნესი და მენეჯმენტის“

მკითხველთა საყურადღებოდ!

მიმდინარეობს ჩვენი ჟურნალების 2025 წლის გამოწერის კამპანია!

12 თვით ხელმოწერის (12 „ააფი“ + 2 „ბიზნესმენი“)
ღირებულებაა 120 ლარი.

თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ მითითებულ რეკვიზიტებზე და შემდეგ დაუკავშირდეთ ჩვენს მენეჯერს, რომელიც მოგაწვდით ინვოისსა და გამოწერის დამადასტურებელ ბლანკს.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:
შპს „ააფ-მენეჯმენტი“, საიდენტიფიკაციო № 211390074,
ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

დაგვირეკეთ: 239-33-47 (რეალიზაციის სამსახური თბილისში);
(593) 32-27-05; (597) 69-57-57; (599) 11-10-01; (599) 13-72-19.

27-10-93, (595) 55-87-83 (ბათუმი); (579) 31-02-02 (ქუთაისი)

რეალიზაციის სამსახური: **ელზა ოთიაშვილი** (სამს. უფროსი), **მამუკა ელგენდარაშვილი, ნათელა ჯანიაშვილი, ბაქარ ბასილაშვილი** (ბათუმი), **ბექა დოღონაძე** (ქუთაისი).

დამკაბადონებელი: **ლადო ლომსაძე.**

საავტორო უფლებები დაცულია. სტატიების გადაბეჭდვა შესაძლებელია მხოლოდ ჟურნალის რედაქციასთან შეთანხმებით. მიღებული მასალები არ რეცენზირდება. რედაქცია შეიძლება არ ეთანხმებოდეს ავტორის აზრს. სტატიებსა და რეკლამებში განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და რეკლამის განმთავსებლები.

იურიდიული პირების განცხადებები ქვეყნდება მხოლოდ სარეკლამო საწყისებზე. ჟურნალის უფასოდ გადაცემა ხდება მხოლოდ სარეკლამო მიზნით. შპს „ააფ-მენეჯმენტი“ იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, არ გამოაქვეყნოს ზოგიერთი პირის რეკლამები ან/და განცხადებები.

ფასი – 8.75 ლარი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.07.2025 წ.

ჟურნალის ტირაჟის ნაწილი 2022 წლიდან ვრცელდება ციფრული ვერსიის სახით (ელექტრონულად).

„პირველი ნაბიჯი საქართველო“

არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაცია

2024 წლის პროგრამული ანგარიში

1. „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ საქმიანობის მოკლე აღწერა

„პირველი ნაბიჯი საქართველო“ წარმოადგენს რეგისტრირებულ საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელიც დაარსდა 1998 წელს. ორგანიზაცია ახორციელებს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და ფსიქო-სოციალურ პროგრამებს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის. მათ შორის ემსახურება მძიმე და ღრმა გონებრივი შეფერხების და ქცევითი აშლის მქონე ბავშვებს და ახალგაზრდებს.

2024 წლის განმავლობაში „პირველი ნაბიჯი საქართველო“ ახორციელებდა შემდეგი სახის ძირითად პროგრამებს:

კონსულტაციის და თერაპიის ცენტრი – ემსახურება განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებს და მათ ოჯახებს. ცენტრში ხორციელდება ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობა, სადაც მომსახურების ფოკუსი ბავშვი, ოჯახი და მისი უახლოესი გარემოცვაა. ცენტრი დაფუძნებულია ბავშვის განვითარების ბიო-ფსიქო-სოციალურ მოდელზე. განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებს ემსახურებიან სპეციალისტები როგორ ბინაზე, ისე საბავშვო ბაღში და სხვა ბავშვისთვის ბუნებრივ გარემოში.

1. ადრეული განვითარების პროგრამა
2. აუტიზმის პროგრამა
3. დირ/ფლორთაიმი
4. დენვერის მეთოდი
5. სენსორული თერაპია
6. მეტყველების თერაპია
7. აკადემიური უნარები
8. კვების დარღვევების თერაპია
9. ჯგუფური თერაპია
10. ფსიქოთერაპია
11. ქცევითი თერაპია
12. ალტერნატიული კომუნიკაცია

„პირველი ნაბიჯი საქართველოს“ რუსთავის და ისნის ფილიალებში ხორციელდება ყველა პროგრამა დღის ცენტრის გარდა.

მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის და ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვთა ცენტრი – სამიზნე ჯგუფი წარმოდგენილია 6-დან 18 წლამდე ასაკის მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე, ასევე ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობით გამოხატული სხვა გონებრივი ჩამორჩენის მქონე შშმ სტატუსის ბავშვებით და ახალგაზრდებით. მათი ოჯახების უმეტესობა სოციალურად დაუცველია.

1. სპეციალიზებული დღის ცენტრი
2. ბინაზე მოვლა
3. ინდივიდუალური მზრუნველი ქცევითი დარღვევის მქონე ბავშვებისთვის ყოველდღიური ცხოვრების უნარების განვითარების პროგრამა
4. კულინარიული თერაპია
5. სპორტული წრე

დღის ცენტრის მიზანია ბავშვების და მოზარდების ღირსეული, მრავალფეროვანი ცხოვრების უზრუნველყოფა, ფუნქციური უნარების განვითარება, დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაზრდა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ბინაზე მოვლა ემსახურება ბავშვებს რომლებიც სამედიცინო პრობლემების გამო ვერ გადიან გარეთ და საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას.

2024 წლის განმავლობაში „პირველი ნაბიჯი“ ყოველ თვეში ემსახურებოდა 850-ზე მეტ ბავშვს, აქედან მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის 34 ბავშვს და მოზარდს.

ბენეფიციარების 31% არის გოგო, 69% ბიჭი.

ბენეფიციართა 30% სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არიან.

„პირველი ნაბიჯი საქართველოს“ სამედიცინო მომსახურება

მიზნად ისახავს, ორგანიზაციის ყველა პროგრამაში ჩასართავი აღსაზრდელების ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას და მათ შემდგომი მონიტორინგს, ასევე ყველა დაინტერესებული პაციენტის ნევროლოგიურ და თერაპიულ გასინჯვას 0-დან 17 წლამდე.

სამედიცინო მომსახურების ფარგლებში, ბენეფიციარს მიეწოდება სამედიცინო კონსულტაცია, რომელიც მოიცავს:

✓ პირველად თუ პერიოდულად წარმოშობილი დაავადებების კონტროლს;

✓ დიაგნოზის დასმას, კვლევას, დანიშნულების მიცემას;
✓ საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციას ვიწრო სპეციალისტთან.

2024 წელს, ორგანიზაციამ „პირველი ნაბიჯი საქართველო" განახორციელა შემდეგი პროექტები:

1. სლოვაკეთის საელჩო – რუსთავის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მომსახურების გაუმჯობესება – 10.000 ევრო – მიმდინარე;

2. ქალთა საერთაშორისო ასოციაცია (IWA) – კომუნიკაციის სირთულეების მქონე ბავშვებისთვის მაღალტექნოლოგიური ალტერნატიული საკომუნიკაციო საშუალებებით უზრუნველყოფა – 3000 ლარი – მიმდინარე;

3. ევროკავშირი საქართველოსთვის CENN – არასამთავრობო ორგანიზაცია „ზრუნვა" პროექტი – მიეცით უფლება – „პირველი ნაბიჯი საქართველო" – თანაგანმცხადებელი – 5000 ლარი 2024 წ.

სპეციალიზებული დღის ცენტრი

ემსახურება მძიმე და ღრმა ინტელექტუალური შეზღუდვების და ქცევითი დარღვევების მქონე ბავშვებს. დღის ცენტრის აღსაზრდელების უმრავლესობა მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის გამო ვერ იღებდა ინკლუზიურ განათლებას საჯარო სკოლებში და დღის ცენტრის მომსახურება მათთვის განათლების და სოციალური ინტეგრირების ერთადერთი წყარო იყო. დღის ცენტრის პროგრამა ეფუძნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღის ცენტრის სახელმწიფო სტანდარტებს და მოიცავს ძირითადად აბილიტაცია/რეაბილიტაციას და არაფორმალურ განათლებას.

თბილისის დღის ცენტრის პროგრამა ხორციელდებოდა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. მულტიდისციპლინური გუნდი შედგებოდა ფსიქოლოგის, პედიატრის, ოკუპაციური თერაპევტის, სოციალური მუშაკის, მეთოდისტების და სპეციალური პედაგოგებისგან. სპეციალისტების მიერ ხორციელდებოდა ბავშვების საჭიროებების შეფასება და ინდივიდუალური რეაბილიტაცია/აბილიტაციის და სასწავლო გეგმების შედგენა. მათთან მუშაობა ხორციელდებოდა ჯგუფურად და ინდივიდუალურად. თითოეულ ჯგუფში იმყოფებოდა 7 ბავშვი, რომელსაც ემსახურებოდა 2 სპეციალური პედაგოგი. რთული ქცევის შემთხვევაში ბავშვებთან ინდივიდუალურად მუშაობდა ფსიქოლოგი. პროგრამის ფარგლებში ბავშვებისთვის აგრეთვე ხორციელდებოდა გასვლითი ღონისძიებები, რაც ეხმარებოდა ბავშვებს გარემოს შესწავლასა და სოციალურ ინტეგრაციაში.

დღის ცენტრის პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ბავშვებში შემდეგი უნარების და ცოდნის განვითარება:

- თვითმოვლა – პირადი ჰიგიენა, კვება, ჩაცმა;
- კომუნიკაცია – ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია;
- მსხვილი და ნატიფი მოტორიკა, რომელიც მნიშვნელოვანია მოძრაობისთვის, გადაადგილებისთვის, ნივთების გამოყენებისთვის და ა.შ.
- განათლება – წერა-კითხვისთვის და ანგარიშისთვის საჭირო ბაზისური უნარები.

რეაბილიტაცია/აბილიტაციის და არაფორმალური განათლების გეგმების უზრუნველყოფა ხდებოდა სხვადასხვა კლასების – განათლების, ხელოვნების, მეცნიერების და ფიზიკური აქტივობის ფარგლებში.

თითოეული ბენეფიციარის ინდივიდუალური გეგმა მორგებული იყო მის კონკრეტულ საჭიროებებს და უნარებს. დღის ცენტრი უზრუნველყოფდა ბავშვებს განმავითარებელი ინვენტარით და სათამაშოებით.

გარდა საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამებისა, დღის ცენტრის აღსაზრდელები იღებდნენ შემდეგ მომსახურებას:

- 2-ჯერადი კვება, რომლის დროსაც გათვალისწინებული იყო ბავშვების კვებითი საჭიროებები.
- ტრანსპორტირება დღის ცენტრში და სახლში.
- სამედიცინო კონსულტაციები და რეფერირება.

დღის ცენტრი ფუნქციონირებდა კვირის სამუშაო დღეებში 10 საათიდან 16 საათამდე.

ბინაზე მოვლა

ბინაზე მოვლის პროგრამის ბენეფიციარები ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო ვერ გამოდიან სახლიდან და ვერ იღებენ დღის ცენტრის მომსახურებას.

პროგრამის მიზანია ყველა ბავშვი ცხოვრობდეს ღირსეულ გარემოში, მოხდეს მათი არსებული თუნდაც სულ უმნიშვნელო უნარების და შესაძლებლობის განვითარება, სახლში მიიღონ შესაბამისი განათლება და მაქსიმალურად შეძლონ სოციალური ინტეგრაცია. ოჯახი სადაც ასეთი ბავშვია, კარგავს ნორმალური ფუნქციონირების უნარს, ერთი ადამიანი მუდმივად მიჯაჭვულია ბავშვს, ვერ მუშაობს, სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს დანარჩენ შვილებს, უმძიმდებათ როგორც ფიზიკური ისე ემოციური მდგომარეობა, იმყოფებიან მუდმივ სტრესში. „პირველი ნაბიჯი საქართველოს" ბინაზე მოვლის პროგრამა სპეციალისტების (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, პედიატრი, განვითარების სპეციალისტი და აღმზრდელი) დახმარებით უზრუნველყოფს:

1) ბავშვის ჯანრთელობის მდგომარეობის მართვას და საჭიროებისას სამედიცინო დაწესებულებაში გადამისამართებას;

2) ოჯახი წევრების არსებული შეღავათების, მომსახურებების, ბავშვი აღზრდის და ქცევის მართვის თავისებურებების შესახებ ინფორმირებას;

3) ბავშვის ვერბალური და არავერბალური მეტყველების უნარის განვითარებას;

4) ბავშვის ფუნქციური, მოტორული, კოგნიტური და თვითმოვლის უნარების განვითარებას;

5) მომვლელის დახმარებას ფიზიკურ მოვლაში;

6) ბავშვის თვითმოვლის, ფუნქციური განვითარების და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარებას.

მომსახურების ეტაპები

მომსახურება ძირითადად მოცავს ბავშვის განვითარებაზე და სპეციალიზებულ მოვლაზე ორიენტირებულ შეფასებას, მომსახურების და მოვლის ინდივიდუალური გეგმის შედგენას და განხორციელებას.

ბავშვის პირველადი შეფასება სპეციალისტების მიერ
რეაბილიტაცია/აბილიტაციის გეგმის შედგენა მშობლის ჩართულობით

გეგმა მოიცავს: ბავშვის განვითარების მოკლე და გრძელვადიან მიზნებს, საჭირო აქტივობებს, საჭირო რესურსებს და პასუხისმგებელ პირებს.

თითოეულმა ბენეფიციარმა პროგრამის ფარგლებში მიიღო შემდეგი მომსახურება:

1. აღმზრდელი – თვეში 32 საათი.
2. განვითარების სპეციალისტი თვეში 5 საათი.
3. სპეციალისტები თვეში 3 საათი.

პროგრამა ხორციელდებოდა სახელმწიფო პროგრამის „ბინაზე მოვლის“ ქვეპროგრამის შესაბამისად.

2024

წელს, გაგრძელდა ახალი ქვეკომპონენტის ფარგლებში – ინდივიდუალური მზრუნველი ქცევითი დარღვევის მქონე ბავშვებისთვის ერთი ბენეფიციარის მომსახურება.

ყოველდღიური ცხოვრების უნარების განვითარების პროგრამა

- კულინარიული თერაპია
- სპორტის წრე

ემსახურება როგორც დღის ცენტრის, ისე ორგანიზაციის სხვა პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარებს.

2. კონსულტაციის, ინტერვენციის და თერაპიის ცენტრი:

ადრეული ინტერვენციის პროგრამა

ხორციელდებოდა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ – ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქოლოგი, პედიატრი, მეტყველების თერაპევტი, ადრეული ჩარევის სპეციალისტები. პროგრამა მიზნად ისახავდა განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების განვითარების და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას. სპეციალისტების მიერ ხდებოდა ბავშვების შეფასება და ინდივიდუალური ჩარევის გეგმის შედგენა და უზრუნველყოფა. შეფასება ხორციელდებოდა საერთაშორისო მეთოდოლოგიის საფუძველზე. ბავშვებს მომსახურება მიეწოდებოდათ სახლში და „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ ადრეული ჩარევის ცენტრში. პროგრამა ხორციელდებოდა ადრეული ჩარევის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად.

აუტიზმის პროგრამა

პროგრამა ხორციელდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების მიხედვით. სპეციალისტების მიერ ხდებოდა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა; ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის სეანსების მიწოდება ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად.

სენსორული თერაპია

„პირველი ნაბიჯი საქართველო“ ახორციელებს სენსორული ინტეგრაციის პროგრამას. პროგრამას ახორციელებს სერტიფიცირებული ოკუპაციური თერაპევტი. პროგრამაში ბავშვების ჩართვა, ხდება სპეციალისტების შეფასების შედეგად, მუშავდება ინდივიდუალური პროგრამა. სენსორული ინტეგრაციის პროგრამა მუშაობს 0-დან 10-12 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ან განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან, რომლებსაც შესაძლოა უჭირდეთ სკოლის სასწავლო პროგრამის ათვისება, ახასიათებდეთ დაბალი თვითშეფასება, ემოციური არასტაბილურობა, ჰქონდეთ სირთულეები ყოველდღიური აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისთვის.

ქცევითი თერაპია

ABA თერაპია – ქცევითი გამოყენებითი ანალიზი. ეს არის ქცევითი პრინციპების გამოყენება ყოველდღიურ სიტუაციებში, რომელიც დროდადრო ზრდის ან ამცირებს გამიზნულ ქცევას. ABA თერაპია ეხმარება ადამიანებს მრავალი უნარის შეძენაში, როგორებიცაა მეტყველება, თვითმოვლა და თამაშის უნარები; გარდა ამისა, არსებული პრინციპები ხელს უშლის არასასურველ ქცევას, მათ შორის აგრესიას, თვითსტიმულირების ქცევას ან თვითდაზიანებას.

დირ/ფლორთაიმი

„პირველი ნაბიჯი“ ჩვენს პატარებს და მათ მშობლებს სთავაზობს თერაპიულ მოდელს, რომელიც დაფუძნებულია განვითარების ფსიქოლოგიაზე და გამოიყენება აუტიზმისა და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ძირითადი სირთულეების დასაძლევად. კომუნიკაცია, სოციალური ურთიერთობები, შეზღუდული ინტერესები. მოდელი ავითარებს ბავშვის ფუნქციურ-ემოციურ მხარეს, შეგრძნებებისა და ინფორმაციის გადამუშავების უნარებს და სოციალურ ურთიერთობებს.

მეტყველების თერაპია – ეხმარება ბავშვებს მეტყველების სხვადასხვა პრობლემების დაძლევაში. ასევე ხელს ავითარებს მათ უნარებს გამოხატონ სურვილები, საჭიროებები და დაამყარონ გარშემომყოფებთან ურთიერთობა.

კვების დარღვევების თერაპია

ყველა ბავშვისთვის აუცილებელია უსაფრთხო და ჯანსაღი კვება, რომელიც მათ ზრდა განვითარებას უწყობს ხელს. ზოგჯერ ბავშვები უარს ამბობენ საკვებზე სხვადასხვა მიზეზების გამო, რაც მშობლების ნერვულობას იწვევს, ბავშვებისთვის კი არასასიამოვნო პროცესი ხდება. კვების თერაპიის მიზანია ბავშვის კვება გახდეს უსაფრთხო, დაძლიონ ახალი საკვების გასინჯვის შიში, გაიზარდოს ბავშვის მოტივაცია კვების პროცესში. კვების თერაპიის მთავარი მიზანია ბავშმა მიიღოს ის საკვები, რაც მის ზრდასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.

ჯგუფური თერაპია

ხელს უწყობს ბავშვის სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარებას. ბავშვები სწავლობენ სათამაშოების ერთმანეთისთვის გაზიარებას, რიგში დგომას, დალოდებას, გულშემატკივრობენ ერთმანეთს, იცავენ წესებს, ამყარებენ კომუნიკაციას და რაც მთავარია ეს აქტივობები ეხმარება ბავშვებს წამატებით ჩაერთონ ბაღისა და სკოლის გარემოში.

პროგრამები ხორციელდებოდა სახელმწიფო პროგრამების „ადრეული განვითარება“ ქვეპროგრამის და ქ.თბილისის მერიის აუტიზმის პროგრამის შესაბამისად.

აკადემიური უნარების თერაპია

განკუთვნილია ბავშვების და მოზარდებისთვის 5 წლიდან ზემოთ. აკადემიური უნარების თერაპია მუშაობს სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან სასკოლო მზაობის განვითარებაზე, ხოლო სკოლის ასაკის ბავშვებთან – დასწავლის სხვადასხვა ტიპის სირთულეების დასაძლევად. თერაპია მუშაობს როგორც განვითარების სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვებთან, ასევე ტიპური განვითარების ბავშვებთან და მიმართულია დასწავლის უნარების გამომუშავებისა და სწავლის პროცესში დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდაზე.

დენვერის მოდელი

არის განვითარებაზე, ქცევაზე, რუტინებზე და თამაშზე დაფუძნებული თერაპია, რომელიც გამოიყენება აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებთან 12 დან 60 თვემდე. მეთოდი ეფუძნება მეცნიერული კვლევებით გამყარებულ მოდელებს და ორიენტირებულია მულტისასწავლო გარემოზე.

მეტყველების თერაპია

კომუნიკაციის ერთ-ერთი სახეა მეტყველება,რომლის მეშვეობითაც გამოვხატავთ ჩვენს აზრებს,სურვილებს,საჭიროებებს. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ბავშვებს, დაამყარონ გარშემომყოფებთან ურთიერთობა, დრო დავუთმოთ შვილებს და არ მივცეთ საშუალება მეტი დრო კომპიუტერთან და ტელევიზორთან გაატარონ. შევუქმნათ ჩვენ შვილებს ჯანსაღი, სამეტყველო გარემო, რადგან ყველაზე მკაცრი მშობლებიც კი ვერ შეძლებენ ბავშვების ძალით ამეტყველებას.

ენისა და მეტყველების თერაპევტი მუშაობს ბავშვებთან და მოზარდებთან, რომელთაც აქვთ კომუნიკაციის, მოსმენისა და მოსმენილის გაგების, სიტყვებისა და წინადადებების წარმოების, ბგერების წარმოთქმის სირთულეები.

ალტერნატიული კომუნიკაცია

წარმოადგენს ადამიანის კომუნიკაციის გაფართოების ან ალტერნატიული გზით უზრუნველყოფის მექანიზმს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირებისთვის, რომლებსაც აქვთ ტრადიციული გზით კომუნიკაციის სირთულეები. კომუნიკაციის სირთულეების მქონე ბავშვებთან და მოზარდებთან. ააკ ტექნოლოგიების და სტრატეგიების გამოყენება ქმნის ახალ შესაძლებლობებს, რაც არა მხოლოდ ხელს უწყობს კომუნიკაციის გაუმჯობესებას, არამედ აძლიერებს ბავშვის აქტიურ ჩართულობას ყოველდღიურ აქტივობებსა და სოციალური ურთიერთქმედების პროცესში.

პირველ ნაბიჯში ბავშვებს უტარდებათ შემდეგი ტიპის შეფასება/კონსულტაცია:

- ფსიქოლოგის კონსულტაცია.
- პედიატრის კონსულტაცია.
- ადოს-ით შეფასება.
- განვითარების შეფასება.
- მეტყველების შეფასება.
- კვების დარღვევების შეფასება.
- სენსორული შეფასება.
- ფუნქციურ-ემოციური შეფასება.

2024 წელს ორგანიზაციაში შემდეგი ღონისძიებები გაიმართა:

21 მარტი დაუნის სინდრომის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე.

2 აპრილი – აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, სამივე ფილიალში მოეწყო ზეიმი ბავშვებისთვის.

„პირველი ნაბიჯი საქართველოს“ დამატებითი ეკონომიკური საქმიანობა

2024 წელს, დამატებითი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები შედგებოდა შემდეგი კომპონენტებისგან:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ანაზღაურებული დღის ცენტრის ვაუჩერები: 85 365.00 ლარი.
2. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ანაზღაურებული ადრეული ჩარევის პროგრამის ვაუჩერები: 421 250.20 ლარი.
3. რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებული ადრეული ჩარევის პროგრამის ვაუჩერები: 293 853.00 ლარი.
4. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ანაზღაურებული ბინაზე მოვლის პროგრამის ვაუჩერები: 192 334.00 ლარი.
5. ქ. თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ ანაზღაურებული აუტიზმის პროგრამის ვაუჩერები: 815 850.00 ლარი.
6. ბენეფიციარების მშობლების მიერ გადახდილი მომსახურების საფასური: 1 061 574.37 ლარი.
7. მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ ანაზღაურებული მომსახურების საფასური: 625 221.30 ლარი.
8. ორგანიზაციის ქონების იჯარით მიღებული შემოსავალი: 74.00 ლარი.
9. ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ფასიანი ტრეინინგებიდან და პრაქტიკული კურსებიდან მიღებული შემოსავალი: 2 800.00 ლარი.
10. სხვა საოპერაციო შემოსავლები: 40 334.39 ლარი.

აუდიტორულმა კომპანიამ – „სფაი ჯორჯია“, შეამოწმა ორგანიზაციის 2024 წლის ფინანსური საქმიანობა და გასცა შესაბამისი დასკვნა.

„პირველი ნაბიჯი საქართველო“-ს დირექტორი: / **თამარ ზაალიშვილი** /

2024 წელს მიღებული დაფინანსებები

THE SLANEY FOUNDATION	49980,00	USD -	138914,4 ლარი
სლოვაკეთის საელჩო	36099,73	ლარი	
ქალთა საერთაშორისო ასოციაცია IWA	4080,00	ლარი	
სხვადასხვა ერთჯერადი შემოწირულობები	157500,69	ლარი	
სულ ჯამში:	**336594,83**	(ლარი)	

დღის ცენტრის ვაუჩერები (ჯანდაცვა)	85365	ლარი
ბინაზე მოვლის ვაუჩერები (ჯანდაცვა)	192334	ლარი
ადრეული ჩარევის პროგრამის ვაუჩერები (ჯანდაცვა)	421250,2	ლარი
ადრეული ჩარევის პროგრამის ვაუჩერები (რუსთავის მუნიციპალიტეტი)	293853	ლარი
აუტიზმის პროგრამის ვაუჩერები (მერია)	815850	ლარი
მუნიციპალური გამგეობების მიერ ანაზღაურებული თანხები	625221,3	ლარი
მშობლების მიერ გადახდილი გადასახადები	1061574,37	ლარი
ფასიანი ტრეინინგები და პრაქტიკული კურსები	2800	ლარი
საბანკო-საპროცენტო შემოსავლები	2056,17	ლარი
საიჯარო შემოსავლები	74	ლარი
სხვა შემოსავლები	6411,53	ლარი
	3506789,57	(ლარი)

საწარმოს ფინანსური ანგარიშგება

2025 წლის 1 იანვარი -სთვის

წარედგინება ერთ საწარმოზე თუ საწარმოთა ჯგუფზე პირველი ნაბიჯი საქართველო

საწარმოს (ჯგუფისათვის - სათაო საწარმოს) საიდენტიფიკაციო ნომერი № 202061838

საფირმო სახელწოდება პირველი ნაბიჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ა(ა)იპ

იურიდიული მისამართი აღმაშენებლის 150

დარგი (საქმიანობის სახე) უნარშეზღუდულ ბავშვებზე ზრუნვა

ზომის ერთეული და სიზუსტის ხარისხი 1 ლარი

პირველი ნაბიჯი

ბ ა ლ ა ნ ს ი

	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე ა ქ ტ ი ვ ე ბ ი , სულ:	**1273690**	**1212167**
ფულადი სახსრები	1090221	952499
მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-
დებიტორული დავალიანება მიწოდ. და მომსახურებიდან	40291	10841
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	142387	248035
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	792	792
წინასწარ გაწეული ხარჯი და გადახდილი გადასახადი	-	-
მისაღები დივიდენდები, პროცენტები, ანალოგ. მოთხ.	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
გრძელვადიანი ა ქ ტ ი ვ ე ბ ი , სულ:	**612319**	**626968**
ძირითადი საშუალებები	611881	626968
არამატერიალური აქტივები	438	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	-
გრძელვადიანი მოთხოვნები	-	-
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	-
მ.შ. კაპიტალ-მეთოდით აღრიცხ. ინვესტიციები	-	-
სულ ა ქ ტ ი ვ ე ბ ი :	**1886009**	**1839135**

მოკლევადიანი ვ ა ლ დ ებ უ ლ ებ ებ ი , სულ:	**23745**	**11921**
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	19569	8961
მოკლევადიანი სესხები	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	1912	564
გასაცემი დივიდენდები, პროცენტები, ანალოგ. ვალდ.	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2264	2396
გრძელვადიანი ვ ა ლ დ ებ უ ლ ებ ებ ი , სულ:	-	-
გრძელვადიანი სესხები	-	-
ანარიცხები	-	-
გადავადებული მოგების გადასახადი	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
გადავადებული შემოსავალი	-	-
სულ ვ ა ლ დ ებ უ ლ ებ ებ ი :	**23745**	**11921**
კ ა პ ი ტ ა ლ ი		
საწესდებო კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი	-	-
მ.შ. მიმდინარე წლის მოგება / ზარალი		-
რეზერვები და დაფინანსება	1862264	1827214
უმცირესობის წილი	-	-
სულ კ ა პ ი ტ ა ლ ი :	**1862264**	**1827214**
სულ ვ ა ლ დ ებ უ ლ ებ ებ ი და კ ა პ ი ტ ა ლ ი :	**1886009**	**1839135**

საკანონმდებლო სიახლეების მიმოხილვა

საკანონმდებლო სიახლეების მიმოხილვა – **ამ რუბრიკას, რომლის დანიშნულება სახელწოდებიდანაც გასაგებია, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი მარიამ აფრასიძე წარმოგიდგენთ.**

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები: ივნისი-2025

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები

– პარლამენტის მიერ 26.06.2025-ში მიღებული და 03.07.2025-ში გამოქვეყნებული №845-IIმს-XIმპ კანონის საფუძველზე ცვლილება შევიდა საგადასახადო კოდექსში.

შედეგად, დაკორექტირდა რამდენიმე მუხლი:

– კოდექსის მე-10 მუხლის (საქველმოქმედო საქმიანობა) „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება, დახმარების უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით, ნებაყოფლობით და უანგაროდ გაწევა იმ პირებისათვის, რომლებიც ამ დახმარებას საჭიროებენ, მათ შორის, სოციალური დაცვის საჭიროების მქონე ფიზიკური პირებისთვის, სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე ფიზიკური პირებისთვის, ხელმოკლე ფიზიკური პირებისთვის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ხანდაზმულებისთვის, ობოლი ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის, საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის – ავადმყოფებისთვის, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მათი წევრებისთვის, ომის, შეიარაღებული კონფლიქტის, ავარიის, სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ეპიდემიის ან ეპიზოოტიის შედეგად დაზარალებულებისთვის).

– მე-11 მუხლის (რელიგიური საქმიანობა) პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, რელიგიურ საქმიანობად ითვლება დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის (გაერთიანების) საქმიანობა, რომლის მიზანია აღმსარებლობისა და სარწმუნოების გავრცელება, მათ შორის, ისეთი გზით, როგორიცაა – მონასტრების, სამონასტრო ეკლესიების, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების შენახვა, ამ სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა და მსმენელთა სწავლება, საქველმოქმედო ორგანიზაციების (საავადმყოფოების, თავშესაფრების, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულებების) შენახვა, ასევე კანონიკური წესებით განპირობებული სხვა, ანალოგიური საწესდებო საქმიანობა.

– 82-ე მუხლის (გადასახადისაგან გათავისუფლება) პირველი ნაწილის „ქ“ ქვეპუნქტის თანახმად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება დამქირავებლის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ მოსამსახურისთვის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იმ მოსამსახურისთვის ან იმ სამხედრო მოსამსახურისთვის მიცემული შესაბამისი დახმარება, რომელიც თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრდა ან რომელსაც ამ მოვალეობის შესრულებისას შესაძლებლობა შეეზღუდა, აგრეთვე აღნიშნული პირის დაღუპვის შემთხვევაში მისი დამქირავებლის მიერ ამ პირის ოჯახისთვის (მისი მემკვიდრისთვის) მიცემული დახმარება.

– 170-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულია საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფასთან (მათ შორის, სააღმზრდელო დაწესებულებაში, ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში ბავშვთა მოვლა-პატრონობის მომსახურების გაწევა, ავადმყოფთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ან 60 წელზე მეტი ასაკის პირთა მოვლა-პატრონობის მომსახურების გაწევა, ხანდაზმულთა თავშესაფრისთვის საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა).

– 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებსაც შესაძლებლობა მეორე მსოფლიო ომის შედეგად შეეზღუდათ, და მათთან გათანაბრებული პირები პრივატიზების წესით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე.

– 12.06.2025-ში მიღებული №685-IIმს-XIმპ კანონით ცვლილება შევიდა საგადასახადო კოდექსში, რომელიც ამოქმედდება მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან.

ამ ცვლილების თანახმად, დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით, ასევე გათავისუფლებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტვირთის შემოტანისას გემისთვის მომსახურების გაწევა (კერძოდ, პორტის, საზღვაო-სალოცმანო სამსახურისა და საქართველოს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ჰიდროგრაფიული მომსახურების გაწევა).

– 24.06.2025-ის №719-IIმს-XIმპ კანონით, საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს დაემატა 147-ე ნაწილი, რომლის თანახმად „ინოვაციების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ინოვაციური სტარტაპის, ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის, კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის სტატუსების მქონე სუბიექტების საგადასახადო შეღავათები განისაზღვრება „ინოვაციების შესახებ“ კანონით.

„ინოვაციების შესახებ“ კანონი

– 24.06.2025-ის №718-IIმს-XIმპ კანონით ცვლილება განხორციელდა „ინოვაციების შესახებ“ კანონში, შედეგად კანონს დაემატა ახალი თავი II[1] – ინოვაციური სტარტაპის, ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის, კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის სტატუსების მოპოვება და მათი ხელშემწყობი მექანიზმები.

ამ თავის მიხედვით ინოვაციური სტარტაპი განმარტებულია, როგორც ინოვაციური საქმიანობის განმახორციელებელი, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული სამეწარმეო საზოგადოება, რომელიც აკმაყოფილებს ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭებისთვის ამ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინოვაციური სტარტაპის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს იმ სუბიექტს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იგი ქმნის ინოვაციურ პროდუქტს, შეიმუშავებს ინოვაციურ პროცესს ან/და ეწევა ინოვაციურ მომსახურებას.

ბ) მან აღნიშნული სტატუსის მინიჭების შესახებ განაცხადის წარდგენამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში საინვესტიციო ფონდისგან, ანგელოზ ინვესტორთა ქსელისგან ან ამ ქსელის წევრისგან ან/და აქსელერატორისგან მოიპოვა არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია ან სააგენტოსგან მოიპოვა არანაკლებ 150 000 ლარის ოდენობის საგრანტო დაფინანსება. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ინვესტიციად მიიჩნევა აგრეთვე სხვა ქვეყანაში დაფუძნებული იმ მშობელი კომპანიისგან ან/და შვილობილი კომპანიისგან მიღებული ფინანსური სახსრები, რომელმაც, თავის მხრივ, ეს სახსრები საინვესტიციო ფონდისგან, ანგელოზ ინვესტორთა ქსელისგან ან ამ ქსელის წევრისგან ან/და აქსელერატორისგან მიიღო.

გ) იგი აღნიშნული სტატუსის მოპოვების მიზნით ახორციელებს ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მექანიზმების მიერ დაფინანსებულ, ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, ამასთანავე, მის მიერ მიღებული შემოსავალი და გაწეული ხარჯები არსებითად ამ საქმიანობასთან არის დაკავშირებული;

დ) მას აღნიშნული სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენიდან სტატუსის მინიჭების მომენტისთვის არ აქვს საგადასახადო დავალიანება, იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და ის არ იმყოფება ლიკვიდაციის პროცესში.

სუბიექტს ინოვაციური სტარტაპის სტატუსი ენიჭება 1 წლის ვადით და სტატუსით შეიძლება ისარგებლოს ჯამურად არაუმეტეს 10 წლის ვადით.

ამ თავის მუხლი 15^3 მუხლის – ინოვაციური სტარტაპის ხელშემწყობი მექანიზმების მიხედვით:

– ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭებიდან პირველი 3 წლის განმავლობაში მის მიერ გაცემული ხელფასი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება.

– ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭების მე-4 წლიდან მომდევნო 3 წლის განმავლობაში მის მიერ გაცემული ხელფასი საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით იბეგრება, ხოლო იმავე პერიოდში ინოვაციური სტარტაპის მოგების გადასახადის განაკვეთი 5%-ია.

– ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭების მე-7 წლიდან მომდევნო 4 წლის განმავლობაში მის მიერ გაცემული ხელფასი საშემოსავლო გადასახადის 10%-იანი განაკვეთით იბეგრება, ხოლო იმავე პერიოდში ინოვაციური სტარტაპის მოგების გადასახადის განაკვეთი 10%-ია.

კანონის მიხედვით დაუშვებელია, სუბიექტს ინოვაციური სტარტაპის სტატუსთან ერთად ჰქონდეს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი ან ვირტუალური ზონის პირის სტატუსი. თუ ინოვაციური სტარტაპის სტატუსი მიენიჭა საერთაშორისო კომპანიის სტატუსის ან ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მქონე სუბიექტს, მას შესაბამისი სტატუსი უუქმდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ცვლილება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონში

– 12.06.2025-ის №672-IIმს-XIმპ კანონის თანახმად სდპ და პირველი კატეგორიის საწარმო, რომელთა საქმიანობა მოიცავს წიაღით სარგებლობას (მათ შორის, ნავთობის, გაზისა და ბუნებრივი წყალბადის მოპოვებას) ან ბუნებრივი წარმოშობის ტყეში ხე-ტყის დამზადებას, ვალდებული არიან ყოველწლიურად მოამზადონ და წარადგინონ სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება. ამ ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოსთვის

მოგების გადასახადის, სალიცენზიო მოსაკრებლის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირების საფასურის, როიალტის, დივიდენდის, „ნავთობისა და გაზის შესახებ“ კანონით განსაზღვრული ბონუსის, ქირისა და საკონცესიო გადასახადის სახით, ფულადი ან ნატურალური ფორმით გადახდილი ის თანხები, რომელთა ოდენობაც საანგარიშგებო პერიოდში გადახდის ამ თითოეული სახეობისთვის ერთჯერადად ან ჯამურად 100 000 ლარს აღემატება.

ცვლილება „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონში

– პარლამენტის მიერ 26.06.2025-ში მიღებული №832-IIმს-XIმპ კანონით, ცვლილება განხორციელდა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონში.

ცვლილების თანახმად დაკორექტირდა მე-6 მუხლი (საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევა), რომელსაც დაემატა 3^1 და 3^2 პუნქტები:

„3^1. საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის (ამ ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და საპენსიო შენატანის განხორციელებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევით შესრულების) ფაქტის იდენტიფიცირების შემთხვევაში დამსაქმებელს საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ჯარიმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი საშემოსავლო დეკლარაციის შესწორების/დაზუსტების შედეგად დამსაქმებელი საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით განახორციელებს შესაბამის საპენსიო შენატანს/შენატანებს. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამსაქმებელს დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ჯარიმა, თუ საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით არ განახორციელებს საპენსიო შენატანს.

3^2. ამ მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების შესაბამისად დამსაქმებლისთვის საურავის ან/და ჯარიმის დაკისრება მას არ ათავისუფლებს ამ კანონის თანახმად საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების შესრულებისგან. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შესაბამისი საპენსიო შენატანი საკუთარი ხარჯით (დასაქმებულის ხელფასიდან გამოქვითვის გარეშე) განახორციელოს“.

3^1 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის თანხა მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, საპენსიო შენატანის თანხა და საურავი კი საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით ირიცხება მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე.

ასევე ამ მუხლს დაემატა მე-12 პუნქტი, რომლის მიხედვითაც საპენსიო ფონდის მიერ მიღებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად თუ გამოვლინდება მისი შეუსაბამობა შემოსავლების სამსახურისგან მიღებულ ინფორმაციასთან ან ელექტრონულ სისტემაში არსებულ ინფორმაციასთან, საპენსიო ფონდი აქვს უფლება გადაწყვეტილების მიღებისას და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისას იხელმძღვანელოს მის მიერ აღნიშნული შესწავლის პროცესში მიღებული ინფორმაციით/დოკუმენტაციით.

საპენსიო ფონდს შეუძლია ნებისმიერ პირს, მათ შორის, დამსაქმებელს, მონაწილეს, პენსიის მიმღებს, გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრეს, მოსთხოვოს ან ნებისმიერი პირისგან მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საპენსიო შენატანის თუ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების და მათი კორექტირების შესახებ და ეს ინფორმაცია გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღებისას. ამასთან, საპენსიო ფონდს უფლება აქვს, ნებისმიერ პირს მოსთხოვოს მისთვის შეცდომით გადახდილი ნებისმიერი თანხის საპენსიო ფონდისთვის დაბრუნება და ამ თანხის დასაბრუნებლად განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

„დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“

– ფინანსთა მინისტრის 25.06.2025-ის №164 ბრძანებით ცვლილება შევიდა „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებაში.

კერძოდ კი, ბრძანებას დაემატა 2^1 პუნქტი, რომლის მიხედვითაც თავდაცვის სამინისტროს სისტემის თანამშრომლის ქვეყნის შიგნით მივლინებისას, თუ იგი მივლინების ადგილას სამინისტროს მიერ აყვანილი იქნება კვებით კმაყოფაზე, მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვრება გათვალისწინებული ქვეყნის შიგნით მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმის 30%-ის ოდენობით.

მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა განსაზღვრულია 30 ლარის ოდენობით, რომელიც გაიანგარიშება მივლინებაში ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით, დასვენებისა და უქმე, აგრეთვე მივლინებაში გამგზავრებისა და მივლინებიდან დაბრუნების დღეების გამოურიცხავად, ხოლო 30 კმ-მდე მანძილზე მივლინებისას, როდესაც შესაძლებელია სამუშაო (საცხოვრებელ) ადგილზე იმავე დღეს დაბრუნება, ანაზღაურდეს მხოლოდ მგზავრობის ხარჯები.

ამავე ბრძანების თანახმად, სამშვიდობო ოპერაციის მონაწილე სუბიექტის მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი და კომპენსაციის ოდენობა

განისაზღვრება „სამშვიდობო ოპერაციის მონაწილე სუბიექტის მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესისა და კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ მთავრობის 2024 წლის 16 დეკემბრის №412 დადგენილების მიხედვით.

ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

– 26.06.2025-ში მიღებული №788-IIმს-XIმპ კანონის საფუძველზე ცვლილება განხორციელდა ნარჩენების მართვის კოდექსში, რომელიც 2025 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდება.

შედეგად დაკორექტირდა კოდექსის 26-ე მუხლი (ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების რეგისტრაცია), რომლის მიხედვითაც რეგისტრაციას ექვემდებარება ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული შემდეგი საქმიანობები:

ა) ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირება.

ბ) 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება.

გ) წელიწადში 100 ტონამდე არასახიფათო ნარჩენის წინასწარი დამუშავება.

დ) არანაკლებ 2 ტონა და არაუმეტეს 10 ტონა სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება.

ე) ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა და ოპერირება.

ვ) წელიწადში 10 ტონამდე არასახიფათო ნარჩენის აღდგენა/განთავსება.

ზ) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას.

კოდექსის მე-40 მუხლს დამატებული მე-8 ნაწილის თანახმად კი, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული იმ საქმიანობის რეგისტრაციის გარეშე განხორციელება,რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას, დაჯარიმდება 5 000 ლარის ოდენობით.

საფინანსო სფეროში შეტანილი ცვლილებები

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 30.06.2025-ში მიღებული №159/04 ბრძანებით ცვლილება განხოციელდა „კომერციული ბანკებისათვის უძრავი ქონების შეფასების ინსტრუქციაში“.

შედეგად დაკორექტირდა შემფასებლის დამხმარის განმარტება, რომელიც განისაზღვრა როგორც შიდა ისე გარე შემფასებლის დამხმარე პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს შესაფასებელი უძრავი ქონების მხოლოდ ინსპექტირება იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის თანხა არ აღემატება 200,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში. ამ მიზნებისთვის კრედიტის თანხაში გაითვალისწინება ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში ყველა იმ კრედიტის ჯამური ოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილია შესაფასებელი უძრავი ქონებით.

იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის თანხა არ აღემატება 200,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, უძრავი ქონების ინსპექტირება შესაძლებელია განხორციელდეს კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ. კრედიტის თანხაში გაითვალისწინება ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში ყველა იმ კრედიტის ჯამური ოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილია შესაფასებელი უძრავი ქონებით.

თუ კრედიტის თანხა აღემატება 200,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, უძრავი ქონების ინსპექტირება სავალდებულოა მოხდეს შესაბამისი უძრავი ქონების შეფასების მომზადებაზე პასუხისმგებელი შემფასებლის მიერ. კრედიტის თანხაში გაითვალისწინება ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში ყველა იმ კრედიტის ჯამური ოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილია შესაფასებელი უძრავი ქონებით. ამასთან, თუ უძრავი ქონების პირველადი შეფასების ფარგლებში უძრავი ქონების ინსპექტირება არ განხორციელებულა შემფასებლის მიერ, მოცემული შემთხვევის დადგომისას უნდა განხორციელდეს უძრავი ქონების გადაფასება და შემფასებლის მიერ უძრავი ქონების ინსპექტირება.

სხვა ცვლილებები

– ფინანსთა მინისტრის მიერ 30.06.2025-ში მიღებული №168 ბრძანებით ცვლილება შევიდა „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციაში“.

როგორც ვიცით „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენება შესაძლებელია საქართველოდან „საერთო ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ კონვენციის (CTC) წევრი ქვეყნის დანიშნულებით ან მისი გავლით მესამე ქვეყნის დანიშნულებით ან ამ ქვეყნიდან საქართველოს დანიშნულებით ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით მესამე ქვეყნის დანიშნულებით საქონლის გადაადგილებისას.

ამ ბრძანების მიხედვით, აღნიშნულ შემთხვევებში საქონელი, „სატრანზიტო სისტემაში (NCTS)“ რეგისტრირებული ტრანზიტის დეკლარაციის საფუძველზე, გადაადგილდება:

ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ტრანზიტულად გავლისას (საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტით);

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტის/გარე გადამუშავების პროცედურით ან

რეექსპორტით გატანისას (საავტომობილო ან საზღვაო ტრანსპორტით).

„სატრანზიტო სისტემაში (NCTS)" რეგისტრირებული ტრანზიტის დეკლარაცია წარმოადგენს საბაჟო პროცედურის გამოყენების/რეექსპორტისთვის აუცილებელ პირობას, თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ტრანზიტულად გავლისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას აღნიშნულ საქონელზე არ არის წარდგენილი ტრანზიტის დეკლარაცია, საქონელი და სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

2025 წლის 1 აგვისტომდე, სატრანზიტო სისტემის (NCTS) გამოყენებით საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვისას – მხოლოდ საბორნე ტრანსპორტის გამოყენებით ავტოსატრანსპორტო საშუალებით საქონლის გადატანის დროს,თუ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ამ საქონელზე არ არის წარდგენილი ტრანზიტის დეკლარაცია,პირს ეძლევა ტრანზიტის პროცედურაში საქონლის დეკლარირების უფლება ტრანზიტის დეკლარაციის 6 სამუშაო დღის ვადაში (მაგრამ არაუგვიანეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისა) წარდგენის პირობით.

– შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ 11.06.2025-ში მიღებული №12102 ბრძანებით ცვლილება შევიდა „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის და გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ" ამავე პირის 2022 წლის 16 თებერვლის №3751 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში.

ცვლილების თანახმად, „ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ" ბრძანების გამოცემის შემდგომ პერიოდში განსახორციელებელ ოპერაციებზე, საგადასახადო დოკუმენტებზე – სასაქონლო ზედნადები,ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, არ ვრცელდება ამ ინსტრუქციით განსაზღვრული შეზღუდვები.

სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა დასაშვებია გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების სამსახურში განცხადების და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, რომელსაც შეისწავლის ვალის მართვის დეპარტამენტი და სათანადო გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, გადასახადის გადამხდელს მიეცემა საშუალება გამოწეროს შესაბამისი სასაქონლო ზედნადები,საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

იხილეთ ასევე:

– 12.06.2025-ის №673-IIმს-XIმპ კანონი, „წიაღის შესახებ" კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

– 12.06.2025-ის №675-IIმს-XIმპ კანონი,„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

– 26.06.2025-ის №823-IIმს-XIმპ კანონი, „საინვესტიციო ფონდების შესახებ" კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

– 23.06.2025-ის მთავრობის №230 დადგენილება, „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №235 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

– 13.06.2025-ის №202 დადგენილება, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსზე ხელმისაწვდომობის" სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" ამავე პირის 2020 წლის 23 ივლისის №464 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

– 13.06.2025-ის მთავრობის №218 დადგენილება, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მარიამ აფრასიძე

დაგროვებითი პენსიით 22 135-მა ადამიანმა ისარგებლა – რა თანხა გაიცა?

საქართველოს საპენსიო ფონდის 30 ივნისის სტატისტიკური მონაცემებით, დაგროვებითი პენსიით 22,135-მა პირმა ისარგებლა, პენსიის სახით კი 89.3 მილიონი ლარი გაიცა.

საპენსიო სქემაში გაწევრებულია 1 მილიონ 623 ათასი ადამიანი. საპენსიო აქტივების ღირებულება 7.1 მლრდ ლარია, მათ შორის დაგენერირებულმა ამონაგებმა 1.8 მლრდ ლარს გადააჭარბა.

ცნობისთვის, „დაგროვებითი პენსიის შესახებ" კანონის შესაბამისად, საპენსიო დანაზოგის მიღება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

- **მონაწილის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევისას;**
- **მონაწილის შესაძლებლობის შეზღუდვისას;**
- **საპენსიო აქტივების მონაწილის მემკვიდრისთვის გადაცემისას;**
- **საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას.**

სტუმარი

სტუმარი – **ამ რუბრიკის მეშვეობით ჩვენი ჟურნალი გაგაცნობთ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში) მონაწილე პიროვნებებს.**

ინტერვიუ შპს „ეფეიეს გრუპის“ (FAS Group) დამფუძნებელ ნათია სხვიტარიძესთან

ნათია სხვიტარიძე — **დაიბადა 1988 წლის 15 მარტს, ქ. თბილისში.**

განათლება

ჩესტერის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ფინანსებში;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი ბიზნეს-ადმინისტრირებაში ბუღალტერიისა და აუდიტის მიმართულებით;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი ფინანსებსა და საბანკო საქმეში;

ACCA, CIMA, FRM საერთაშორისო სერთიფიკატების მფლობელი და შესაბამისი ასოციაციების სრულუფლებიანი წევრი;

აქვს 14 წელიწადზე ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში მთავარი ბუღალტრისა და შემდგომ ფინანსური მენეჯერის პოზიციაზე.

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

– ქალბატონო ნათია, გმადლობთ, რომ გამოძებნეთ დრო ინტერვიუს ჩასაწერად. პირველ რიგში, მოგვიყევით ცოტა რამ თქვენ შესახებ. როგორი იყო თქვენი გზა სკოლის ასაკიდან FAS Group–ის მმართველ პარტნიორობამდე?

– დავიბადე თბილისში. დავამთავრე 115-ე საჯარო სკოლა, შემდეგ კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატი ბუღალტერიისა და ფინანსების მიმართულებით. მაგისტრატურა ორ უნივერსიტეტში გავიარე: დიდ ბრიტანეთში, ჩესტერის უნივერსიტეტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აუდიტის მიმართულებით.

– როგორ დაიწყო თქვენი პროფესიული კარიერა?

– ჩემი პროფესიული გზა 2011 წელს დავიწყე, დამხმარე ბუღალტრის პოზიციით. შემდეგ ეტაპობრივად გადავინაცვლე მთავარი ბუღალტრისა და ფინანსური მენეჯერის პოზიციებზე,როგორც ქართულ,ისე საერთაშორისო კომპანიებში. განსაკუთრებით დიდი გამოცდილება მივიღე წარმოების, მომსახურების, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან მუშაობისას, საგრანტო პროექტების ფარგლებში.

– როდის და როგორ დაარსდა FAS Group?

– 2018 წელს დარეგისტრირდა კომპანია FAS Group, თუმცა მაშინ ერთ-ერთმა დიდმა საერთაშორისო კომპანიამ შემომთავაზა ფინანსური ოფიცრის პოზიცია. სწორედ ამიტომ, ჩემი კომპანიის რეალური საქმიანობა გადავადდა. საბოლოოდ, 2021 წლის მეორე ნახევრიდან დავიწყეთ ოპერირება და დღემდე აქტიურად ვმუშაობთ.

– ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყანაში კოვიდ–პანდემიაა და მთელი ქვეყანა გაჩერებული იყო...

– კოვიდი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბიძგი იყო ჩემთვის. ყველა მეუბნებოდა, რომ ქვეყანა გაჩერებულია და ასეთ სამსახურს რატომ ვტოვებდი. თავადაც არ ვიცოდი, რა მოხდებოდა, როგორ ვიქნებოდით, მაგრამ ვამბობდი – თუ ახლა არა, მაშინ როდის? ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი რისკი, თუმცა სწორი სტრატეგიითა და სამუშაო გეგმით ყველაფერმა გაამართლა. რისკი მართლაც მაღალი იყო – არც ვიცოდით, პანდემია როგორ და როდის დასრულდებოდა და არც გარანტია გვქონდა, რომ ორგანიზაციების მუშაობა აღდგებოდა.

– კონკურენცია თქვენს ბიზნესში საკმაოდ დიდია. ამ ბაზარზე შემოსვლისას რა გამოწვევებს შეეჯახეთ?

– გამოწვევები როგორც დასაწყისში, ასევე ახლაც, საკმაოდ ბევრია. ჩვენს ქვეყანაში, მთავარი გამოწვევა არის მეწარმეთა ცნობიერება – ბევრმა მეწარმემ ჯერ კიდევ არ იცის, რატომ სჭირდება სწორი ბუღალტრული აღრიცხვა. ამიტომ ჩვენ გვიწევდა ხშირად ამის ახსნა. ამ მიმართულებით აქტიურად ვთანამშრომლობდით სხვადასხვა საწარმოებთან, ბანკებთან, ასოციაციებთან. ვატარებდით და დღესაც ვატარებთ სემინარებს.

ერთი შეხედვით ყველამ იცის, რომ ბუღალტერი სჭირდება, თუმცა, როდესაც ეკითხები „რატომ?", უმეტესობა გიპასუხებს, რომ მხოლოდ საგადასახადო დეკლარაციის გაგზავნისთვის. სინამდვილეში კი ბუღალტრულ და ფინანსურ აღრიცხვას უდიდესი სარგებელი მოაქვს და ამის მიტანა მეწარმემდე დღემდე საჭიროა. ასევე საჭიროა, დაინახონ ის სიკეთეები, რასაც კომპანიას სწორი ფინანსური აღრიცხვა და ანალიზი აძლევს.

მეორე გამოწვევა კვალიფიციური კადრების დეფიციტია. ერთი შეხედვით ბუღალტერი და ფინანსისტი ბევრია, მაგრამ რეალურად კვალიფიკაცია არის ძალიან დაბალი. როდესაც ზრდა დავიწყეთ, ეს პრობლემა უფრო მკვეთრად დავინახეთ – ვერ მოვიძიეთ შესაბამისი კადრები. ამიტომ გადავწყვიტეთ, შეგვექმნა ბუღალტერთა სკოლა. ამ სკოლაში სტაჟირების პროგრამები გავხსენით, რის შემდეგაც ჩვენი გუნდის ჩამოყალიბება შევძელით. დასაწყისში ვიყავით მხოლოდ ორი ადამიანი, ახლა კი უკვე 20-მდე პროფესიონალს ვაერთიანებთ.

კონკურენცია მაღალია როგორც კომპანიების,ისე ინდივიდუალური ბუღალტრების მხრიდან. თუ ინდივიდუალური ბუღალტერი კომპეტენტურია, მეწარმისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ფიზიკური პირი მოემსახურება თუ კომპანია. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, კომპეტენტური კადრი არც ისე ბევრია.

– თქვენ ერთ–ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ აუთსორსინგი მეწარმისთვის უფრო ხელსაყრელია. კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– მეწარმისთვის ბუღალტერიის აუთსორსინგი დიდი შეღავათია, განსაკუთრებით – მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. ეს ბევრად იაფი ჯდება, გარდა იმისა, რომ ის ზოგავს ხარჯებს, იმავდროულად, პასუხისმგებლობა გადადის ერთიან გუნდზე. როცა მეწარმე ერთი ბუღალტრის დაქირავებით შემოიფარგლება, მას მხოლოდ ერთი ადამიანი ემსახურება. ჩვენთან კი, როგორც აუთსორსული სერვისის მიმწოდებელთან, მას ემსახურება მთელი გუნდი – ბუღალტერი, ფინანსისტი, საგადასახადო ექსპერტი, იურისტი და ა.შ. რაც მთავარია კომპანიასთან ურთიერთობის დროს მომსახურება დაზღვეულია და მეწარმე ბევრად მშვიდად არის.

თავიდანვე დავინახეთ, რომ ბაზარზე ხარისხიანი მომსახურების მოთხოვნა მაღალი იყო, ხოლო ხარისხიანი სერვისი – დეფიციტური. ბუღალტერიაში შედეგი გვიან ჩანს. არაკვალიფიციური მომსახურება მეწარმეს ძალიან ძვირი უჯდება – გადასახადების, საურავების, ჯარიმების სახით. ამ ყველაფრის გამოსწორება კი გაცილებით მეტ ხარჯთან იქნება დაკავშირებული.

გამოცდილი მეწარმე მალევე ამჩნევს ხარისხს. ჩვენი მთავარი ნიშა სწორედ მაღალი ხარისხია. ეს მხოლოდ სიტყვები არ არის. მაღალი ხარისხი შედგება რამდენიმე კომპონენტისგან – საქმის სიღრმისეული ცოდნა, ინდივიდუალური მიდგომა, მოქნილობა და მუდმივი კომუნიკაცია. მეწარმემ უნდა იგრძნოს, რომ ჩვენ მისი მარჯვენა ხელი ვართ, რომელიც სწრაფად მიაწვდის საჭირო ინფორმაციას და დაეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში.

– FAS Group რა სახის სერვისებს სთავაზობს ბიზნეს–სექტორს?

– ჩვენი კომპანია სთავაზობს ბუღალტრულ, აუდიტორულ, საგადასახადო და საკონსულტაციო მომსახურებას.

– კომპანიებს აუთსორსინგზე მხოლოდ ერთ მომსახურებას სთავაზობთ? კანონით, ერთი ორგანიზაცია ბუღალტრულ და აუდიტორულ მომსახურებას ერთდროულად ვერ შესთავაზებს, ხომ ასეა?

– რა თქმა უნდა, ვისაც ყოველთვიურად ბუღალტერიას ვუკეთებთ, იმ კომპანიებს აუდიტს ვერ ჩავუტარებთ. თუმცა აუდიტორულ მომსახურებას ვაწვდით სხვა ორგანიზაციებს, რომლებთანაც ბუღალტრული მომსახურების კონტრაქტი არ გვაკავშირებს.

– თქვენ თქვით, რომ ქვეყანაში კვალიფიციური კადრების დეფიციტია და თქვენი გუნდის ნაწილი თავად გამოზარდეთ. თუმცა, ზოგადად ცნობილია, რომ გადამზადებული კადრების შენარჩუნება მაინც რთულია. თქვენს კომპანიაში როგორი ვითარებაა ამ კუთხით?

– ჩვენ ეს პრობლემა არ გვაქვს. თავიდანვე ზუსტად ვიცოდი, როგორი სამუშაო გარემო უნდა შემექმნა თანამშრომლებისთვის. მქონდა როგორც კარგი, ასევე უარყოფითი გამოცდილება. განათლების ნაწილი უცხოეთში მაქვს მიღებული, სადაც საშუალება მქონდა რეალურად ჯანსაღი სამუშაო კულტურა მენახა და მინდოდა, ეს გამოცდილება ჩემს ქვეყანაში გადმომეტანა.

გარემო აუცილებლად უნდა იყოს ჯანსაღი. თანამშრომელმა თავი დაფასებულად უნდა იგრძნოს – ასეთი ადამიანი არსად წავა. ეს, ცხადია, არ ნიშნავს 100%-იან გარანტიას, მაგრამ ჩვენთან კადრების გადინება ძალიან დაბალია.

ჩვენ ვართ ერთადერთი ქართული კომპანია, რომელმაც ბუღალტრული მომსახურება ექსპორტზე გაიტანა. დღეს ვემსახურებით ევროპულ ორგანიზაციებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრეცედენტია იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოშიც შესაძლებელია მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევა საერთაშორისო დონეზე. ამ მიმართულებით ამბიციური გეგმები გვაქვს.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ექსპორტზე გაგვაქვს ბუღალტრული და ფინანსური მომსახურება, რომელსაც საქართველოდან ვაწვდით. ეს ნიშნავს,რომ ჩვენ ნამდვილად გვაქვს შესაძლებლობა ხარისხიანი სერვისი მივაწოდოთ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

– ექსპორტის თვალსაზრისით, თქვენი სამიზნე ბაზრები რომელია?

– დასავლეთის მიმართულება ჩვენთვის პრიორიტეტულია. განსაკუთრებით გვაინტერესებს ამერიკის ბაზარი და ვმუშაობთ იმაზე, რომ იქ შევიდეთ.

– რა პროცესები უნდა გაიაროს ქართულმა კომპანიამ, რომ ევროპისა და ამერიკის ბაზარზე შევიდეს?

– ძალიან ბევრი ეტაპი არსებობს, უბრალოდ გადაწყვეტილებით ან ენთუზიაზმით ვერ გახდები საერთაშორისო მოთამაშე. პირველი და მთავარი – შესაბამისი ცოდნაა. ჩვენი სფერო რეგულირებადი და რთული პროდუქტია. ეს არ არის ისეთი პროდუქტი, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება შეიტანო. აუცილებელია, მოერგო კონკრეტული ქვეყნის საგადასახადო და იურიდიულ კანონმდებლობას. ეს კი ნიშნავს, რომ უნდა გყავდეს შესაბამისი კადრები.

გარდა ამისა, საჭიროა შესაბამისი ლიცენზიები, რომლებიც, როგორც წესი, რთულად მოსაპოვებელია. ეს დაბრკოლებები რეალურია, თუმცა გადალახვადი. ჩვენი მისწრაფებაა, შევქმნათ პირველი ქართული საერთაშორისო ორგანიზაცია ფინანსებსა და ბუღალტერიაში – იმედი გვაქვს, გამოგვივა.

– საერთაშორისო ბაზარზე ვინ არიან თქვენი პარტნიორები?

– გვყავს პარტნიორი ორგანიზაციები ევროპიდან – განსაკუთრებით სამშენებლო და მომსახურების სფეროებიდან. ეს კომპანიები საკმაოდ მსხვილია.

– თქვენ ხართ კომპანიის ერთადერთი მფლობელი. როგორ ახერხებთ ბიზნესპარტნიორის გარეშე ამდენი საქმის მართვას?

– მართალია, კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი ვარ, მაგრამ საქმეში მარტო არ ვარ. მყავს ისეთი გუნდი, რომელზედაც ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაცია იოცნებებს. ამას ყოველთვის ვამბობ და ამის თქმა არასდროს მომბეზრდება. ამ ადამიანების გარეშე FAS Group ისეთს შედეგს ვერ მიაღწევდა, როგორიც დღეს აქვს.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ ბუღალტრული აღრიცხვა ბევრი მეწარმისთვის მხოლოდ დეკლარაციის მომზადებას ნიშნავს. რეალურად რა არის ეს პროცესი?

– ეს მოსაზრება,რომ ბუღალტერი მხოლოდ დეკლარაციის გაგზავნით შემოიფარგლება, ძალიან გავრცელებულია, თუმცა რეალობა სრულიად განსხვავებულია. ბუღალტერი არის კომპანიის ფინანსური სურათის წამკითხავი. სწორი ბუღალტრული აღრიცხვა მოიცავს სრულ ფინანსურ ანალიზს, მოგების, დანაკარგის, ხარჯების, პოტენციური რისკებისა და ზრდის შესაძლებლობების განსაზღვრას.

სწორად აღრიცხული მონაცემების გარეშე მეწარმეს არ აქვს რეალური სურათი კომპანიის მდგომარეობაზე. ამიტომ ბუღალტერი მხოლოდ საგადასახადო დეკლარაციის გადამგზავნი კი არა, პარტნიორია ბიზნესის განვითარებაში. მისი მთავარი როლია, დაეხმაროს მეწარმეს, რომ სწორ დროს მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები.

– არსებულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ რა გავლენა იქონია თქვენს სფეროზე?

– ჩვენი სფერო პირდაპირ კავშირშია სხვა ორგანიზაციების კეთილდღეობასთან. ჩვენ ვემსახურებით იმ კომპანიებს, რომლებიც აქტიურად საქმიანობენ. თუ ქვეყანაში ბიზნესსექტორი იქნება კმაყოფილი და სტაბილური, ჩვენც კარგად ვიქნებით. როდესაც კომპანიები ქამრების შემოჭერის პოლიტიკას იწყებენ, ბუნებრივია, ჩვენი სერვისიც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ამიტომ ჩვენ პირდაპირ ვართ დამოკიდებული იმ ეკონომიკურ ფონსა და სტაბილურობაზე, რაც ქვეყანაში სუფევს.

– ეკონომისტების ნაწილი ეკონომიკურ კრიზისს ვარაუდობს, ხოლო ოფიციალური სტატისტიკა საპირისპიროს ამტკიცებს (ქვეყანას მაღალი ეკონომიკური ზრდა აქვს). თქვენ ბევრ კომპანიასთან გაქვთ ურთიერთობა – როგორ შეაფასებთ ამ ეტაპზე არსებულ მდგომარეობას?

– ჩვენს ბაზაში გვყავს ორგანიზაციები, რომლებიც სტაბილურად აგრძელებენ მუშაობას, თუმცა არიან კომპანიები, რომლებსაც სერიოზული გამოწვევები აქვთ. იმედი გვაქვს, მათაც დაუბრუნდებათ სტაბილურობა. იმისთვის, რომ ინვესტორები მოვიზიდოთ და კომპანიებმა წარმატებით იმუშაონ, პირველ რიგში საჭიროა სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო. ეს პირდაპირ აისახება ჩვენს საქმიანობაზეც.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ ევროპისა და ამერიკის ბაზარზე გასვლას გეგმავთ. როგორ უყურებთ კონკურენციას საერთაშორისო მასშტაბზე?

– კონკურენცია ყველგან მაღალია, მაგრამ დასავლეთის ბაზარი გაცილებით დიდი და დივერსიფიცირებულია. ამავე დროს, მოთხოვნა მაღალი ხარისხის მომსახურებაზე უფრო სტაბილურია. შესაბამისად, ზრდის და განვითარების შესაძლებლობებიც მეტია. ჩვენ არ გვეშინია კონკურენციის – პირიქით, გვჯერა, რომ ჩვენი მთავარი უპირატესობა სწორედ ხარისხია. ვცდილობთ, ევროპული სტანდარტები საქართველოში დავნერგოთ და ეს მიდგომა გვსურს გავიტანოთ ევროპაშიც.

კონკურენციაში გადარჩენის ქვაკუთხედად ვხედავ ინოვაციას. ბუღალტერია და ფინანსები ის სფეროა, რომელიც მუდმივ მოდიფიკაციას საჭიროებს, მით უმეტეს – ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში. ჩვენ შევქმენით FAS APP – პირველი ქართული ბუღალტრული აპლიკაცია მცირე მეწარმეებისთვის. აპლიკაცია ავტომატიზებულად ითვლის შემოსავლებს, აგზავნის დეკლარაციებს და ახორციელებს საგადასახადო გადახდებს ხაზინაში.

ბევრ მცირე მეწარმეს არ აქვს საშუალება, დაიქირავოს კვალიფიციური ბუღალტერი. ამ საჭიროებიდან გამომდინარე შეიქმნა აპლიკაცია, რომელიც ერთი ღილაკის დაჭერით უმარტივებს მეწარმეს ყველა საჭირო პროცესს.

წელს, ეს პროექტი ვაშინგტონის საინვესტიციო სამიტზე წარვადგინეთ. სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა მქონდა. საკმაოდ ბევრ დელეგატს შორის აგვარჩიეს, საქართველოდან სიტყვით გამომსვლელი მხოლოდ მე ვიყავი. FAS APP-მა დიდი მოწონება დაიმსახურა, რომლის მოდიფიკაციაც შეიძლება ამერიკის ბაზრისთვის. ამ ეტაპზე აპლიკაცია განკუთვნილია მხოლოდ მცირე მეწარმეებისთვის, მაგრამ ვმუშაობთ შემდეგ ვერსიაზე, რომელიც ბევრად მრავალფუნქციური იქნება: ჩაერთვება ხარჯების აღრიცხვა, მარაგების კონტროლი და სხვა ფუნქციები.

– ბევრი წელია გვესმის, რომ საქართველოში საგადასახადო სისტემა ლიბერალურია. ახალმა გამოწვევებმა თუ მოიტანა საჭიროება ცვლილებებისთვის? თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რას შეცვლიდით კოდექსში?

– ეს არის ის თემა, რომელზეც დადებითად შემიძლია ვისაუბრო. ჩვენი საგადასახადო სისტემა, ევროკავშირის ბევრ ქვეყანასთან შედარებით, ნამდვილად მოქნილი და ბიზნესზე მორგებულია. თუმცა, ბოლო პერიოდში ყველაზე პრობლემური აღმოჩნდა საპენსიო სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურს შორის მონაცემების თანხვედრა.

ჩვენს ორგანიზაციას მსგავსი პრობლემა არ ჰქონია, მაგრამ კოლეგებისგან მივიღეთ ინფორმაცია, რომ თუნდაც 1 თეთრიანი სხვაობის გამო დაეკისრებათ 500 ლარიანი ჯარიმა. ამასთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახური გვპირდება, რომ მალე ეს საკითხი გამოსწორდება.

ასევე ვისურვებდი, რომ შემოსავლების სამსახურისგან კითხვებზე პასუხის მიღება უფრო მარტივი გახდეს. მაგალითად, რაღაც პრობლემურ საკითხზე შემოსავლების სამსახურში თუ დარეკავ, ან მიიღებ სწორ პასუხს, ან

არა, რამდენჯერმე უნდა გადაამოწმო. სხვა მხრივ, ჩვენი საგადასახადო სისტემა ნამდვილად პრო-ბიზნესურია.

– თქვენ ქალ მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით კონკურსი გამოაცხადეთ. რას გულისხმობს ეს ინიციატივა და რა კრიტერიუმების უნდა აკმაყოფილებდნენ მონაწილეები?

– სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ჩვენ ყოველთვის ვგეგმავდით მსგავს აქტივობებს. მაგალითად, გვქონდა პროექტები პენიტენციურ დაწესებულებაში, ასევე ჩავატარეთ სემინარები მცირე მეწარმეებისთვის.

ახლა კი წამოვიწყეთ მხარდაჭერის პროგრამა ქალი მეწარმეებისთვის. გამარჯვებული ორგანიზაცია ჩვენგან მიიღებს სრულ მხარდაჭერას ბიზნესპროცესის ყველა მნიშვნელოვან კომპონენტში – მეწარმე ფოკუსირებული იქნება მხოლოდ საკუთარ საქმიანობაზე, დანარჩენს ჩვენ მოვაგვარებთ.

რაც შეეხება კრიტერიუმებს: მონაწილე უნდა იყოს ქალი მეწარმე, კომპანიის საქმიანობა უნდა გრძელდებოდეს 1 წელზე მეტი, წლიური შემოსავალი უნდა აღემატებოდეს 50,000 ლარს, აპლიკაციის შევსება და მიზნობრივი საჭიროების აღწერა აუცილებელია. ძალიან ბევრი განაცხადი შემოვიდა. ხშირად გვწერდნენ ყველაფერს ვაკმაყოფილებთ, მაგრამ 50,000 ლარამდე არ მიგვიღწევია. თუმცა, ვფიქრობ, კრიტერიუმები საკმაოდ რბილია და მიზანია, რეალურად დაეხმაროს განვითარების პროცესში მყოფ მეწარმეს.

გამარჯვებულები 18 ივლისს გამოვლინდებიან. აქვე, გვყავს ძალიან ძლიერი პარტნიორები: გაეროს ქალთა ორგანიზაცია, საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენლობა და სხვა მნიშვნელოვანი ორგანიზაციები. მათი მხარდაჭერა გადამწყვეტია, რადგან ამხელა პროექტის მარტო გაკეთება რთული იქნებოდა.

– თქვენ ხართ კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორი. როგორ ახერხებთ ასეთი ფართო მასშტაბის საქმეების მართვას პარტნიორის გარეშე?

– დიახ, ერთადერთი მმართველი პარტნიორი ვარ, მაგრამ გუნდში არ ვარ მარტო. მე მყავს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისთვის საოცნებო გუნდი, ამის თქმა არასოდეს მომბეზრდება. ეს ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ ისეთები, როგორებიც არიან – ამდენი რამის გაკეთებას ნამდვილად ვერ შევძლებდით.

– სამომავლოდ თუ ფიქრობთ კომპანიაში ახალი პარტნიორის შემოყვანას?

– ცხადია. მართალია, ამ ეტაპზე ქართველი პარტნიორის დამატება არ განიხილება, მაგრამ მომავალში არაფერს გამოვრიცხავთ. ახალი პარტნიორის მოძიებას ნამდვილად ვფიქრობთ, განსაკუთრებით, აპლიკაციის კუთხით, ვინაიდან მისი მოდიფიკაცია და განვითარება საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსთან არის დაკავშირებული.

– FAS APP–ის მიმართ როგორია დაინტერესებაა? რამდენად აქტიურად იყენებენ მომხმარებლები?

– ამჟამად მომხმარებლებს აქტიურად ვაწვდით ინფორმაციას აპლიკაციის შესახებ. ეს ხდება შეხვედრებზე, სემინარებზე, ვორქშოფებზე, ან პირდაპირ ინდივიდუალურად. ყველა მიმართულებით ვანაწილებთ რესურსს და წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ. დასაწყისისთვის აპლიკაცია სრულიად უფასოა, რათა მეწარმეებმა შეძლონ მისი დატესტვა და საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ სარგებელში. შემდეგ ეტაპზე განისაზღვრა მინიმალური გადასახადი – თვეში 30 ლარი.

– კომპანიის განვითარების მიმართულებით, კიდევ რა გეგმები გაქვთ უახლოეს მომავალში?

– ჩვენი გეგმა უკავშირდება ციფრულ განვითარებას და ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციას. ვთვლი, რომ არა მხოლოდ ჩვენი კომპანიის, არამედ მთლიანად სფეროს მომავალი – ციფრული ბუღალტერია და ხელოვნური ინტელექტია.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად აღქმულ ტექნოლოგიას. როდესაც აპლიკაცია გავაკეთეთ, ზოგი კოლეგა ფიქრობდა, რომ ეს ბუღალტრებს „სამსახურს წაართმევდა“. სინამდვილეში ასე არ არის – ეს არის ხელსაწყო, რომელიც ბუღალტერს აძლევს მეტ სივრცეს მნიშვნელოვანი სამუშაოებისთვის.

ბუღალტერი არ არის მხოლოდ საგადასახადო დეკლარაციის გადამგზავნი. ბუღალტერი ბევრად მეტია – მან უნდა შეძლოს სწორი მაჩვენებლების დაფიქსირება, ანალიზის გაკეთება, პროგნოზების განსაზღვრა, იმისთვის, რომ მეწარმემ სწორი გადაწყვეტილება მიიღოს.

– ზოგადად როგორ ხედავთ ამ სფეროს მომავალს?

შპს „ლევერიჯ კონსალტინგი“

Leverage Consulting

- ფინანსური ანალიზი და დიაგნოსტირება
- ფინანსური მოდელირება, ბიუჯეტირება და მართვის პროცესების მოწესრიგება
- ფინანსური მენეჯერის აუთსორსი
- გაზარდეთ თქვენი კომპანიის მომგებიანობა ჩვენი დახმარებით

ცოდნა წარმატების საწინდარია!

დაგვიკავშირდით: +995 (579) 30 71 71

– ჩვენი სფეროს ყველაზე დიდი პრობლემა არაკვალიფიციური კადრების სიმრავლეა. სამწუხაროდ, ბევრ ბუღალტერს არ აქვს სისტემური განათლება. ხშირად სამთვიანი კურსით შემოფარგლული სწავლა საკმარისად მიიჩნევა – ეს კი წარმოუდგენელია. შეგიძლიათ, დაასახელოთ სხვა პროფესია, რომლის სწავლაც სამ თვეში შესაძლებელია? მით უმეტეს ისეთი კომპლექსური სფერო, როგორიც ბუღალტრული აღრიცხვაა. აქ საჭიროა მუდმივი განვითარება – სწავლა არასდროს მთავრდება.

ხშირად ადამიანები, რომელთაც სხვა სფეროში არ გაუმართლათ, ფიქრობენ, რომ ბუღალტრები გახდებიან. არ იციან,რეალურად რა პასუხისმგებლობასთან აქვთ საქმე. სწორედ ამიტომ ვფიქრობ,რომ გამოსავალი ლიცენზირების სისტემის შემოღებაა. არაკვალიფიციურმა ბუღალტერმა ისეთივე ზიანი შეიძლება მიაყენოს ბიზნესს, როგორც არაპროფესიონალმა ექიმმა პაციენტს. ეს სერიოზული თემაა, რომელიც წესრიგში უნდა მოვიყვანოთ.

– დასასრულს, ტრადიციული კითხვა – ყოველდღიური საქმიანობის გარდა თუ გაქვთ გატაცება, ჰობი, რომელსაც განტვირთვისთვის იყენებთ? ასევე ვინ არიან თქვენი ოჯახის წევრები?

– ჩემი დრო ძირითადად სამსახურს მიაქვს. მყავს მეუღლე და ორი შვილი – 9 წლის დანიელი და 8 თვის თინა. ერთადერთი, რასაც აუცილებლად ვაკეთებ, კვირა დღე ოჯახთან ერთად უნდა გავატარო და ჩემს შვილებთან ერთად გავერთო.

ესაუბრა მაკა ხარაზიშვილი

„კრისტალმა“ საბანკო სერვისების მიწოდება დაიწყო

მიკრობანკის სტატუსით „კრისტალმა“ საბანკო სერვისების მიწოდება 16 ივნისიდან დაიწყო. მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესსა და გეგმებზე კომპანიის კომერციულმა დირექტორმა მელანია კუჭუხიძემ „საქმიან დილაში“ ილაპარაკა.

მისი თქმით, „კრისტალი“ ბაზარზე დეპოზიტების მიმართულებით მაღალი საპროცენტო განაკვეთით შევიდა.

ამასთან, მელანია კუჭუხიძე ამბობს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსით კომპანიისთვის ფინანსური რესურსის მოზიდვა შედარებით ძვირი იყო, ამიტომ, ამოცანა შედარებით იაფი რესურსით ჩანაცვლებაა.

„დაგვემატა ახალი პროდუქტების არასაკრედიტო მიმართულებით. ამ ნაწილში მოხდა ჩვენი ფოკუსი და გაფართოება მიმდინარე ანგარიშები, გადარიცხვების სერვისი, დეპოზიტები. ბაზარზე შესვლის სტრატეგიად დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი ავიღეთ. ბანკებზე 2.5-3%-ით მეტი გვაქვს შეთავაზება ამ ეტაპზე და ეს 1 აგვისტომდე გაგრძელდება. ჩვენი ბანკად ტრანსფორმაცია განპირობებული იყო იმით, რომ ჩვენი რესურსების ფასი, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მაღალი იყო. სწორედ ეს იყო მიზანი, რომ ჩვენი რესურსები გაგვეიაფებინა და მომხმარებლისთვის სესხები უფრო დაბალ პროცენტში შეგვეთავაზებინა“, **განაცხადა მელანია კუჭუხიძემ.**

მისივე ინფორმაციით, კომპანია მომხმარებლებს მალე შესთავაზებს პლასტიკურ ბარათებსაც და ასევე, მუშაობს ფაქტორინგის მიმართულებით.

ცნობისთვის, „კრისტალმა“ მიკრობანკის ლიცენზია მიმდინარე წლის თებერვალში მიიღო, 16 ივნისიდან კი საბანკო პროდუქტების შეთავაზება დაიწყო. სებ-ის მონაცემებით, 5 თვეში კომპანიის მოგებამ 6.240 მლნ ლარი შეადგინა. გასულ თვეში Fitch Ratings-მა „კრისტალის“ საკრედიტო რეიტინგი „B“ სტაბილურ დონეზე შეაფასა.

ეკონომიკა და პოლიტიკა

ეკონომიკა და პოლიტიკა – ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ სტატიებში განხილულია საქართველოში მიმდინარე ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებასთან; აგრეთვე, შევეხებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას მსგავს სიტუაციებში.

უცხოელებს საქართველოში მუშაობა შეეზღუდებათ

იმუშავებს თუ არა დიდი პოლემიკის შემდეგ მიღებული კანონი?

არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში უცხოელების დასაქმების შეზღუდვა შრომით ბაზარზე მდგომარეობას მეტ-ნაკლებად მოაწესრიგებს და გარკვეულ დადებით გავლენას დემოგრაფიული კუთხითაც მოახდენს, ცხადია, თუკი შემოღებული რეგულაციების აღსრულების მექანიზმი კარგად იმუშავებს და კონტროლი გამკაცრდება. ბიზნესი უკმაყოფილოა, თუმცა ბევრი სპეციალისტი მმართველი პარტიის გადაწყვეტილებას იწონებს და მთავრობას დამატებითი ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდებენ, რაც მიგრაციული პოლიტიკის გადახედვას ითვალისწინებს.

როგორც ცნობილია, „ქართულმა ოცნებამ“ ივნისის ბოლოს დაჩქარებული წესით მიიღო შრომითი მიგრაციის მარეგულირებელ კანონში ცვლილებები, რომლის მიხედვითაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა დასაქმებისთვის სპეციალური ნებართვა უნდა მიიღონ, დამსაქმებლებს კი მათი საჭიროების დასაბუთება მოუწევთ. ამასთან, მთავრობა განუსაზღვრავს ამა თუ იმ სექტორში ბიზნესს შეეძლება თუ არა უცხოელის დასაქმება. აღნიშნულს გულისხმობს „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონში ცვლილებები, რომელიც პარლამენტმა, უმოკლეს დროში, მესამე მოსმენით, 84 ხმით დაამტკიცა. დამტკიცებული კანონის ძირითადი ნაწილი 2026 წლის 1 მარტიდან ამოქმედდება.

რეგულაციის მიხედვით, „*უცხოელ სამუშაო ძალას მიეცემა დასაქმების უფლება მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც დადასტურდება, რომ შესაბამისი პოზიციებისთვის ადგილობრივი კადრები არ არის ხელმისაწვდომი*“.

თუმცა, არის გამონაკლისებიც: „*ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც უკავშირდება უცხოელის საქართველოში შრომით მოწყობას და მის მიერ ანაზღაურებადი შრომითი/სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას, თუ იგი:*

ა) არის ლტოლვილი, დამატებითი დაცვის ან დროებითი დაცვის მქონე პირი, რომელსაც ეს სტატუსი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიენიჭა;

ბ) საქართველოში რეგისტრირებულია თავშესაფრის მაძიებლად;

გ) მუშაობს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობაში, უცხო ქვეყნის საკონსულო დაწესებულებაში, საერთაშორისო ორგანიზაციის კანონიერ წარმომადგენლობაში ან/და ორგანოში;

დ) არის საქართველოში კანონიერ საფუძველზე მოქმედი უცხოური მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ აკრედიტებული ჟურნალისტი საქართველოში;

ე) არის პირი, რომელზედაც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად ვრცელდება შრომითი მოწყობის ამ კანონით დადგენილისგან განსხვავებული წესი;

ვ) არის მოქმედი საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე პირი“.

რაც შეეხება ბინადრობის მოპოვების უფლებას, უცხო ქვეყნის მოქალაქეს ერთწლიანი საბუთის მისაღებად მინიმუმ 150 000 დოლარის ღირებულების ქონება უნდა გააჩნდეს.

ახალი კანონის დაწესების არგუმენტად მთავრობა ადგილობრივი მოქალაქეების ინტერესების დაცვა დაასახელა. როგორც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, სადაც ქართველებს აქვთ დასაქმების ინტერესი, იქ უცხოელი მუშახელის მხრიდან კონკურენციის შეზღუდვა შესაძლებელია. მან ამ რეგულაციაზე ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლისას ისაუბრა.

„*ჩვენს მოქალაქეებს, სხვადასხვა სფეროში, პრობლემას უქმნის ის, რომ მათთან კონკურენციაში შედიან ადამიანები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები. ნებისმიერ სახელმწიფოში მკაცრადაა მოწესრიგებული შრომის ნებართვის საკითხები და ჩვენთანაც ასე უნდა იყოს. აქამდე არ იყო არსებითი რეგულაციები, შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება ამ სიახლის დანერგვის თაობაზე. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს სექტორები, სადაც შესაძლებელი იქნება კონკურენცია დავუშვათ, მაგრამ უნდა იყოს ბაზარზე ისეთი სექტორები, სადაც ჩვენი თანამოქალაქეები კონკურენციისგან უნდა იყვნენ თავისუფლები.*

ეს არის ეროვნული ინტერესი, საქართველოს მოქალაქეების ინტერესი, ნებისმიერი სახელმწიფო მოქმედებს ამ მიდგომით. კანონმდებლობის შემდგომ დახვეწაზე ერთად ვიმუშავებთ“, – განაცხადა პრემიერმა.

სპეციალისტების ნაწილი მთავრობის გადაწყვეტილებას არ იზიარებს იმ თვალსაზრისით, რომ რეგულაციას არ მიიჩნევს შრომის ბაზარზე თანასწორი პირობების შენარჩუნების შესაძლებლობად. ბიზნესის სამართლის ექსპერტი, იურისტი აკაკი ჩარგეიშვილი არ

გამორიცხავს, რომ სამომავლოდ შეიძლება პრობლემა გაჩნდეს იმ სფეროებში, სადაც უცხოელი კადრის დასაქმების აუცილებლობაა.

,,გავეცანი კანონპროექტს და მომეჩვენა, რომ ძალიან მოკლე და უშინაარსო იყო. ვერ ვიტყვი, რომ მართებულად და პრაგმატულად გადადგმული ნაბიჯია. უფრო ემოციების დაკმაყოფილებას ჰგავს,მოულოდნელად წამოვიდა ტალღა მიტანის სერვისთან დაკავშირებით, მაგრამ არ ვიცით, საქართველოს სხვა ქალაქებში რეალურად როგორაა საქმე და რა მდგომარეობაა.

მომხრე ვარ, რომ რეგულირება თანასწორი პირობების შენარჩუნების მიზნით არსებობდეს. არც ისე ივარგებს, უცხოელს ავუკრძალოთ საქართველოში მუშაობა, ამ დროს ჩვენი სპეციალისტები არ გვყავდეს და არც უცხოელი კადრის მოწვევა შეგვეძლოს. კანონს საფუძვლად უდევს ,,ვოლტის'' და ,,ვლოვოს'' გარშემო შექმნილი ვითარება, მაგრამ არ მომხდარა იმ სფეროების შესწავლა, როგორიცაა მშენებლობა, მეღვინეობა და სხვა ინდუსტრიები, სადაც ადგილობრივ კადრთან ერთად, უცხო ქვეყნების მოქალაქეებიც არიან დასაქმებულნი. შესაბამისად,არ ვიცით,რომელ სექტორში რა თანაფარდობით არიან ქართველები და უცხოელები დასაქმებულნი,არც ის,ამ კანონის მიღების შემდეგ რამდენი ადგილი გამოთავისუფლდება,სადაც შესაძლებელი იქნება ადგილობრივი მუშახელი დასაქმდეს. სამწუხაროდ, არც ბაზარი იქნა მოკვლეული და არც პროგნოზი გაკეთებულა.

გასაგებია, რომ ეფექტი ექნება, ნაკლებად დავინახავთ ინდონეზიიდან, ირანიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ადამიანებს, რომლებიც მიტანის სერვისში ადგილობრივ ბაზარს არ მოემსახურებიან, მაგრამ არ ვიცით, სხვა სფეროებში რა სურათი გამოიკვეთება და თუნდაც საბაზრო დონეზე, რა მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს'', – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ჩარგეიშვილმა.

საყურადღებოა ერთი ფაქტი,რომ ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' კანონში ცვლილებები, დისტანციურად დასაქმებულ უცხოელებზე არ გავრცელდება, თუ მათი ასეთი საქმიანობა არ საჭიროებს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას. აკაკი ჩარგეიშვილის შეფასებით,ეს გამოწვეულია იმით,რომ ისინი ასრულებენ შეკვეთას (დავალებებს) დისტანციურად, ინტერნეტის საშუალებით და შესაძლოა, სულაც არ იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. კანონმდებლობა მიმართულია ადგილზე პრაქტიკულად დასაქმებული კადრების რეგულირებისათვის.

სპეციალისტთა ნაწილი კი საკანონმდებლო ცვლილების მომხრეა და მიიჩნევს, რომ ყველაზე მეტი ყურადღება სწორედ აღსრულების ნაწილს უნდა მიექცეს და რიგ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა გაუქმდეს ან მკაცრი შეზღუდვა დაწესდეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღება ,,ერი და სახელმწიფოს'' დამფუძნებელმა ზვიად ტომარაძემ გაამახვილა.

,,უცხოელ მუშახელთან დაკავშირებით ნებისმიერი ცვლილება მისასალმებელია,მაგრამ მაინც არასაკმარისად ვთვლი. არსებულ რეალურ სურათს ეს დიდად ვერ შეცვლის, თუმცა პოზიტიურ ძვრებს მოახდენს, განსაკუთრებით სადისტრიბუციო ბიზნესში,სადაც საპროტესტო აქციებიც კი გაიმართა იმის გამო, რომ იაფ უცხოელ მუშახელთან ადგილობრივი კადრი არაჯანსაღ კონკურენციაში მოექცა. ფაქტობრივად, სამუშაო ადგილების წართმევა ხდება და არ მგონია, კანონმა ამას უშველოს. გაცილებით მეტი ქმედითი ნაბიჯია გადასადგმელი. მხოლოდ შრომითი კანონმდებლობის გამკაცრება სასურველ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს და მიგრაციულ მდგომარეობას დიდად ვერ შეცვლის, სანამ სავიზო რეჟიმი არ გადაიხედება.

ბინადრობის უფლება არ უნდა იყიდებოდეს. მნიშვნელოვანი საკითხია ასევე შრომითი მიგრაციის მოწესრიგება,ყველა ეს საკითხი ერთმანეთთან კავშირშია. გარდა ამისა,არსებობს საფრთხე აღსრულების ნაწილთან დაკავშირებით, რა ზომები გატარდება, როგორ იმუშავებს კონტროლის მექანიზმი,სანქციები და ა.შ. ბევრი ნიუანსია. დემოგრაფიულ ჭრილშიც დიდი პრობლემაა. მალე ჩვენ ეროვნულ უმცირესობაშიც შეიძლება აღმოვჩნდეთ. საქართველოში ათიათასობით არალეგალი იმყოფება. უნდა მოხდეს მათი გამოვლენა და ქვეყნიდან გაძევება, რათა ქაოსური მიგრაციის შედეგად ქვეყნის ინტერესები არ დაზარალდეს'', – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ზვიად ტომარაძემ.

თუმცა, ბიზნესს განსხვავებული არგუმენტები აქვს. კერძო სექტორში ფიქრობენ, რომ კანონი შრომის ბაზრის გამოწვევებს ვერ პასუხობს. როგორც კომპანია ,,ემ-ქეი დეველოპმენტ გრუპის'' დამფუძნებელმა მალხაზ კუნელაურმა განაცხადა, ალოგიკურია ბიზნესმა დაასაბუთოს ადგილობრივი კადრის არარსებობა მაშინ, როდესაც ეს ცხადი მოცემულობაა. დეფიციტი მუშახელის ქვეყნიდან გადინებამ გამოიწვია.

,,ასეთი ტიპის რეგულაციებს საქმიანზე მეტად, პიარულ სვლად ვაფასებ. ეს არის, უბრალოდ, ისრების გადატანის მცდელობა, პასუხისმგებელი მხარის განსაზღვრის თვალსაზრისით. მთავრობამ მთელი რიგი ისეთ ქვეყნებისთვის გახსნა საზღვრები, რომელთა მოქალაქეებსაც განვითარებული სახელმწიფოები საკუთარ ტერიტორიაზე არ უშვებენ, რადგან მათ სარგებელზე მეტი პრობლემები მოაქვთ. ამან ჩვენს მოსახლეობაში გარკვეული კითხვის ნიშნები გააჩინა და ახლა უნდათ, რომ ბიზნესმა დაასაბუთოს უცხოელი კადრების საჭიროება.

ვფიქრობ, ასეთი მიდგომა არ არის სწორი, რადგან ეს ბიზნესის საჭიროება კი არ არის, უბრალოდ, შექმნილი მოცემულობაა. ამის დასაბუთებაც ალოგიკურია, როგორ უნდა დაასაბუთო, რომ მოიძიე და ვერ ნახე კადრი. სად მოიძიე? არსებობს რეალურად ესეთი ტიპის დასაქმების ბაზა? როგორ უნდა დაგისაბუთოს ბიზნესმა, ეძებდა და ვერ ნახა?! ეს ყველაფერი უბრალოდ, უშინაარსო ფურცელზე დაწერილი ტექსტია'', – განაცხადა კუნელაურმა ,,ბიზნესპრესნიუსთან''.

შრომით ბაზარზე რეგულაციების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება რესტორანთა ასოციაციის თავმჯდომარემ. შოთა ბურჯანაძის თქმით, ცვლილება

უნდა გატარდეს ისე, რომ ბიზნესს არ გაურთულდეს უცხოელი მუშახელის აყვანა, რადგან ასეთმა მიდგომამ შესაძლოა, სფერო სერიოზულად დააზარალოს.

„ცალსახად უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი შრომითი ურთიერთობა კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს. პირობითად, უცხოელი იქნება თუ ქართველი მუშახელი, რეგულაცია აუცილებელია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან დიდი უმუშევრობაა, ფაქტია, სხვადასხვა სფეროში, დღეს ბაზარი მუშახელს ითხოვს. არის პოზიციები, სადაც უცხოელების დასაქმება თითქმის გარდაუვალია. შეთავაზებული სხვადასხვა ვაკანსიები მიუღებელია ადგილობრივი მოქალაქისთვის. შესაბამისად, აღნიშნული სფეროები ივსება უცხოელი მუშახელით. მთავარია, არ დაირღვეს ბალანსი და სახელფასო ბიუჯეტი იქნება, თუ შრომითი კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები და უფლებები შეხამებული უნდა იყოს, რომ არ გაურთულდეს ჩამოსულ ადამიანს სამუშაო პროცესში ჩართვა. თუ ეს გართულდა, ბიზნესს საგრძნობლად დააზარალებს. შექმნის დიდ პრობლემას, რომელიც რთულად გამოსასწორებელი იქნება“, – აღნიშნა შოთა ბურჯანაძემ.

აღსანიშნავია, რომ „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონის გამკაცრებასთან ერთად, წესდება სანქციებიც. უცხოელის შესაბამისი უფლების გარეშე დასაქმების შემთხვევაში, დამსაქმებელიც და თავად დასაქმებული უცხოელიც 2000 ლარით დაჯარიმდებიან, განმეორების შემთხვევაში კი, ფულადი სანქცია ორმაგდება. კერძოდ, ახალდამატებული 16[1] მუხლის „შრომითი იმიგრანტის მიერ შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე შრომითი საქმიანობის განხორციელება“ თანახმად:

„1. შრომითი იმიგრანტის მიერ ადგილობრივ დამსაქმებელთან/მომსახურების ორგანიზატორთან შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება, რომლისთვისაც შრომითი იმიგრანტი იღებს ანაზღაურებას, –

გამოიწვევს ადგილობრივი დამსაქმებლის/მომსახურების ორგანიზატორის (თითოეულ შრომით იმიგრანტზე ინდივიდუალურად) დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

2. შრომითი იმიგრანტის მიერ ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე შრომითი საქმიანობის განხორციელება –

გამოიწვევს შრომითი იმიგრანტის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

3. თვითდასაქმებული უცხოელის მიერ შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე შრომითი საქმიანობის განხორციელება –

გამოიწვევს თვითდასაქმებული უცხოელის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.

5. ამ პუნქტით ან ამ მუხლის მე-4 პუნქტით სახდელდადებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის სამმაგი ოდენობით“.

როგორც ცნობილია, აღნიშნული ფულადი სანქციების ამოქმედების ვადად 2026 წლის 1-ლი მარტია განსაზღვრული. ამასთან, რეგისტრირებულმა იმ შრომითმა იმიგრანტებმა, რომლებსაც ამ კანონის ამოქმედების მომენტში რეგისტრაციის სტატუსი აქვთ აქტიური, სპეციალური სამუშაო უფლება და შესაბამისი კატეგორიის ბინადრობის ნებართვა 2027 წლის 1-ელ იანვრამდე უნდა მოიპოვონ.

ცნობისთვის, როგორც შსს იუწყება, დღეისთვის ქვეყანაში 25 ათასამდე არალეგალური მიგრანტია.

ბოლო მონაცემი საქართველოში დასაქმებულ უცხოელებთან დაკავშირებით PMCG-ის ეკუთვნის. ამ ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ინფორმაცია 2024 წლის 1-ლი სექტემბრის მდგომარეობას ასახავს. ირკვევა, რომ ამ დროისთვის უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქართველოში რეგისტრირებული საწარმოების 7%-ს, ჯამში 3 332 კომპანიას ჰყავდა დასაქმებული.

კვლევის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა საწარმოში დასაქმებული იყო 18 935 უცხო ქვეყნის მოქალაქე, რაც ქვეყნის სამუშაო ძალის 2%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი 4%-ით ნაკლებია 2023 წელთან შედარებით, თუმცა 89%-ით აღემატება 2021 წლის მონაცემს.

2024 წლის 1-ლი სექტემბრის მდგომარეობით, დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების უმრავლესობა მსხვილ საწარმოებში (39%) მუშაობს, ხოლო დანარჩენები – მცირე (37%) და საშუალო ზომის (24%) საწარმოებში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დასაქმებულ უცხოელთა 66% თბილისშია თავმოყრილი.

რაც შეეხება სექტორებს, კვლევის მიხედვით, ყველაზე მეტი უცხოელი – 38%, ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორშია დასაქმებული, მეორე ადგილზეა მშენებლობის დარგი, სადაც ეს მაჩვენებელი 14%-ს შეადგენს, ხოლო მესამე ადგილზე – 7%-ით, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობაა.

ამდენად, როგორც მთავრობა აცხადებს, „შრომითი მიგრაციის“ შესახებ კანონი საკუთარი მოქალაქეების ინტერესების დაცვის მიზნით გაამკაცრა. ცხადია, სამსახური სჭირდება ყველას, ადგილობრივს თუ უცხოელს, მაგრამ ახალი კანონის არსით, პრიორიტეტი ადგილობრივი მოსახლეობა უნდა იყოს. ბევრი მიიჩნევს, რომ რეგულაციის ამოქმედების შედეგად მეტ ქართველს მიეცემა სამშობლოში დასაქმების მოტივაცია, რაც ჩვენი თანამემამულეების უცხო ქვეყნებში მიგრაციის პროცესსაც შეანელებს.

ლევან ნატროშვილი

ქართველი მინისტრების ქონებრივი დეკლარაციები

ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობაში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებებია. თითქმის თვე არ გავა, ქვეყნის პრემიერმა რომელიმე მინისტრის შეცვლის შესახებ არ გვაცნობოს. ამ ეტაპზე, ძველი კაბინეტიდან ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანია დარჩენილი. მთავრობის კაბინეტი სულ 14 მინისტრისგან შედგება. აქედან ერთი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ჩიქოვანი ვიცე-პრემიერის პოსტს იკავებს. ჩვენ განვაგრძობთ საჯარო პირების ქონებრივი დეკლარაციების შესწავლას და ამჯერად მინისტრების დეკლარაციებს წარმოგიდგენთ.

მარიამ ქვრივიშვილი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, დაიბადა 1990 წლის 11 ივნისს, თბილისში. მარიამ ქვრივიშვილს განათლება მიღებული აქვს თავისუფალ უნივერსიტეტში (ESM Business School), ასევე დაამთავრა შავი ზღვის უნივერსიტეტი – ბიზნესის მართვის ფაკულტეტი, ბერკლის უნივერსიტეტის (აშშ, კალიფორნია) ბიზნესის ადმინისტრირების მოკლევადიანი კურსი. მარიამ ქვრივიშვილი 2020 წლის 11 დეკემბრიდან 2021 წლის მაისამდე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. მას შემდეგ იკავებდა ეკონომიკისა და მდგრადის განვითარების მინისტრის მოადგილის პოსტს. 2010 წლიდან საქმიანობდა ტურიზმის მიმართულებით სხვადასხვა კომპანიაში.

მინისტრს დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 30 მარტს. მისი ოჯახის წევრია მეუღლე ოთარ ბერიშვილი. დოკუმენტის მიხედვით, მის საკუთრებაშია 110 კვ.მ ბინა თბილისში ბახტრიონის ქუჩაზე, შეძენილია 2021 წელს, ფასი 68 000 დოლარი; 94 ათასი კვ.მ და 97 კვ.მ ბინები თბილისში ნიაღვრის ქუჩაზე, შეძენილია 2016 წელს, ჯამური ღირებულება – 140 000 დოლარი.

დეკლარაციის მიხედვით, მარიამ ქვრივიშვილის სახელზეა რეგისტრირებული 1047 კვ.მ მიწის ნაკვეთი სოფელ წავკისში, შეძენილია 2022 წელს, ფასი 139 251 დოლარი; 147 კვ.მ ბინა, თბილისში პავლე ასლანიდის ქუჩაზე, შეძენილია 2012 წელს, ფასი 98 000 დოლარი; მინისტრის საკუთრებაშია ავტომანქანა BMW/X6, შეძენილია 2018 წელს, ფასი 18 000 დოლარი; ასევე Rolex-ს ბრენდის ორი საათი, შეძენილია 2016-2017 წლებში, მათი ჯამური ღირებულება 22 000 დოლარს შეადგენს; Cartier-ს ბრენდი სამაჯური და საათი, შეძენილია 2017 წელს, მათი ჯამური ღირებულება 10 500 დოლარი.

დოკუმენტის მიხედვით,ოთარ ბერიშვილმა 2021-2023 წლებში აქციები შეიძინა კომპანიებში – Rivian Automative INC და Tesla Inc. მარიამ ქვრივიშვილს „საქართველოს ბანკისა“ და „თიბისი ბანკის“ მიმდინარე და ანაბრის ანგარიშებზე უფიქსირდება 116 000 ლარი, 309 000 დოლარი. ოთარ ბერიშვილის „თიბისი ბანკისა“ და საქართველოს ბანკის“ ანგარიშებზე განთავსებულია 5 167 ლარი, 4 731 დოლარი, 45 724 ევრო.

მარიამ ქვრივიშვილს წილები აქვს კომპანიებში – შპს „ვოიაჟერი“ (10%), საიდანაც 2024 წელს მიიღო 158 000 ლარი; შპს „ეარლაინ რეპრეზენთეიშნ გრუპ“ (30%), შემოსავალი 154 500 ლარი. მას მინისტრის მოადგილის პოზიციაზე ხელფასის სახით მიღებული აქვს 76 787 ლარი.

ოთარ ბერიშვილი არის შპს „აჭარა ჰოლდინგის“ მმართველი პარტნიორი, საიდანაც მიღებული აქვს 385 684 ლარის შემოსავალი.

თინათინ რუხაძე: საქართველის კულტურის მინისტრი, დაიბადა 1970 წლის 30 ივნისს თბილისში. 1989 წელს დაამთავრა თბილისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სახელმწიფო N3 სამუსიკო სასწავლებელი; 1994 წელს – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, პიანისტი, მუსიკისმცოდნე. 1989-1995 წლებში იყო თბილისის მე-4 სამუსიკო სკოლის ფორტეპიანოს მასწავლებელი; 1991-1993 წლებში საქართველოს კულტურის სამინისტროს „ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანება“ კამერული ორკესტრი „თბილისის კონცერტინოს“ დირექტორის მოადგილე; 1994 წლიდან – პროდიუსერი სსიპ საქტელერადიომაუწყებლობის პირველ არხში; 1995 წელს – სსიპ საქტელერადიომაუწყებლობის მეორე არხის გამომშვები რედაქტორი; 2004-2005 წლებში – თბილისის ვასო აბაშიძის მუსიკისა და დრამის თეატრის გენერალური დირექტორი; 2005-2010 წლებში იყო შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი; 2011 წელს დააფუძნა შპს „ბიზნეს კონსალტინგ კომპანი“, სადაც იკავებს დამფუძნებელი პარტნიორის თანამდებობას; 2014-2016 წლებში იყო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მრჩეველი განათლებისა და კულტურის საკითხებში; 2016-2024 წლებში – ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორი.

თინათინ რუხაძეს დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2024 წლის 17 დეკემბერს. დოკუმენტის მიხედვით, მის საკუთრებაშია 135 კვ.მ ბინა თბილისში ფალიაშვილის ქუჩაზე, შეძენილია 2024 წელს, ფასი 300 000 დოლარი; 83 კვ.მ ბინა თბილისში, ყაზბეგის გამზირზე, შეძენილია 2020 წელს, ფასი 100 000 ლარი. მინისტრს დეკლარაციაში მითითებული აქვს მისაღები ოთახის გარნიტური, შეძენილია 2019 წელს, ფასი 2 800 დოლარი; ოქროს ყელსაბამი, შეძენილია 2023 წელს, ფასი 2 500 ევრო; მემკვიდრეობით

მიღებული ორი ოქროს ბეჭედი ბრილიანტის თვლებით, თითოეულის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს; ორი ჩანთა, რომელიც შეიძინა 2024 წელს, თითოეულის ღირებულება შეადგენს 5 995 ევროსა და 8 100 ევროს.

დეკლარაციის მიხედვით, თინათინ რუხაძეს 2024 წლის 1-ლი დეკემბრის მდგომარეობით „თიბისი ბანკისა" და „ხალიკ ბანკის" ანგარიშებზე უფიქსირდება 7 206 ლარი, 130 000 დოლარი, 3 600 ევრო. დანაზოგის გრაფაში მითითებულია 60 000 ლარი და 50 000 დოლარი.

თინათინ რუხაძეს, 2024 წელს, ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორის პოზიციაზე მიღებული აქვს 39 019 ლარი; შპს „ბიზნეს კონსალტინგ კომპანი", მრჩეველი – 158 500 ლარი; შპს „თიხარტი", მრჩეველი – 260 000 ლარი.

ირაკლი ჩიქოვანი: ვიცე-პრემიერი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი, დაიბადა 1980 წლის 28 აგვისტოს, ზუგდიდში. 2002 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. 2001-2004 წლებში იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროში იურისკონსულტი; 2004-2005 წლები – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი, დეპარტამენტის უფროსი; 2005-2007 წლები – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, დეპარტამენტის დირექტორი, გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე; 2007-2009 წლები – გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა, მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე; 2010-2016 წლები პოლიტიკური – პარტია „თავისუფალი დემოკრატების" გამგეობის წევრი, გენერალური მდივანი; 2012-2016 წლები – საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი; 2018-2019 წლები – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სტრატეგიული კომუნიკაციების საკითხებში; 2019-2020 წლები – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში; 2020 წლიდან – საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი.

ირაკლი ჩიქოვანს დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 19 თებერვალს. დოკუმენტის მიხედვით, მინისტრის ოჯახის წევრები არიან – მეუღლე დიანა ჟღენტი, შვილები – მარიამ და ნიკოლოზ ჩიქოვანები. მინისტრის საკუთრებაშია 217 კვ.მ ბინა და 15 კვ.მ ავტოფარეხი თბილისში, ჯაფარიძის ქუჩაზე, შეძენილია 2014 წელს, ფასი 134 000 დოლარი. მის მეუღლეს, დიანა ჟღენტს მემკვიდრეობით აქვს მიღებული 158 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 600 კვ.მ აგარაკი სოფელ მუხათწყაროში. მინისტრს „საქართველოს ბანკის" მიმდინარე ანგარიშზე მითითებული აქვს 12 030 ლარი, 660 დოლარი. ირაკლი ჩიქოვანს დანაზოგის სახით უფიქსირდება 30 000 ლარი, დიანა ჟღენტს – 9 000 დოლარი.

გელა (გეკა) გელაძე: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, დაიბადა 1982 წლის 18 სექტემბერს, თბილისში. 2024 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის მაგისტრი. შსს-ს მინისტრის პოსტს იკავებს 2025 წლის 28 მაისიდან. 2024-2025 წლები – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, მინისტრის მოადგილე; 2023-2024 წლები – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, მინისტრის მოადგილე; 2018-2023 წლები – სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსი; 2016-2018 წლები – შსს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, სამმართველოს უფროსი; 2012-2016 წლები – პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე; 2010-2012 წლები – სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილე; 2008-2010 წლები – შპს „ელიზი ჯგუფი" დირექტორი; ასევე 2001 წლიდან 2007 წლამდე მუშაობდა სამართალდამცავ ორგანოებში სხვადასხვა პოზიციაზე.

დეკლარაციის მიხედვით, გელა გელაძის ოჯახის წევრები არიან: მეუღლე – ნათია ელიზბარაშვილი, შვილები ელენე და გიორგი გელაძეები.

ნათია ელიზბარაშვილის საკუთრებაშია 34 კვ.მ მშენებარე სასტუმროს ნომერი ყაზბეგის გამზირზე, შეძენილია 2024 წელს, მშობლის მიერ ნაჩუქარი 150 000 დოლარით; 60 კვ.მ ბინა და 9 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, 2007 წელს ჩუქებით აქვს მიღებული; 23 კვ.მ მიწის ნაკვეთი კოჯორში, შეძენილია 2016 წელს, ფასი 1 443 ლარი; 94 კვ.მ მიწის ნაკვეთი კოჯორში (50%), შეძენილია 2021 წელს, ფასი 7 552 ლარი; 14 კვ.მ ავტოფარეხი თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, შეძენილია 2012 წელს, ფასი 10 000 დოლარი; 61 კვ.მ ბინა დაბა ბაკურიანში, შეძენილია 2017 წელს, ფასი 72 820 ლარი; 817 კვ.მ მიწის ნაკვეთი კოჯორში, შეძენილია 2017 წელს, ფასი 11 000 ლარი; 55 კვ.მ ბინა დაბა ბაკურიანში, შეძენილია 2017 წელს, ფასი 55 650 ლარი; 30 კვ.მ ბინა დაბა ბაკურიანში, შეძენილია 2017 წელს, ფასი 37 350 ლარი; 175 კვ.მ ბინა თბილისში ჭავჭავაძის გამზირზე, შეძენილია 2012 წელს, ფასი 182 350 დოლარი; 234 კვ.მ კომერციული ფართი თბილისში ჭავჭავაძის გამზირზე, შეძენილია 2013 წელს, ფასი 388 886 დოლარი; 168 კვ.მ მშენებარე ბინა, 20 კვ.მ ავტოფარეხი თბილისში, ინოვაციების ქუჩაზე, შეძენილია 2023 წელს, ფასი 228 541 დოლარი და 3 662 ლარი.

გელა გელაძის სახელზეა რეგისტრირებული 7 350 კვ.მ მიწის ნაკვეთი (50%) ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ მაღრაანში, შეძენილია 2023 წელს, ფასი 5 500 ლარი; 1 468 კვ.მ საცხოვრებელი სახლი ბეთანიაში,

რომელიც 2009 წელს ჩუქების სახით მიიღო; მის საკუთრებაშია ავტომანქანა TOYOTA L200, შეძენილია 2013 წელს, ფასი 70 000 დოლარი, ხოლო მისი მეუღლის საკუთრებაშია ავტომანქანა მერსედესი, შეძენილია 2019 წელს, ფასი 105 000 ევრო.

დოკუმენტის მიხედვით, გელა გელაძეს „თიბისი ბანკის" ანგარიშზე ერიცხება 15 000 ევრო. ნათია ელიზბარაშვილს „თიბისი ბანკისა" და „ბაზისბანკის" ანგარიშებზე განთავსებული აქვს 22 087 ლარი,112 447 დოლარი, 6 394 ევრო, 15 508 ფუნტი. გელა გელაძემ 2024 წლის 11 თვეში განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის პოზიციაზე მიიღო 84 573 ლარი, ხოლო 2024 წლის დეკემბერში თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოზიციაზე – 7 752 ლარი.

პაატა სალია: საქართველოს იუსტიციის მინისტრი, დაიბადა 1972 წლის 6 ივნისს, სოხუმში. 1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი და მოიპოვა აკადემიური ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში. 2001 წელს ილია ვეკუას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2007–2009 წლებში მოიპოვა სამართლის მაგისტრის ხარისხი სავაჭრო სამართალში, კავკასიის უნივერსიტეტი, სამართლის სკოლა. 2012–2013 წლებში დაამთავრა წინასამაგისტრო პროგრამა ამერიკულ სამართალში, ამერიკული სამართლის სკოლა, ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლა. 2020 წელს – მოიპოვა სამართლის მაგისტრის ხარისხი ამერიკულ, საერთაშორისო და ტრანსნაციონალურ სამართალში, ილინოისის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლა, აშშ.

პაატა სალია 2000-2001 წლებში იყო შპს „ადვოკატის" იურისტი. 2001-2005 წლებში – შპს „თბილისის საარბიტრაჟო პალატაში" დირექტორის მოადგილე. 2005-2019 წლებში – შპს „გაბუნია და პარტნიორები", პარტნიორი. 2019-2024 – შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2", გენერალური დირექტორი. 2024 წლიდან საქართველოს მე-11 მოწვევის პარლამენტის წევრი. 2025 წლის აპრილიდან იკავებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის პოსტს.

პაატა სალიას დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 10 თებერვალს. დოკუმენტის მიხედვით, მისი ოჯახის წევრები არიან: მეუღლე – ქეთევან ჯელაძე, შვილები – ნინო და მარიამ სალიები. ქეთევან ჯელაძის სახელზეა რეგისტრირებული 424 კვ.მ საცხოვრებელი სახლი და 168 კვ.მ (16,6%) მიწის ნაკვეთი, მცხეთაში, სოფელ ახალსოფელში, შეძენილია 2021 წელს, საერთო ფასი 121 000 დოლარი; ამავე სოფელში ორი მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 1 247 კვ.მ, შეძენილია 2020 წელს, ფასი 37 410 დოლარი; 180 კვ.მ ბინა თბილისში, იასამნების ქუჩაზე, შეძენილია 2015 წელს, ფასი 203 130 დოლარი; ნინო სალიას საკუთრებაშია 45 კვ.მ ბინა ბათუმში, შეძენილია 2011 წელს, ფასი 30 000 დოლარი.

პაატა სალიას საკუთრებაშია ავტომანქანები – Porsche Cayenne შეძენილი 2024 წელს, ფასი 122 800 ევრო; HYUNDAI TUCSON შეძენილია 2021 წელს, ფასი 30 500 დოლარი. ქეთევან ჯელაძის საკუთრებაშია ავტომანქანა – LAND ROVER DEFENDER შეძენილია 2025 წელს, ფასი 66 400 დოლარი.

დეკლარაციის მიხედვით,პაატა სალიას „საქართველოს ბანკის" ანგარიშზე უფიქსირდება 8 379 ლარი და 702 დოლარი. ამავე ბანკის ანგარიშზე ქეთევან ჯელაძეს მითითებული აქვს 8 580 ლარი. ოჯახს დანაზოგის სახით, უფიქსირდებათ 95 000 დოლარი.

საანგარიშო პერიოდში, ქეთევან ჯელაძეს შპს „ედუქეიშენალ მენეჯმენტ პარკის" დირექტორის პოზიციაზე მიღებული აქვს 9 475 ლარი. ამასთანავე, იგი ამავე კომპანიის 40%-იანი წილის მესაკუთრეა, საიდანაც 344 600 ლარის შემოსავალი უფიქსირდება. ქეთევან ჯანელიძე ფლობს შპს „სალ თურქეთის" 30,8%-ს, შემოსავალი – 55 503 ლარი.

პაატა სალიას დეპუტატატობის პერიოდში ხელფასის სახით მიღებული აქვს 2 992 ლარი (სალიას დეპუტატის უფლებამოსილება პარლამენტმა 2024 წლის 10 დეკემბერს სცნო, შესაბამისად, დეკლარაციაში აისახა წლის ბოლომდე მიღებული შემოსავალი – რედ. შენიშვნა), შპს „ბაზელის" იურისტის პოზიციიდან – 75 077 ლარი, „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენში" იურიდიული სამმართველოს უფროსის პოზიციაზე – 59 948 ლარი, „სმარტ კაპიტალ ქონსალთენსის" იურისტის პოზიციაზე – 246 122 ლარი.

გივი მიქანაძე: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი, დაიბადა 1977 წლის 20 მაისს, თბილისში. 1999 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; 2009 წ. – ესექსის უნივერსიტეტის (გაერთიანებული სამეფო) იურიდიული სკოლა, ევროკავშირის – სამართალი, სამართლის მაგისტრი. 01.01.2013 წლიდან ამსტერდამის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ნიდერლანდების დანაშაულისა და ძალოვანი სტრუქტურების კვლევითი ცენტრის (ნიდერლანდები) დოქტორანტი,სადისერტაციო თემა „პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა საქართველოში". 2003 წელს – ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კურსი (ვარშავა, პოლონეთი), ადამიანის უფლებათა ექსპერტი.

გივი მიქანაძე მინისტრობამდე იყო საქართველოს მე-11 მოწვევის პარლამენტის წევრი. 2019 წლიდან – მსოფლიო პარლამენტის აპარატის უფროსების ასოციაცია (ASGP), აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 2018 წლიდან – საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი. 2019 წელს – აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნების პარლამენტის აპარატის უფროსების ქსელი

შპს „ცოდნისა“-ს შვილობილმა კომპანიამ – შპს „იბერ-ინფომ“ 11,5-წლიანი სასამართლო დავა (საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით) გამარჯვებით დაასრულა!

2024 წლის 16 მაისს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება (საქმე № 330210013162326) დავაზე, რომელიც წარმოებდა საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელზე შპს „ეფემჯი სოფტის“ და შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წინააღმდეგ.

ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ეს სარჩელი, ამით მან ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელი ცნობილი იქნა სამართლიანად (ვინაიდან ძალაში დარჩა მანამდე მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება) და მოწინააღმდეგე მხარეს, შპს „იბერ-ინფოსთვის“ გადასახდელად დაეკისრა დიდი ოდენობის ჯარიმა მის მიერ 2010-2012 წლებში განხორციელებული ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფისა და საავტორო უფლებების დარღვევის გამო (აღნიშნული გადაწყვეტილების დასკვნითი ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად).

ამით ეს დავა, რომელიც 2012 წლის დეკემბერში დაიწყო და შესაბამისად, უპრეცედენტოდ დიდხანს – 11,5 წლის განმავლობაში გაგრძელდა, დასრულდა შპს „იბერ-ინფოს“ გამარჯვებით!

შპს „იბერ-ინფო“ არის შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს ერთ-ერთი შვილობილი კომპანია, რომელიც 1997 წლის ნოემბერშია დაფუძნებული და მას შემდეგ საქართველოში ავრცელებს საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერს“. დღეისათვის, ეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული პროგრამაა.

(EAPNSG), თავმჯდომარე; 2020 წელს – ილიაუნი სამართლის სკოლა, მიწვეული ლექტორი. 2018 წლიდან საქართველოს პარლამენტის აპარატი, აპარატის უფროსი; 2017-2018 წლები – ევროპის პოლიციის კოლეჯთა ასოციაცია (EAPC), გამგეობის წევრი; 2016-2018 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემია, რექტორი; 2013-2017 – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი; 2012 წლიდან – ა(ა)იპ „სასჯელის აღსრულების კვლევითი ცენტრი“, დამფუძნებელი, გამგეობის წევრი; 2011 წლიდან – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, მიწვეული ლექტორი; 2005-2008 წლები – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მინისტრის მოადგილე; 2005 წელი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ეუთოს ერთობლივი პროექტი „ქუთაისის ციხის პერსონალის გადამზადება“, პროექტის მენეჯერი;

გივი მიქანაძეს დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 18 მარტს. დოკუმენტის მიხედვით, გივი მიქანაძის ოჯახის წევრები არიან: მეუღლე – ნინო მიქანაძე, შვილები – დავით, ლუკა და ნიკოლას მიქანაძეები. გივი მიქანაძის საკუთრებაშია 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 1221 კვ.მ აგარაკი, დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბოსლებში, შეძენილია 2021 წელს, ფასი 71 500 დოლარი; 613 კვ.მ მიწის ნაკვეთი ლანჩხუთში, შეძენილია 2024 წელს ფასი 8 400 ლარი. ნინო მიქანაძის სახელზეა რეგისტრირებული 55,6 კვ.მ ბინა თბილისში, პეტრე იბერის ქუჩაზე, შეძენილია 2025 წელს, ფასი 44 480 დოლარი. გივი მიქანაძის საკუთრებაშია ავტომანქანა – „ტოიოტა ჰაილენდერი“, შეძენილია 2023 წელს, ფასი 24 500 დოლარი.

მინისტრს „საქართველოს ბანკში“ აქვს 10 002 ლარის ანაბარი, ხოლო „თიბისი ბანკის“ მიმდინარე ანგარიშზე – 1 929 ლარი. საქართველოს პარლამენტში მუშაობისას ხელფასის სახით მიღებული აქვს 53 449 ლარი, „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში“ (ასოცირებული პროფესორი) – 18 090 ლარი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი) – 13 266 ლარი. ნინო მიქანაძეს საქართველოს პარლამენტში წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე ხელფასის სახით მიღებული აქვს 30 583 ლარი.

დავით სონღულაშვილი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, დაიბადა 1983

წლის 1 იანვარს. დავით სონღულაშვილმა 2004 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ეკონომიკური ინფორმატიკის მიმართულებით; 2001 წელს მანჩესტერის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტი, ეკონომიკური მეცნიერების გაცვლითი პროგრამა; 2006 წელს კავკასიის ბიზნესის სკოლა მარკეტინგის სპეციალობით; 2009 წელს გრენობლის ბიზნესის უმაღლესი სკოლა, სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნესის მაგისტრი.

იგი 2003 წელს იყო ტელეკომპანია „მზე"-ს გაყიდვების მენეჯერი; 2004 წელს საქართველოს ეკონომიკის მინისტრის თანაშემწე; 2004 წელს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი; 2004-2006 წლებში „საქართველოს ბანკის" შესყიდვების დეპარტამენტის დირექტორი; 2007-2016 წლებში სს „ედრესის" მმართველი დირექტორი; 2016-წლიდან საქართველოს პარლამენტის წევრი.

დავით სონღულაშვილს დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 31 იანვარს. მისი ოჯახის წევრები არიან:მეუღლე – ქეთევან მაღულარია,შვილები – სესილი, ბიძინა და გაბრიელ სონღულაშვილები. დოკუმენტის მიხედვით, მინისტრის საკუთრებაშია 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი სოფელ ტაბახმელაში, შეძენილია 2007 წელს, ფასი 5 000 ლარი. 336 კვ.მ ბინა თბილისში ყაზბეგის გამზირზე, შეძენილია 2016 წელს, ფასი 400 000 ლარი; 600 კვ.მ აგარაკი დაბა კოჯორში, შეძენილია 2016 წელს, ფასი 120 000 ლარი.

დავით სონღულაშვილის „საქართველოს ბანკის" საბარათე ანგარიშზე განთავსებული აქვს 4 719 ლარი. ბიძინა სონღულაშვილს „საქართველოს ბანკის" ანაბარზე – 65 145 ლარი. სესილი სონღულაშვილს „საქართველოს ბანკის" ანაბარზე – 7 642 ლარი. დავით სონღულაშვილის დეკლარაციის დანაზოგის გრაფაში მითითებულია 75 000 დოლარი და 20 000 ლარი. მინისტრი არის შპს „გამსახურდიას 5"-ს მეწილე (16%), საიდანაც მიღებული აქვს 27 250 ლარის შემოსავალი. მინისტრის პოზიციიდან – 6 683 ლარი, ხოლო დეპუტატის პოზიციაზე – 48 512 ლარი. ქეთევან მაღულარიას შპს „ბოიგარსიდან" ფოტოგრაფის პოზიციაზე მიღებული აქვს 24 565 ლარი.

მაკა ხარაზიშვილი

„ბათუმში უძრავი ქონების 60-70% ყოველწლიურად უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე იყიდება" – G&T

საქართველოში უძრავ ქონებაზე მოთხოვნას ძირითადად კვლავინდებურად საქართველოს მოქალაქეები ქმნიან, თუმცა ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოელების მიერ საქართველოს უძრავი ქონების მიმართ ინტერესი.

გალტ&თაგარტის კვლევის მიხედვით, მიმდინარე წლის 5 თვეში მხოლოდ დედაქალაქში 3 179 ბინა გაიყიდა, რომლის 23% უცხოელებმა იყიდეს. მათაგან ჯამურ გაყიდვებში ყველაზე დიდი წილი 11% ისრაელის მოქალაქეებზე მოდის, წინა წლის მსგავსად ბინების 2% რუსეთის, 10% კი სხვა ქვეყნების მოქალაქეებმა შეიძინეს.

საინვესტიციო ბანკის ასოცირებული მკვლევარი, ზუკა თავყელიშვილი ამბობს, რომ უცხოელების მხრიდან განსაკუთრებული ინტერესი ბათუმის უძრავი ქონების ბაზრის მიმართ არსებობს.

„ბათუმი და თბილისი საცხოვრებელი უძრავი ქონებისთვის ცხელი წერტილია, თუმცა არის შინაარსობრივი განსხვავებები ამ ორ ქალაქს შორის. პირველი, თუ თბილისში ძირითადად ბინები იყიდება საცხოვრებელი მიზნობრიობით, ბათუმში უფრო საინვესტიციო მიზნობრიობით იყიდება და ეს აისახება თბილისში ბინის საშუალო ზომაში, სადაც გვაქვს საშუალოდ 70 კვადრატული მეტრის ბინები, მაშინ როცა ბათუმში დაახლოებით 40 კვადრატული მეტრია საშუალო ფართი. ეს ითარგმნება ასევე ღირებულებაში, თუ თბილისში დაახლოებით 90 000 დოლარი ღირს ბინა, ბათუმში 60 000 დოლარი ღირს საშუალოდ.

საინვესტიციო ხასიათი იწვევს იმას, რომ ბათუმში ბევრად უხვად გვყავს წარმოდგენილი უცხო ქვეყნის მოქალაქეები უძრავი ქონების გაყიდვებში. ჩვენი შეფასებით, 60-70% ყოველწლიურად იყიდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, მაშინ როცა თბილისში ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა ქმნის მოთხოვნას და 85-90% გაყიდვებისა საქართველოს მოქალაქეებზე მოდის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისის ბაზარი დამოკიდებულია ადგილობრივ მოსახლეობაზე, მაშინ როდესაც ბათუმში უცხო ქვეყნის მოქალაქეები მნიშვნელოვან მოთხოვნას ქმნიან".

მისი თქმით, გაყიდვებში ყველაზე დიდი წილი ეჭირა რუსეთის მოქალაქეებს. მას მოჰყვებოდა ისრაელი, პოლონეთი, თურქეთი, უკრაინა და დასავლური ქვეყნებიც. ასევე არაბეთის ქვეყნების წარმომადგენლებისთვის ბოლო წლებში საკმაოდ მიმზიდველი გახდა ეს ბაზარი.

„პირველი მიზეზი არის, რომ უძრავი ქონება იაფია და საშუალო ღირებულება ბინის არის დაბალი, ხოლო მეორე მხრივ ამონაგები არის მაღალი. თუ შევედრებით სხვა ზღვისპირა ქალაქებს, რომლებიც საინვესტიციოდ განიხილება, ბათუმის ბაზარზე ამონაგები 8%-ზე მაღალია, საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება.

რაც შეეხება თბილისს, აქ ადგილობრივი მოსახლეობა წარმოადგენს მოთხოვნის მთავარ სტიმულატორს, რასაც ბოლო ტენდენციას თუ გადავხედავთ, მოჰყვება ისრაელის ბაზარი. 2025 წლის 5 თვის გამოკვლევით, დაახლოებით 11%-იანი წილი მოდიოდა ისრაელის მოქალაქეებზე", **აცხადებს თავყელიშვილი.**

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იკლებს

Fitch Raitings-ი კლების მიზეზად პოლიტიკურ ფაქტორებზე მიანიშნებს

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მცირდება. გასულ თვეში, საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, რომელიც პირველი კვარტალის მდგომარეობას ასახავს, ქვეყანაში 179.4 მლნ აშშ დოლარის მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხორციელდა. ეს მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 7.7%-ით ნაკლებია. მეტიც, ინვესტიციების ეს მოცულობა 2021 წლის პირველი კვარტალის შემდეგ ყველაზე მცირეა, რაც გასული 4 წლის განმავლობაში რომელიმე კვარტალის პერიოდში შემოსულა.

2021 წლის პირველ კვარტალში საქსტატმა 143.8 მლნ დოლარის FDI (Foreign direct investment) დათვალა. თუ გავიხსენებთ, 2021 წელი კოვიდპანდემიის შემდგომი პერიოდი იყო და ინვესტორების მოზიდვა შედარებით გართულებული იყო. თუმცა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი ძალა ხშირად იმეორებს, რომ ქვეყანაში მიმზიდველი ბიზნეს-გარემოა და ინვესტორები აქ ინვესტირებას მაინც ერიდებიან, აშკარად რაღაც ვერ არის ისე, როგორც უნდა იყოს.

ივნისშივე გახდა ცნობილი საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Fitch Ratings-ის შვილობილი Fitch Solutions Group Limited-ის მორიგი ანგარიში. ანგარიშში საქართველოში სავაჭრო და საინვესტიციო რისკებია შეფასებული. *„საქართველო სავაჭრო და საინვესტიციო რისკის ინდექსში 8 პოზიციით ჩამოქვეითდა“*, – ესეც აღნიშნულია ანგარიშში.

ორგანიზაციის ანგარიშში წერია, რომ საქართველო მსოფლიო მასშტაბით 202 ბაზრიდან მე-80 ადგილზეა სავაჭრო და საინვესტიციო რისკების მიხედვით.

Fitch-ი მიუთითებს, რომ ინვესტიციებზე, ვაჭრობასა და ფინანსურ დახმარებაზე უარყოფითად აისახება საქართველო-ევროკავშირს შორის დაძაბულობა, რომელიც ბრიუსელის მიერ 2024 წლის არჩევნების ლეგიტიმურობის არ აღიარებას მოჰყვა. „ქართული ოცნება“ ასევე იღებს საკამათო კანონმდებლობას, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს დემოკრატიულ ღირებულებებს და პოტენციურად, შექმნას ევროკავშირის მხრიდან სანქციების რისკი. ანგარიშის თანახმად, მსხვილ ევროპულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შესაძლოა ხელი შეუშალოს ევროინტეგრაციის პროცესის პარალიზებამ, მნიშვნელოვანი მარეგულირებელი და ეკონომიკური გაურკვევლობის ფონზე, სანქციების რისკის პირობებში.

Fitch-ი განიხილავს რისკის სხვადასხვა კატეგორიებს:

ეკონომიკური ღიაობა (ზომიერიდან მაღალ რისკამდე):

Fitch-ი აღნიშნავს, რომ შეამცირა 2025 ფინანსური წლის მოკლევადიანი პერსპექტივა, გაზრდილი პოლიტიკური არასტაბილურობისა და ევროკავშირთან გაუარესებული ურთიერთობების გათვალისწინებით. ამ კომპონენტში წლიურად საქართველოს პოზიცია 22 ადგილით გაუარესდა.

„არსებობს შესაძლებლობა, რომ ევროკავშირმა სანქციები დააწესოს დემოკრატიული ღირებულებების შელახვასთან დაკავშირებული შეშფოთების გამო. უცხოელი ინვესტორები, განსაკუთრებით ევროკავშირისა და სხვა დასავლური ბაზრებიდან, სავარაუდოდ,

დიაგრამა 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2023-2025 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)



საქართველოს მიმართ სიფრთხილეს გამოიჩენენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბრიუსელსა და თბილისს შორის დაძაბულობა კვლავ მკვეთრი რჩება. ევროინტეგრაციის და გაწევრიანების მოლაპარაკებების განახლება, სავარაუდოდ, 2028-2029 წლებში არ მოხდება, რაც ბიზნესსა და ინვესტიციებს ხელს შეუშლის“, – წერია ანგარიშში.

მთავრობის ჩარევა (დაბლიდან ზომიერამდე რისკი):

ქვეყნის პოზიცია წლიურად 4 ადგილითაა გაუარესებული. Fitch-ი აღნიშნავს, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პოლიტიკური არასტაბილურობის დონე გაიზარდა, რადგან ევროკავშირი უარს ამბობს „ქართული ოცნების“ მთავრობის ლეგიტიმურობის აღიარებაზე. სანქციების ალბათობამ შეიძლება ხელი შეუშალოს ვაჭრობას, ინვესტიციებსა და ფინანსურ დახმარებას, რამაც შეიძლება გაზარდოს სესხის აღების ხარჯები და შეასუსტოს ინვესტორების განწყობა. მოკლევადიან პერსპექტივაში, ვხედავთ, რომ ახალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე ძალიან დაბალი დარჩება, კაპიტალის გადინების რისკი კი გაიზრდება.

იურიდიული (დაბლიდან ზომიერამდე რისკი):

ქვეყნის პოზიცია წლიურად 5 ადგილით გაუმჯობესდა. თუმცა, 2024 წლის დეკემბრის საპრეზიდენტო არჩევნებმა მნიშვნელოვნად შეცვალა სამართლებრივი და მარეგულირებელი ლანდშაფტი. დასავლეთთან, განსაკუთრებით ევროკავშირთან, ურთიერთობებიც კიდევ უფრო დაიძაბა. ბრიუსელმა უარი თქვა ახალი ხელმძღვანელობის ლეგიტიმურობის აღიარებაზე და სხვადასხვა სანქციების პაკეტს განიხილავს. ეს ჩრდილს მიაყენებს სამართლებრივ ჩარჩოს და პოტენციურად შეაფერხებს ევროკავშირში ინტეგრაციის მისწრაფებებს.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ Fitch-ის მკვლევართა გუნდის თანახმად, საქართველოს ეკონომიკა, სავარაუდოდ, 2024 წლის 9.7%-იანი ზრდის შემდეგ, 2025 წელს 5.5%-ით გაიზრდება. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საინვესტიციო მიმზიდველობაზე მოქმედ პოლიტიკურ ფაქტორებზე მნიშვნელოვნად არის ყურადღება გამახვილებული.

„ძირითადი დაღმავალი რისკები გამომდინარეობს „ქართული ოცნების“ მთავრობასა და მშვიდობიან მოსახლეობას შორის მზარდი დაძაბულობიდან, რაც გამოწვეულია ქვეყნის სულ უფრო პრორუსული საგარეო პოლიტიკური პოზიციით. პოლიტიკური გარემო კვლავ პოლარიზებულია, რადგან მმართველი „ქართული ოცნების“ პარტია, როგორც ჩანს, სულ უფრო სკეპტიკურად უყურებს ქვეყანაში დასავლურ გავლენას, მაშინ როდესაც მოსახლეობა ძირითადად ევროპასთან უფრო მჭიდრო კავშირებს ემხრობა“, – წერია ანგარიშში, სადაც ასევე ნათქვამია, რომ ევროკავშირიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებისა და პოტენციური სანქციების ეკონომიკური შედეგები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს და ქვეყნის გრძელვადიანი ზრდის პერსპექტივები შეამციროს.

Fitch Solutions აღნიშნავს, რომ ევროკავშირში გაწევრება საქართველოსთვის შორეულ პერსპექტივად რჩება, ფართომასშტაბიანი სტრუქტურული რეფორმების საჭიროებისა და რუსეთსა და ევროკავშირს შორის საქართველოს მთავრობის პოლიტიკური ბალანსის გათვალისწინებით.

ანგარიშში ნახსენებია ჩინეთიც. კერძოდ, წერია, რომ უცხოური გავლენის შესახებ კანონპროექტმა ევროკავშირისა და აშშ-ის მიერ საპასუხო სანქციების სერია გამოიწვია, თუმცა, ქვეყნის რისკის გუნდი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა მინიმალური იქნება.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ ევროკავშირი და აშშ ერიდებიან ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც ეკონომიკას დააზიანებს, რათა თავიდან აიცილონ საზოგადოებრივი აზრის გაუცხოება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს დაახლოება მის გეოპოლიტიკურ მეტოქეებთან, როგორიცაა რუსეთი და ჩინეთი“, – წერია ანგარიშში.

ორგანიზაცია ხაზს უსვამს მიგრაციის ეფექტსაც და ხედავს რისკს, რომ საქართველოს ეკონომიკა შეიძლება დესტაბილიზდეს რუსი მიგრანტებისა და მათი კაპიტალის უეცარი ან მასშტაბური გადინების შემთხვევაში.

ის ასევე ელის, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი გააგრძელებს მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქებას ინფლაციის შერბილების შესაბამისად.

უშუალოდ Fotch Solutions-ის ანგარიშზე საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების კომენტარი არ იძებნება, თუმცა, მოგვიანებით, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველოში პოზიტიური ეკონომიკური გარემოა და „ბიზნესს აბსოლუტური თავისუფლება აქვს“.

კობახიძე ასევე ოპოზიციის განცხადებებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მათი პროგნოზები ვერ გამართლდა:

„ჩვენს ოპონენტებს ძალიან აწუხებთ მაღალი ეკონომიკური ზრდა. ერთ-ერთი ექსპერტი აცხადებდა, რომ ჩვენ გვექნებოდა ორნიშნა ინფლაცია ქვეყანაში, მაშინ, როდესაც გვაქვს სტანდარტული მაჩვენებელი ამ კუთხით. ისინი აცხადებდნენ, რომ ლარის კურსი მარტში მიაღწევდა 3,1-ს, და ჩვენ სტაბილურად ვინარჩუნებთ ლარის კურსს 2,72-ის ფარგლებში. ეკონომიკურ ზრდაზე ამბობდნენ, რომ გვექნებოდა მინუსი და აქამდე მაჩვენებელი არის 9,8%“, – განაცხადა „იმედის“ ეთერში.

როდესაც ხელისუფლების პოზიცია დასავლეთის ქვეყნების მიმართ ხისტია და ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ხშირად საქართველოს მტრებად აცხადებენ, Fitch Solutions-ის კრიტიკული ანგარიშის გათვალისწინება ნაკლებად მოსალოდნელია. სამაგიეროდ, ყოფილმა მინისტრის მოადგილემ საგანგაშო მდგომარეობად შეაფასა გამოქვეყნებული ანგარიში.

ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ მრჩეველი, ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე ნიკოლოზ ალავიძე აღნიშნავს, რომ Fitch Solutions-ის ასეთი შეფასებები ინვესტორებისთვის წითელი დროშის სიგნალს ნიშნავს.

როგორც ნიკოლოზ ალავიძე BMG-სთან ამბობს,

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ რედაქციის

განცხადება

ჩვენი ჟურნალის რედაქცია გამოხატავს პროტესტს „ბათუმელების“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებლის და დირექტორის – მზია ამაღლობელის მიმართ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნისა და წინასწარი პატიმრობის შეფარდების გამო.

მიგვაჩნია, რომ მზია ამაღლობელის წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა პოლიციელისთვის სილის გაწვნის გამო, არის არაპროპორციული და უსამართლო. ვუცხადებთ სრულ სოლიდარობას ქალბატონ მზია ამაღლობელს და მოვითხოვთ მისთვის თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების შეცვლას (პირველ რიგში) და შემდგომ მის მიმართ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას!

ასევე, სახელმწიფო სტრუქტურებისგან ვითხოვთ სხვა მართლაც მძიმე დანაშაულის ფაქტების გამოძიებას, როგორიცაა: „ფორმულას“ ჟურნალისტზე გურამ როგავაზე სამართალდამცველის ბრუტალური თავდასხმა, „ტვ პირველის“ გადამღებ ჯგუფზე ნიღბიანი პირების ჯგუფური თავდასხმა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის სხვა შემთხვევები.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ რედაქციის სახელით,
მთავარი რედაქტორი გიორგი ცერცვაძე

ანგარიშში დეტალურად და მკაფიოდაა შეფასებული საქართველოში დღეს არსებული პრობლემური ვითარება, მათ შორის მიზეზი, თუ რატომ შორდება საქართველო დასავლეთს. მისი თქმით, შექმნილი ვითარება ქვეყანაში პასუხისმგებლიანი ინვესტორების შემოსვლას ხელს არ უწყობს.

„Fitch Solutions-ის ვრცელი დასკვნა ინვესტორებისთვის საკმაოდ ნეგატიური სიგნალია. რეინვესტირების ნაწილში კომპანიები უკვე იცნობენ აქაურ გარემოს და მათთვის ეს დამატებითი სახელმძღვანელოები ზედმეტიც არის, თუმცა ახალი ინვესტორებისთვის ეს არის უკვე ძალიან მძიმე, დამაფიქრებელი სიგნალი. ისეთი კომპანიებისთვის, რომლისთვისაც თანამედროვე ღირებულებები, კორპორატიული, პასუხისმგებლიანი ბიზნესის კეთება მნიშვნელოვანია, ეს უკვე „წითელი დროშის“ სიგნალს ნიშნავს. ამ ანგარიშში კონკრეტულად არის მითითებული საქართველოში არსებული პრობლემების საფუძველი და სიღრმე.

ამ დასკვნაში კონკრეტულადაა დასახლებული ამ პრობლემების სათავე, პირდაპირაა მითითებული, რომ სახელმწიფო პოლიტიკურად უფრო უახლოვდება რუსეთს და შორდება დასავლეთს, ასევე მითითებულია, რომ შესაძლოა, დამატებითი სანქციების პაკეტიც იყოს. მოკლედ რომ შევაჯამოთ, ეს დასკვნები და ეს მოლოდინი ახალი, ჯანსაღი ჭკვიანი ინვესტიციების შემოდინებას ხელს ნამდვილად შეუშლის. ჩვენს მხარეს დასჭირდება, რომ გაასმაგოს და უფრო მეტად კომპეტენტური მიდგომებით მიუდგეს ინვესტორებთან ახალი ინვესტიციების მოზიდვაზე მუშაობას და დაარწმუნოს ყველა პოტენციური ინვესტორი, რომ ამ ავტორიტეტულ დასკვნებში მოყვანილი ინფორმაცია გამოსწორებადია“, – განაცხადა ნიკოლოზ ალავიძემ.

ევროპელ ინვესტორებს საქართველო ნაკლებად იზიდავთ

საქართველოს ეკონომიკაში 2025 წლის პირველ კვარტალში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მცირედით, თითქმის 3%-ით 116 მილიონ 314 ათასი დოლარამდე შემცირდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ეკონომიკაში პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით 179.4 მლნ დოლარი ჩაიდო. აქედან 150 მლნ დოლარი, ანუ 83.6% რეინვესტირებული თანხა იყო, დანარჩენი 34.6% კი ანუ 62.1 მლნ დოლარი სააქციო კაპიტალი.

BM.GE-მ საქსტატიდან გამოითხოვა ინფორმაცია, ევროკავშირიდან ეკონომიკის რომელ დარგებში რა მოცულობის ინვესტიცია ჩაიდო და რომელ კომპანიებში.

ევროკავშირიდან შემოსული პირდაპირი ინვესტიციების თითქმის 40% ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა. დარგების რეიტინგი კი ასეთია:

1. ენერგეტიკა – $45.5 მლნ;
2. საფინანსო და სადაზღვევო – $18.8 მლნ;
3. კულტურა – $14.4 მლნ;
4. ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი – $12.4 მლნ;
5. უძრავი ქონება – $10.3 მლნ;
6. ICT – $5.4 მლნ;
7. დამმუშავებელი მრეწველობა – $5.4 მლნ;
8. ლოგისტიკა – $2.3 მლნ;
9. ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები – $2.1 მლნ;
10. ჯანდაცვა და სოციალური მომსახურებები – $1.2 მლნ;

ამ პერიოდში ძირითადი ინვესტორი ქვეყნების ათეულში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან ჩეხეთს ($43 მლნ), ნიდერლანდებსა ($22.4 მლნ) და მალტას ($12.4 მლნ) ვხვდებით.

TOP-10 კომპანია, სადაც იანვარ-მარტში ევროკავშირიდან პირდაპირი ინვესტიციები ჩაიდო, ასე გამოიყურება:

- სს თელასი;
- აიდიეს ბორჯომი საქართველო,შპს აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი;
- შპს ლუკოილ-ჯორჯია;
- სს ენერგო – პრო ჯორჯია;
- სს საქორგგაზი;
- შპს ვოლტ სერვისიზ ჯორჯია;
- სს პანექსი;
- შპს ვოლტ ჯორჯია;
- შპს ენთეინ ჯორჯია;
- სს ეპ ჯორჯია მიწოდება.

„პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება პოლიტიკური ფაქტორებით აიხსნება“

საერთაშორისო საერიტინგო სააგენტო Fitch-ის საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის შეფასების ავტორის შეფასებით, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების უკანასკნელი ტენდენციის ერთ-ერთი შესაძლო მიზეზი სწორედ პოლიტიკური დაძაბულობა შეიძლება იყოს.

არვინდ რამაკრიშნანი გადაცემა „ანალიტიკას“ ქვეყნის ეკონომიკის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, ასევე უკანასკნელ პერიოდში გაზრდილ პოლიტიკურ რისკებთან დაკავშირებით ესაუბრა.

„პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს საქართველოს შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან საქართველოს სტრუქტურულად ახასიათებს მაღალი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. როგორ აფინანსებს ამ დეფიციტს საქართველო? ან პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით ან სხვა ტიპის კაპიტალური შემოდინებებით ან რეზერვების შემცირებით. სწორედ ამიტომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ისტორიულად რომ გადავხედოთ, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საკმაოდ სტაბილური იყო, მაგრამ შარშანდელი წლის დასაწყისიდან ჩვენ უკვე ვაკვირდებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების ტენდენციას. ამ კვირაში იყო პირველი კვარტალის სტატისტიკა, რომელიც ამ პერიოდში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 8%-იან შემცირებას აჩვენებს. ეს თავის მხრივ ზრდის რისკს, რომ შესაძლოა, პრობლემა შეექმნას მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ადეკვატურ დაფინანსებას. აქ მინდა ხაზი გავუსვა, რომ მკაფიო მტკიცებულებები არ გვაქვს, რომ ადგილობრივი პოლიტიკური თუ გეოპოლიტიკური ფაქტორები პირდაპირ ახდენენ გავლენას (იწვევენ) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებას, მაგრამ, აქვე იმასაც ვიტყვი, რომ დიდი ალბათობით სწორედ ეს ხდება, სწორედ ამით შეიძლება აიხსნას კლების ის ტენდენცია, რასაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში ვაკვირდებით“, – აღნიშნავს რამაკრიშნანი.

აქვე შეგვიძლია ისიც გავიხსენოთ, რომ Fitch-მა 31 მაისს გამოქვეყნებული შეფასებით საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი „BB“ დონეზე, პერსპექტივა კი „ნეგატიურზე“ დატოვა.

„ოცნება“ მომდევნო 4 წელში $9 მილიარდის ინვესტიციის მოზიდვას იმედოვნებს

„ქართული ოცნების“ მიერ გამოცხადებული მიზანი – მომდევნო 4 წელიწადში 9 მილიარდი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოზიდვა დიდწილად უკავშირდება 2025 წლის იანვარში გაფორმებულ შეთანხმებას არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, სადაც კომპანია Emaar Properties/Eagle Hills-მა ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს მთავრობასთან.

ეკონომისტი სოსო ბერიკაშვილი არარეალისტურად მიიჩნევს „ქართული ოცნების“ მთავრობის გეგმას $9 მილიარდის ინვესტიციის მოზიდვასთან დაკავშირებით.

როგორც მან განაცხადა, „ოცნება“ დასავლური ინვესტიციების ალტერნატივად არაბული თუ ჩინურ ფულს განიხილავს, რომელიც რეალურად არ არსებობს. მან კონკრეტულ მაგალითებად ანაკლიის პორტის და Emaar-ის პროექტები დაასახელა.

„ანაკლიის პორტზე არც არის ხელი მოწერილი, სინამდვილეში არაფერი ხდება, ერთადერთი რაც მკაფიოა ისაა, რომ პოლიტიკურად ძალიან აზიანებს არა მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ და ქვეყანასაც, რადგან აშშ-სთვის წითელი ხაზია და ა.შ.

ასევე, ჩვენ არ ვიცით Emaar-ზე არაბებთან რა მოხდა. კი ამბობენ, $6 მლრდ, მაგრამ სადაა ეს თანხა. მემორანდუმი შეიძლება ყველასთან დადო და თქვა, რომ კარგი იქნება ვითანამშრომლოთ. ვფიქრობ, რაღაც შემოვა მაგათგან, მაგრამ არ ვიცი... მეორე მხრივ, რიცხვებით ვხედავთ, რომ შემცირებულია ინვესტიციები, რაც ლოგიკურია, რადგან კრიზისია, რომელსაც მთელი საქართველო აღიარებს, მათ შორის „ოცნების“ ამომრჩევლების ნახევარიც, ვისაც Deep state-ის არსებობის არ სჯერა, შეიძლება მაგათი ნაწილიც. ამას გარედანაც ხედავენ. ქვეყანა იცვლის ტრაექტორიას, იქნება იზოლირებული დასავლეთისგან, ეს უნდათ და ცდილობენ არაბული, რუსული სანქცირებული ფულით ან ჩინური ფულით ჩაანაცვლონ“, – ამბობს სოსო ბერიკაშვილი.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების ანტიდასავლური დამოკიდებულება მხოლოდ დასავლური ინვესტიციების შემოსვლას არ აფერხებს. საბოლოო ჯამში, ქვეყნის უსაფრთხოება და ზოგადად, პერსპექტივა ხდება გაურკვეველი.

თემურ იობაშვილი

სახელმწიფო წნეხი არასამთავრობო ორგანიზაციებზე

მთავრობამ NGO სექტორს ანტიკორუფციული ბიუროს მეშვეობით შეუტია

„ქართული ოცნების“ მიერ ბოლო წლებში არაერთი საკამათო და საზოგადოებასთან დაპირისპირების მომტანი კანონი იქნა მიღებული, რომლებიც „რუსულ კანონებად“ მოინათლა. ერთ-ერთი მათგანის გამო, კიდევ ერთი ხმაური გასულ თვეში იყო. კერძოდ, ივნისში არასამთავრობო ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ საქართველოში „რუსული კანონის“ აღსრულება ფაქტობრივად დაიწყო, რადგან ანტიკორუფციულმა ბიურომ სასამართლოს მეშვეობით ხუთ სამოქალაქო ორგანიზაციას მოსთხოვა დეტალური ინფორმაცია 2024 წლიდან მიღებულ გრანტებზე, მათ შორის მოთხოვნილია პირადი მონაცემები, ფინანსური დოკუმენტები, ბენეფიციარების და მონაწილეების პირადი ნომრები, ფოტო/ვიდეომასალა და სოციალური ქსელების ხარჯები.

სასამართლოსგან განჩინება მიუვიდა ხუთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელთა სამუშაო სფეროები და სპეციფიკა სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან:

• „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – არჩევნების სადამკვირვებლო და ანტიკორუფციულ/დემოკრატიის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცია. მისი აღმასრულებელი დირექტორია ეკა გიგაური;

• „საფარი“ – ქალთა უფლებებსა და საჭიროებებზე მომუშავე ფონდი, რომლის დირექტორია ბაია პატარაია;

• „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი“ – ყოფილი „ღია საზოგადოების ფონდი“, რომელიც ჯორჯ სოროსის ფონდის გლობალურ ქსელში ცვლილებების შემდეგ, 2024 წლიდან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. მისი ხელმძღვანელია ქეთი ხუციშვილი;

• „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“ (EPRC) – ანალიტიკური-კვლევითი ცენტრი, რომელიც აერთიანებს მკვლევრებსა და ყოფილ დიპლომატებს. ეს ორგანიზაცია ყოველწლიურად მასპინძლობს თბილისში ცნობილ საერთაშორისო კონფერენციას, „თბილისის საერთაშორისო კონფერენციას“, რომელზეც 2018 წლამდე „ქართული ოცნების“ მაღალი რანგის პირებიც ესწრებოდნენ. EPRC-ის აღმასრულებელი დირექტორია ნინო ევგენიძე;

• „საქართველოს მომავლის აკადემია“ – 2015 წელს დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც ახალგაზრდების საკითხებზე მუშაობს; ამჟამად ატარებს ლექციების სერიებს „ფენიქსის ორდენის“ სახელით. აღმასრულებელი დირექტორია მარი კაპანაძე, ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი კი ალექსანდრე ზიბზიბაძე („ფრანკლინის კლუბის“ თანადამფუძნებელი).

როგორც „ღია საზოგადოების“ ფონდის იურისტმა საბა ბრაჭველმა დაწერა, სახელმწიფო არასამთავრობო ორგანიზაციებს მათი ბენეფიციარების პერსონალური ინფორმაციის გადაცემას ავალდებულებს.

„რუსული კანონების აღსრულება რეჟიმმა ოფიციალურად დაიწყო. გუშინ ივანიშვილის მოსამართლეებმა ხუთ ორგანიზაციას ოფიციალურად მოგვთხოვეს რაჟდენის ბიუროსთვის წარმოუდგენელი ინფორმაციის გადაცემა. მაგალითად, ისეთი ინფორმაციის, როგორიცაა ჩვენი ბენეფიციარი, დაცვის ქვეშ მყოფი ან სულაც შეხვედრებზე დამსწრე ადამიანების სიები, სახელები, გვარები, ფოტოსურათები, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები.

რომ გაიაზროთ რას ითხოვენ – მაგალითად, ჩემი ორგანიზაცია 200 დღეზე მეტია უსასყიდლო სამართლებრივ დახმარებას აწვდის რეჟიმის მიერ ნაწამებ, ჩაგრულ, დაჯარიმებულ ადამიანებს. ჩვენი იურისტები იცავენ პოლიტპატიმრების ინტერესებსაც. ჩვენ ხელს ვუწყობთ ყველა ჩაგრული ადამიანის ისტორიის შეგროვებას, დოკუმენტირებას, დამუშავებას, სამართალწარმოებას, მათი სახელებისა და საქმეების ყველგან გაჟღერებას. ანალოგიურად – წლებია, საფარი იცავს, ეხმარება და წარმოადგენს ქალებსა და ბავშვებს. გამჭვირვალობა წლებია, იცავს მამხილებლებს, სასამართლოში მიყვება ათასობით ადამიანს. ეს სია უსასრულოა.

და ახლა ცინიკურად ითხოვენ, რომ ამ ადამიანების, ჩვენი მოქალაქეების ნდობას სრულად ვუღალატოთ, რომ მათი კონფიდენციალური, მათ შორის, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, მათივე მჩაგვრელებს გადავცეთ.

ვერ ეღირსებიან. ჩვენი მოქალაქეების ნდობას არცერთი ბრძანების ძალით ან დასჯის შიშით არ ვუღალატებთ. ვაგრძელებთ ბრძოლას და მუშაობას ქართველი ხალხის უფლებების დასაცავად“, – დაწერა საბა ბრაჭველმა 18 ივნისს.

საინტერესოა, რომ მიმართვისა და სასამართლო განჩინების სამართლებრივ საფუძვლად ამ შემთხვევაში დასახელებულია არა „აგენტების კანონი“ ან აშშ-ის თითქოსდა ანალოგიური „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“, არამედ ახლახან მიღებული „გრანტების კანონი“ (ცვლილებები „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც მ/წ 16 აპრილიდან ამოქმედდა).

როგორც „რადიო თავისუფლება“ წერს, ანტიკორუფციულმა ბიურომ 11 ივნისს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ამ ხუთი

ორგანიზაციისგან ინფორმაციის მიღებისათვის განჩინების გამოცემა მოითხოვა. საქმე დაეწერა სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ეკატერინე ობოლაძეს.

ბიუროს სასამართლოსადმი მიმართვის დოკუმენტი საჯარო არ არის, – ის არც არასამთავრობო ორგანიზაციებს მიუღიათ. თუმცა, „რადიო თავისუფლებამ“ იხილა მოსამართლე ობოლაძის განჩინება, სადაც ჩამოთვლილია, თუ რა ინფორმაციის გაცემას ავალდებულებენ არასამთავრობოებს.

განჩინების თანახმად, ინფორმაციას სთხოვენ ყველა კომერციულ ბანკს, შემოსავლების სამსახურსა და ჩამოთვლილ არასამთავრობო ორგანიზაციებს. კერძოდ, საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისგან ითხოვენ ორგანიზაციების მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 11 ივნისამდე პერიოდში განხორციელებულ ტრანზაქციებს.

განჩინების ერთ-ერთი ადრესატი არის ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. ამ უწყებისგან ანტიკორუფციული ბიურო ითხოვს:

• იმავე პერიოდში (2024 წლიდან) ორგანიზაციების მიერ „გამოწერილ და მიღებულ ელექტრონულ სასაქონლო ზედნადებებსა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებს“;

• ორგანიზაციების მიერ „გადახდის წყაროსთან დაკავებული განაცემების შესახებ ინფორმაციას“.

ანტიკორუფციული ბიურო არასამთავრობო ორგანიზაციებს სთხოვს, გაუგზავნონ ყველა ხელშეკრულება,– მათ შორის საგრანტო ხელშეკრულება, – რაც კი 2024 წლის 1 იანვრიდან დაუდიათ უცხოელ დონორთან თუ ქართველ ფიზიკურ პირებთან.

ჩამონათვალი, ვისთან დადებულ ხელშეკრულებებს სთხოვენ, ასეა დაკონკრეტებული:

• საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია;

• სპორტული ასოციაცია, ფედერაცია და კომიტეტი;

• საფინანსო საკრედიტო ინსტიტუტი;

• უცხო ქვეყნის მთავრობა ან მისი წარმომადგენლობა უცხოეთში;

• საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი;

• აგრეთვე ფიზიკურ პირებთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2024 წლიდან დადებული ყველა ხელშეკრულება, მათ შორის საგრანტო ხელშეკრულება/შეთანხმება;

• ასევე, ასეთ დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.

ბიურო არასამთავრობოებს სთხოვს, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციასთან თუ პირთან თანამშრომლობის ფარგლებში, იმავე პერიოდში დადებული ყველა ხელშეკრულების, შეთანხმების თუ მათში ცვლილების ფარგლებში დადებულ სხვა ყველა შესაძლო ხელშეკრულებას.

არასამთავრობოებს სთხოვენ ასეთ დოკუმენტებთან დაკავშირებულ „ნებისმიერ ფინანსურ და იურიდიულ დოკუმენტაციას“. მათ შორის:

• სამუშაო გეგმას;

• თანხების გაცემის გრაფიკს;

• საგრანტო ბიუჯეტის დეტალურ პროექტს;

• მის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებს;

• მიღებული ფულადი სახსრების და „მატერიალური ფასეულობების“ შესახებ ინფორმაციას – ყველანაირი დეტალის მითითებით;

• ხელშეკრულების კონტრაქტის შუალედური და საბოლოო ანგარიში („ნარატიული ანგარიში“);

• ინვოისები;

• მიღება-ჩაბარების აქტები;

• საგადახდო დავალებები;

• ხარჯთაღრიცხვის ცნობები;

• ხელფასის უწყისები;

• ხელშეკრულების ფარგლებში საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია – საქმიანობის აღწერა, მიზანი, განხორციელების თარიღი, ადგილი, დრო, ბენეფიციარები, მონაწილე პირების მითითებით;

• დაკონკრეტებულია, რომ მოთხოვნილია მონაწილე პირებისა და ასევე ბენეფიციარების სახელი, გვარი და პირადი ნომერი;

• მოთხოვნილია „აქტივობის ამსახველი ვიდეოფოტომასალა“;

• სთხოვენ ასევე „შესაბამისი კორესპონდენციისა და მასთან დაკავშირებული მიმოწერის ამსახველ ინფორმაციას, თუ მხარეთა შორის არსებობს შეთანხმება კორესპონდენციის სახით“;

• მოთხოვნილია ორგანიზაციების სოციალური ქსელების მისამართები და ამ ქსელების ხარჯები.

არასამთავრობოების რეაქცია

„ივანიშვილ-კუპრაშვილის ბიურომ ანტი-კონსტიტუციური, რუსული კანონების აღსრულება მურუსიძის სასამართლოს მეშვეობით დაიწყო“, – ასე შეაფასეს ორგანიზაციებმა 18 ივნისს მიღებული მოთხოვნები.

„ისინი ჩვენგან, უფლებადამცველებისგან, სამართლებრივი საფუძვლების გარეშე ითხოვენ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი მოქალაქეების პერსონალური ინფორმაციის გადაცემას“, – თქვა სამოქალაქო საზოგადოების ფონდის ხელმძღვანელმა, ქეთი ხუციშვილმა.

მისი განმარტებით, ეს ინფორმაცია ეხება „წამების მსხვერპლებს, ძალადობის მსხვერპლ ქალებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს, მასწავლებლებს, პენსიონერებს, შშმ პირებს, მეწარმეებს, მამხილებლებს, ჟურნალისტებს, დამკვირვებლებს, უკანონოდ გათავისუფლებული საჯარო მოხელეებსა და მათი ოჯახის წევრებს“.

„ჩვენ არ ვაპირებთ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი მოქალაქეების ნდობის ღალატს, თუნდაც ამას ჩვენი დევნა და დაპატიმრება მოჰყვეს“, – განაცხადა მან.

ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ბოლო პერიოდის ცვლილებებისა და, ცვლილებების კვალდაკვალ, ანტიკორუფციული ბიუროს ქმედებების მიზანი აქტიური ორგანიზაციების ფუნქციონირების შეჩერება და დადუმებაა.

„ვაპირებთ ამ ბრძოლის გაგრძელებას, რა თქმა უნდა. არ ვაპირებთ, დავემორჩილოთ რუსულ კანონებს, იმიტომ რომ ეს ქვეყანა ჩვენია“, – განაცხადა EPRC-ის ხელმძღვანელმა ნინო ევგენიძემ 18 ივნისს სამოქალაქო საზოგადოების ფონდში გამართულ ბრიფინგზე.

სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა არ გამორიცხეს „ქართული ოცნების“ მთავრობის მიერ „უკანონო გადაწყვეტილებების“ პირობებში პატიმრობის რისკი.

„საქართველოს ევროპული ორბიტის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ნინო ლომჯარიამ განაცხადა,რომ „ქართული ოცნების“ მიზანი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლების დევნაა:

„ყველას ძალიან კარგად გვესმის, რომ ამ რაღაცა ჩართულობის უკან არ დგას ის ინტერესი, რომ მართლაც გამჭვირვალობა იყოს უზრუნველყოფილი მიზანი, რა თქმა უნდა, არის სისხლის სამართლებრივი დევნა სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიმართ. ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ მიზანს ისახავს და ამაში არის ჩართული ანტიკორუფციული ბიურო, მისი ხელმძღვანელის სახით, რაც ხდება კოორდინირებულად სასამართლოსთან ერთად“, – თქვა მან.

„კიდევ ერთხელ: გვესმის, რომ მიზანი არის სწორედაც სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ გვინდა, საზოგადოებამ იცოდეს, რა საფრთხეც არ უნდა ემუქრებოდეს სექტორს, ჩვენ ვართ ერთიანები იმაში, რომ არცერთ სახელმწიფო უწყებას, რუსული რეჟიმის წარმომადგენლებს, არ გადავცემთ იმ ინფორმაციას, რაც თქვენ გვანდვეთ, რადგან თქვენ მოხვედით ჩვენთან იმისათვის, რომ გვენდობოდით, როგორც მსხვერპლები, ადამიანები, რომლებიც ითხოვდით დახმარებას. ჩვენ ამ ინფორმაციას დავიცავთ“, – თქვა ყოფილმა სახალხო დამცველმა.

გრანტების კანონი ავალდებულებს გრანტის მიმღებსაც და გამცემსაც, რომ მთავრობის ნებართვის გარეშე გრანტი არ გაიცეს. გრანტების კანონი – რომელსაც არასამთავრობოები უწოდებენ „ქართველი ხალხის დევნის აქტს“,– ადგენს, რომ:

თუ ორგანიზაციამ გრანტი თანხმობის გარეშე მიიღო, მას გრანტის ორმაგი ოდენობით დააჯარიმებენ;

ცრუ ინფორმაციის მიწოდება – 2000 ლარით ისჯება. განმეორებით ცრუ ჩვენება კი – 4000 ლარით დაჯარიმდება.

პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა 6 წელია.

ამასთან, სულ მცირე, 5-წლიან პატიმრობას ითვალისწინებს „გრანტების კანონში“ ცვლილებების პარალელურად მიღებული „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ (FARA),– რომელიც, ამერიკული ორიგინალისგან განსხვავებით, არ განარჩევს სამოქალაქო ორგანიზაციებს პოლიტიკური ლობიზმის შემთხვევებისაგან.

„ქართული ოცნების“ დეპუტატმა ლევან მაჭავარიანმა 8 აპრილს წინასწარ ჩამოთვალა ის ორგანიზაციები, რომლებსაც „გრანტების კანონში“ პარტიის მიერ შეტანილი ცვლილებების შემდეგ აღარ ექნებათ გრანტების მიღების უფლება.

მაჭავარიანმა მათ „არასასურველი ორგანიზაციები“ უწოდა და ამ კონტექსტში დაასახელა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ხელმძღვანელი ეკა გიგაური და ყოფილი სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია, რომლებიც „ძირგამომთხრელ საქმიანობაში“ დაადანაშაულა.

მას შემდეგ, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა მკვეთრი რეაქცია გამოხატეს და თითოეულმა მათგანმა განაცხადა, რომ ბენეფიციარების პირად მონაცემებს არ გასცემდნენ, განცხადება გააკეთა ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელმაც. რაჟდენ კუპრაშვილმა უარყო – არავითარი პირადი ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციების ბენეფიციარებისგან არ მოგვითხოვიაო.

მისი თქმით, ანტიკორუფციულმა ბიურომ NGO-ებისგან მხოლოდ ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია და ხელშეკრულებასა და მის აღსრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები გამოითხოვა.

„მოვითხოვეთ მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც უკავშირდება მხოლოდ საბანკო ამონაწერებს,მოვითხოვეთ საგადასახადო ორგანოებიდან ინფორმაციები და, უშუალოდ ამ ორგანიზაციებს მოვთხოვეთ, დონორთან გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ის სამართლებრივი დოკუმენტები, რაც უკავშირდება ხელშეკრულების აღსრულებას. სამწუხაროდ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს ბენეფიციარის პერსონალური ინფორმაცია მოვითხოვეთ – ეს არ შეესაბამება სიმართლეს“, – განაცხადა კუპრაშვილმა.

კუპრაშვილის ბრიფინგის მიმდინარეობისას „საქართველოს ევროპული ორბიტის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ნინო ლომჯარიამ სოციალურ ქსელში სასამართლო გადაწყვეტილებიდან ის ამონარიდი გამოაქვეყნა,რომლითაც ბიურო NGO-ებისგან დეტალურ ინფორმაციას ითხოვს.

„ამ წუთებში რაჟდენ კუპრაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, რომ ბენეფიციარების შესახებ ინფორმაცია არ მოგვითხოვია, ტყუილია ეს და გადაამოწმეთო. ჰოდა, მედიებისთვის ვაზიარებ, ინებეთ სასამართლო გადაწყვეტილების ის ნაწილი, სადაც ჩვენი ბენეფიციარების პირად ნომრებს, ღონისძიებებში მონაწილე პირების ფოტოსურათებს ითხოვენ“, – დაწერა ლომჯარიამ.

ევროკავშირის ელჩის კომენტარი

შექმნილ ვითარებას გამოეხმაურა ევროკავშირის ელჩი პაველ ჰერჩინსკი. მისი განცხადებით,ანტიკორუფციული

ნინო ლომჯარიას მიერ გასაჯაროებული სასამართლო გადაწყვეტილების ფრაგმენტი.



7.5. ხელშეკრულების/შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, საქმიანობის აღწერილობის, მიზნის, განხორციელების თარიღის, ადგილის, დროის, ბენეფიციარების, მონაწილე პირების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) მიღწეული შედეგებისა და აქტივობის ამსახველი ვიდეო-ფოტო მასალის მითითებით;

7.6. ხელშეკრულების/შეთანხმების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, საქმიანობის აღწერილობის, მიზნის, განხორციელების თარიღის, ადგილის, დროის, ბენეფიციარების, მონაწილე პირებისა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და მიღწეული შედეგების მითითებით;

7.7. ინფორმაცია იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შესახებ, რომელთა საქმიანობა ან/და მომსახურება გამომდინარეობს ხელშეკრულების/შეთანხმების მიზნებიდან (გარდა საქმისწარმოების/საორგანიზაციო და მასთან დაკავშირებული, მსგავსი საქმიანობებისა), სახელის, გვარის ფაქტობრივი და იურიდიული მისამართების და

ბიუროს მიერ სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის ბენეფიციართა პერსონალური მონაცემების გამჟღავნების მოთხოვნა „გაუმართლებელი წნეხია“ NGO-ებზე და ხელს უშლის საქართველოს ევროკავშირის გზაზე.

პაველ ჰერჩინსკის განცხადებით, წლების განმავლობაში საქართველო მოწინავე პოზიციებს იკავებდა ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე, რასაც ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოება და ის საჯარო მოხელეები უზრუნველყოფდნენ, რომელთა ნაწილიც სამსახურიდან რეორგანიზაციის საბაბით გაათავისუფლეს.

„როდესაც საქმე ევროინტეგრაციას ეხებოდა, საქართველო დიდი ხსნის განმავლობაში იყო წინა ხაზზე, რაც, ვფიქრობ, ორი ძირითადი ფაქტორით იყო განპირობებული: 1. პროფესიონალი საჯარო მოხელეების გამო, რომლებიც ერთგულად მუშაობდნენ საქართველოს EU-ში გაწევრებისთვის და 2. სამოქალაქო საზოგადოების – ადამიანების, რომლებიც მუშაობდნენ ქვეყნის ყველაზე მოწყვლად რეგიონებში, რათა საქართველო საცხოვრებლად უკეთეს ადგილად ექციათ.

რასაც ბოლო თვეებში ვხედავთ, არის საშინელი წნეხი, პირდაპირი თავდასხმა სამოქალაქო საზოგადოებასა და საჯარო მოხელეებზე, რომლებსაც რეორგანიზაციის მიზეზით სამსახურიდან ათავისუფლებენ. საქმე ეხება დრაკონულ კანონებს, რომლებიც ორგანიზაციების მუშაობას შეუძლებელს ხდის. ასეთი ორი კანონი გვაქვს. ორგანიზაციებისგან 3 სამუშაო დღეში იმის გამოთხოვა, რას აკეთებდნენ 1.5 წლის განმავლობაში, მათ შორის ბენეფიციართა პირადი ინფორმაციის მოთხოვნა, გაუმართლებელი წნეხია და დასანანია, რომ ეს ძირს უთხრის საქართველოს მცდელობას, გახდეს ევროკავშირის წევრი“, – განაცხადა ჰერჩინსკიმ.

ხელისუფლების მხრიდან მისთვის არასასურველ ორგანიზაციებზე ბოლო დღეებში ახალი „შტურმი“ აღარ მომხდარა, თუმცა, როდის და როგორ შეუტევენ „ხალხის მტრებად“ შერაცხულ არაამთავრობო ორგანიზაციებს და დამოუკიდებელ მედიისთვისაც როდის მოიცლიან, თავად იციან. რაშიც მწყობრი ნაბიჯებით გამოირჩევა, „ქართული ოცნება“ მიზანმიმართულად ცდილობს დასავლური ქვეყნების დისკრედიტაციას და საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის ჩანაწერის უგულებელყოფას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ვალდებულია უფლებამოსილების ფარგლებში ყველა ზომა მიიღოს ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

თემურ იობაშვილი

საქართველოს მოქალაქეების საპენსიო დანაზოგმა ₾7 მილიარდს გადააჭარბა

საქართველოს საპენსიო ფონდის აქტივებმა ივნისის ბოლოსთვის 7.1 მილიარდ ლარს, ხოლო დაგენერირებულმა ამონაგებმა 1.8 მილიარდ ლარს მიაღწია.

უახლესი მონაცემებით, საპენსიო სქემაში გაწევრებულ მონაწილეთა რაოდენობა 1 მილიონ 623 ათასი ადამიანია.

ამასთან, 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, დაგროვებითი პენსიით 22,135-მა პირმა ისარგებლა და მათზე პენსიის სახით 89.3 მლნ ლარი გაიცა.

საპენსიო ფონდის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ივნისი, საპენსიო ფონდის პორტფელებისთვის, მიმდინარე წელს, ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩნდა, რაც დიდწილად საერთაშორისო ბაზრებზე აქციების ფასების ზრდამ განაპირობა. აღნიშნული დადებითი დინამიკა ინვესტორთა განწყობის გაუმჯობესებას უკავშირდება, რაც თავის მხრივ სავაჭრო მოლაპარაკებებში მიღწეული პროგრესითა და ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის

დეესკალაციით იყო გამოწვეული.

გლობალურ ბაზრებზე დაფიქსირებულმა ზრდამ განსაკუთრებით პოზიტიურად დინამიკურ პორტფელზე იმოქმედა და ივნისის თვის ამონაგებმა 2.39% შეადგინა. ამავე პერიოდში, დაბალანსებული და კონსერვატიული პორტფელების ამონაგები, შესაბამისად 1.78% და 1.27% იყო. პორტფელებს შორის მთავარი განსხვავება საერთაშორისო აქციების პროპორციაა:

- დინამიკური 49.1%;
- დაბალანსებული 31%;
- კონსერვატიული 16.7%.

აღსანიშნავია, რომ ივნისის თვის ძლიერი შედეგების ფონზე, დინამიკური პორტფელი ლიდერობს. პორტფელების დაარსებიდან (2023 წლის 6 აგვისტო) დღემდე გაწლიურებულმა ამონაგებმა დინამიკური პორტფელისთვის 13.8% შეადგინა, იმავე პერიოდში დაბალანსებული და კონსერვატიული პორტფელების ნომინალური ამონაგები შესაბამისად 12.7% და 11.6% იყო.

მოქალაქეები 750 ათას ლარამდე სესხის აღებას უცხოურ ვალუტაში ვეღარ შეძლებენ

მოქალაქეები 750 ათას ლარამდე სესხის აღებას უცხოურ ვალუტაში ვეღარ შეძლებენ.

უფრო კონკრეტულად, მოქალაქეები, რომლებსაც შემოსავალი ლარში აქვთ, 750 000 ლარამდე სესხის აღებას მხოლოდ ლარში შეძლებენ. შესაბამისად, ამ მოცულობის სესხს ეს ადამიანები აგვისტოდან, უცხოურ ვალუტაში ვეღარ აიღებენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა მაისის ბოლოს მიიღო. მათივე ცნობით, ცვლილება 2025 წლის 1-ლი აგვისტოდან შევა ძალაში.

„ეროვნული ბანკი განაგრძობს მუშაობას ფინანსური დოლარიზაციის მაღალი დონით გამოწვეული სტრუქტურული რისკების შესამცირებლად. სებ-ის მიერ გატარებული ღონისძიებების ფონზე დოლარიზაციის მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, ეს უკანასკნელი და მასთან დაკავშირებული სტრუქტურული რისკები ფინანსური სექტორისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ეროვნული ბანკი, გაცხადებული პოლიტიკის შესაბამისად, ინდუსტრიასთან კოორდინაციითა და მაკროეკონომიკური გარემოსა და რისკების გათვალისწინებით, დედოლარიზაციის გრძელვადიანი გეგმის განხორციელებას განაგრძობს“, – აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

2024 წლის მაისიდან პირები, ვისაც შემოსავალი ლარში ჰქონდა 400 ათას ლარამდე სესხს ვეღარ იღებდნენ უცხოურ ვალუტაში, ხოლო 2025 წლის იანვრიდან ეს ზღვარი 500 ათას ლარამდე გაიზარდა.

ბაჩიაშვილმა ივანიშვილისთვის 9000 ბიტკოინის გადახდის განაჩენი სააპელაციოში გაასაჩივრა

გიორგი ბაჩიაშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. როგორც თანაინვესტირების ფონდის ყოფილი ხელმძღვანელის ადვოკატმა ლევან მახარაშვილმა bm.ge-ს უთხრა, გადაწყვეტილება ივნისის ბოლოს გასაჩივრდა.

საუბარია განაჩენზე, რომლითაც გიორგი ბაჩიაშვილს ბიძინა ივანიშვილისთვის 9000 ბიტკოინის გადახდა დაეკისრა. გადაწყვეტილების თანახმად, თუ გიორგი ბაჩიაშვილს აღნიშნული ბიტკოინები არ აღმოაჩნდება, მაშინ ბიტკოინის ფასიდან გამომდინარე, ბაჩიაშვილის პირადი ქონების რეალიზაცია მოხდება.

„გუშინ მოგვივიდა პროკურატურის შესაგებელი და პროკურატურა მას მერე წერს შესაგებელს, რაც საჩივარი მიღებულია წარმოებაში. სხდომა სტანდარტულად არის ხოლმე ერთი თვის ვადაში, მაგრამ ვინაიდან ახლა ივლისი და აგვისტოა, შეიძლება არც ჩანიშნონ სექტემბრამდე.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პოზიცია არის ძალიან დასაბუთებული სამართლებრივად. თუ იგივე ტიპის განაჩენს დატოვებს ძალაში, უნდა ამოვწუროთ ქვეყნის შიგნით ყველა პროცედურა და შემდეგ ვასაჩივრებთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ყოველ შემთხვევაში, ამის მზაობაც გვაქვს“, თქვა ადვოკატმა 2 ივლისს.

რაც შეეხება გიორგი ბაჩიაშვილის გატაცების საქმეს, ადვოკატის ინფორმაციით, საკითხზე გიორგი ბაჩიაშვილი ამ დრომდე არ გამოკითხულა.

შეგახსენებთ, გიორგი ბაჩიაშვილს „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის კრიპტოვალუტის მითვისებას ედავებოდნენ. საქმე ეხება 2017 წლის ქმედებას. კერძოდ, გამოძიების ცნობით, გიორგი ბაჩიაშვილმა ინვესტორს ჩადებული ინვესტიციიდან მიღებული სრული მოგების სანაცვლოდ, მხოლოდ 536 900 დოლარი გადასცა, ხოლო დარჩენილი, ინვესტორის კუთვნილი, 8 253.13 ოდენობის ბიტკოინი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა, რომლის ღირებულება მისი დაუფლების პერიოდში 39 215 820 დოლარს შეადგენდა.

საქართველოში 5 თვეში $50.3 მილიონის ელექტრომობილები შემოვიდა

საქართველოში ელექტრომობილების იმპორტი მზარდია. საქსტატის მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვარ-მაისში ქვეყანაში 50.3 მლნ დოლარის ღირებულების 2904 ცალი ელექტრომობილი შემოვიდა.

2024 წლის 5 თვეში კი საქართველოში სულ 30.8 მლნ დოლარის ღირებულების 1563 ცალი ელექტრო ძრავაზე

მომუშავე მანქანის იმპორტი განხორციელდა.

საქართველოსთვის ელექტრომობილების იმპორტიორი მთავარი ქვეყანაა აშშ, საიდანაც წელს ხუთ თვეში 31.9 მლნ დოლარის ღირებულების 2 181 ცალი ავტომობილი შემოვიდა.

მიმდინარე წლის იანვარ-მაისში 5 TOP იმპორტიორი ქვეყანა კი ასე გამოიყურება:

1. აშშ 31.9 დოლარის ღირებულების 2 181 ცალი ელექტრომობილი;
2. ჩინეთი 7.6 მლნ დოლარის ღირებულების 340 ცალი ელექტრომობილი;
3. გერმანია 5.3 მლნ დოლარის ღირებულების 78 ცალი ელექტრომობილი;
4. ბელგია 1.9 მლნ დოლარის ღირებულების 46 ცალი ელექტრომობილი;
5. იაპონია 1.2 მლნ დოლარის ღირებულების 188 ცალი ელექტრომობილი.

რაც შეეხება ექსპორტს, მიმდინარე წლის 5 თვეში საქართველოდან რეექსპორტზე სულ 17 მლნ დოლარის ღირებულების 621 ცალი ელექტრომობილი გავიდა. ძირითადი საექსპორტო ბაზრები ყირგიზეთი, სომხეთი და ყაზახეთია.

რუსეთი, თურქეთი, სომხეთი – ქვეყნები, საიდანაც ყველაზე მეტი ვიზიტორი შემოვიდა

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 6 თვეში საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები წლიურად 4.6%-ით 2 810 524-მდე გაიზარდა. აქედან ტურისტული ვიზიტები 2 270 363 იყო, რაც წლიურად 7%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. ერთდღიან ვიზიტებში კი 4%-იანი კლებაა და 540 161-ს შეადგენს.

მიმდინარე წლის ორ კვარტალში ტრადიციულად ყველაზე მეტი ვიზიტი რუსეთიდან შედგა. ჯამში ორ კვარტალში რუსეთიდან 581 099 ვიზიტი განხორციელდა, რაც 10%-იანი ზრდაა. მეორე ადგილზეა თურქეთი, საიდანაც კლება 14.5%-ია, საანგარიშო პერიოდში აქედან 533 614 ვიზიტი შედგა.

Top 15 ქვეყანა, საიდანაც 6 თვეში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი შედგა:

- რუსეთი 581 099 (ზრდა 10%);
- თურქეთი 533 614 (კლება 14.5%);
- სომხეთი 390 788 (ზრდა 0.8%);
- ისრაელი 171 294 (ზრდა 35.7%);
- აზერბაიჯანი 135 248 (ზრდა 36%);
- ინდოეთი 75 893 (ზრდა 31.4%);
- ყაზახეთი 62713 (კლება 10.8%);
- ირანი 57 292 (კლება 7.5%);
- უკრაინა 56 461 (ზრდა 9.9%);
- ჩინეთი 46 755 (ზრდა 42.3%);
- ბელარუსი 46 248 (ზრდა 5.9%);
- პოლონეთი 33 658 (ზრდა 21.9%);
- გერმანია 32 392 (ზრდა 4.2%);
- უზბეკეთი 29 376 (ზრდა 14.5%);
- საუდის არაბეთი 26 910 (ზრდა 20.8%);

როგორც სტატისტიკა აჩვენებს, ევროკავშირის ვერცერთი ქვეყანა ათეულში ვერ მოხვდა. 2025 წლის ორ კვარტალში ევროკავშირის ქვეყნებიდან (დიდი ბრიტანეთის ჩათვლით) თითქმის 202 ათასი ვიზიტი შედგა, შარშანდელთან შედარებით ზრდა 10.2%-ია.

„სამედიცინო სერვისების მოხმარება გაორმაგებულია“ – სადაზღვევო პაკეტების გაძვირების მიზეზი

ჯანმრთელობის დაცვა ძვირდება. საქსტატის მონაცემებით, მიმდინარე წლის ივნისში ფასები ამ ჯგუფში შემავალ პროდუქციასა და მომსახურებაზე წლიურად 9.4%-ით იყო გაზრდილი. მათ შორის, ძვირდება ჯანმრთელობის დაზღვევაც, რომელზეც წლიურად საშუალოდ ფასები თითქმის 9%-ითაა მომატებული.

სადაზღვევო კომპანია „არდის“ გენერალური დირექტორი მიხეილ ჯაფარიძე BMG-სთან აცხადებს, რომ მიმდინარე წელს იკვეთება ტენდენცია, როდესაც სამედიცინო მომსახურების და შესაბამისად, სადაზღვევო პაკეტების ფასებზე ძირითადად სამედიცინო სერვისების მოხმარების სიხშირის ზრდა მოქმედებს.

მიხეილ ჯაფარიძის განმარტებით, წელს სექტორში საშუალოდ პოლისები 10-12%-ითაა გაძვირებული. თუმცა მისი თქმით, თუკი სამედიცინო სერვისების უტილიზაცია ამ ტემპით გაგრძელდა, მომდევნო თვეებში სექტორში ფასები უფრო მკვეთრი ტემპით გაიზრდება.

„შარშანდლისგან განსხვავებული ტენდენცია რაც არის, ესაა სამედიცინო სერვისების მოხმარების სიხშირის გაზრდა, უტილიზაცია საკმაოდ გაზრდილია, თითქმის გაორმაგებულია. შესაბამისად, ეს აისახება კლინიკების, სამედიცინო სფეროს შემოსავლებზე, მომართვიანობის გამო ცხადია, სამედიცინო სერვისების ფასებიც გაზრდილია.

ზოგადად, მსოფლიოში სამედიცინო სერვისების მოხმარება იზრდება, როდესაც ქვეყანაში ვითარდება

სამედიცინო სერვისების ინფრასტრუქტურა, ავტომატურად იზრდება მოხმარებაც, ანუ ადამიანები უფრო მეტად იყენებენ სამედიცინო სერვისებს. ჩვენთანაც იგივე ტრენდი არის, ოღონდ შარშანდელთან შედარებით, ბევრად მომატებულია, რაც ავტომატურად ასახულია კლინიკებში და შემდეგ უკვე ჩვენზეც აისახება.

ჩვენს შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიების მხარეს ფასების დინამიკა ისეთია, რაზეც დაახლოებით წლის დასაწყისში ვსაუბრობდით, პოლისების ფასები დაახლოებით 10-12%-ით არის გაზრდილი. თუ სამედიცინო სერვისების გამოყენების სიხშირე ამ დინამიკით შენარჩუნდა, მაშინ დაახლოებით იგივე ეფექტს მივიღებთ, რაც იყო დაახლოებით 2021-2022 წლებში. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ექვსი-შვიდი თვის შემდეგ ფასნამატები უფრო მეტი იყოს“, განაცხადა მიხეილ ჯაფარიძემ.

რა თანხას ინახავენ რუსეთის მოქალაქეები ქართულ ბანკებში

2025 წლის მაისის მდგომარეობით, საქართველოს კომერციულ ბანკებში უცხოეთის მოქალაქეები 9.3 მილიარდი ლარის დეპოზიტებს ინახავენ, რაც წლიურად 13.5%-ით, ანუ 1.1 მილიარდი ლარით არის გაზრდილი. უცხოეთის მოქალაქეთა დეპოზიტები ფიზიკური პირების დეპოზიტებში 28.5%-ს შეადგენს.

ეროვნული ბანკის თანახმად, უცხოეთის მოქალაქეებს შორის ქართულ ბანკებში ყველაზე მეტ თანხას კვლავ რუსეთის მოქალაქეები ინახავენ, რომლის მოცულობაც უცხოეთის რეზიდენტთა დეპოზიტების 37%-ს, ანუ 3.4 მილიარდ ლარს შეადგენს. მეორე პოზიციას 1.03 მილიარდით ისრაელის მოქალაქეები იკავებენ, მესამეზე კი უკრაინის მოქალაქეები ქართულ ბანკებში 565 მილიონი ლარის დანაზოგებით.

უცხოეთის რეზიდენტების დეპოზიტების სტატისტიკა ქართულ ბანკებში 2025 წლის მაისის მდგომარეობით:

ქვეყანა	დანაზოგების მოცულობა ლარებში
რუსეთი	3,486,436,000 ლარი
ისრაელი	1,036,508,000 ლარი
უკრაინა	565,368,000 ლარი
კვიპროსი	376,912,000 ლარი
ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები	376,912,000 ლარი
ბელარუსი	376,912,000 ლარი
დიდი ბრიტანეთი	376,912,000 ლარი
აზერბაიჯანი	282,684,000 ლარი
მალტა	188,456,000 ლარი
გერმანია	188,456,000 ლარი
ჩინეთი	94,228,000 ლარი
სხვა ქვეყნები	2,073,016,000 ლარი

იმპორტირებული საწვავის აქციზიდან ბიუჯეტში შემოსავალი 6.3%-ით გაიზარდა

2025 წლის იანვარ-მაისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საწვავის აქციზიდან ბიუჯეტში შესული თანხა 15.9 მლნ ლარით გაიზარდა.

კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების (კონსოლიდაციის გარეშე) მიხედვით, 2024 წლის იანვარ-მაისში იმპორტირებული საწვავის აქციზიდან (ბენზინი, დიზელი და ა.შ.) საქართველოს ბიუჯეტმა 253.152 მლნ ლარის შემოსავალი მიიღო, 2025 წლის 5 თვეში კი 269.026 მლნ ლარის. შესაბამისად, გამოდის, რომ იმპორტირებული საწვავის აქციზიდან ბიუჯეტში შესული თანხის მოცულობა 6.3%-ით მოიმატა.

უფრო კონკრეტულად, წელს იანვარ-მაისში საწვავის აქციზიდან ბიუჯეტში გადარიცხული თანხა ასე ნაწილდება:

- ბენზინი 145 811 512 ლარი (2024 წელი 133 330 432 ლარი);
- დიზელი 103 928 703 ლარი (2024 წელი 102 682 434 ლარი);
- ნავთი 31 298 ლარი (2024 წელი 72 648 ლარი);
- სხვა ნავთობპროდუქტები 19 286 109 ლარი (2024 წელი 17 066 896 ლარი).

ამასთან, წელს იანვარ-მაისში მთლიანად ხაზინაში აქციზის გადასახადიდან 911.070 ლარის აკუმულირება მოხდა, 2024 წლის საანგარიშო პერიოდში კი ბიუჯეტმა ამ მუხლიდან 940 285 861 ლარის შემოსავალი მიიღო. შესაბამისად, გამოდის, რომ წელს ხაზინას აქციზიდან მიღებული შემოსავალი 29.216 მლნ ლარით, ანუ 3.1%-ით შეუმცირდა.

შეგახსენებთ, რომ საწვავის აქციზის გადასახადი საქართველოში 2017 წლიდან გაორმაგდა. ამ წლამდე აქციზი ტონაზე 250 ლარს შეადგენდა, 1-ლი იანვრიდან კი 500 ლარამდე გაიზარდა. ერთ ლიტრზე აქციზის გადასახადი დღეს შეადგენს 38 თეთრს, 2017 წლამდე კი 19 თეთრი იყო. აქციზის გადასახადიდან მიღებული შემოსავლის ზრდა კი ქვეყანაში საწვავზე მოთხოვნის ზრდაზე მიუთითებს.

რუბრიკის სპონსორი –
ა უ დ ი ტ უ რ ი კ ო მ პ ა ნ ი ა
შპს „მოორ ეიბისი“ / „Moore ABC“ LLC

MOORE

კითხვა-პასუხი

კითხვა-პასუხი – ამ რუბრიკით ჟურნალში ქვეყნდება პასუხები ჩვენი მკითხველების იმ შეკითხვებზე, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას, საგადასახადო კანონმდებლობასა და სამოქალაქო სამართალს შეეხება. დასმულ შეკითხვებზე პასუხს გასცემენ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს და შპს „ააფ ინტეგრითი“-ს აუდიტორები, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ მენეჯერები, შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაციის“ იურისტები. მომზადებული პასუხების განხილვა მათ გამოქვეყნებამდე ხდება „კითხვა-პასუხის“ საბჭოს მიერ.

შეკითხვები მოგვაწოდეთ წერილობითი სახით, ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა საშუალებით. სასურველია (თუმცა აუცილებელი არ არის) დასმული შეკითხვის ქვემოთმოყვანილი ფორმატით წარმოდგენა.

შეკითხვები მიიღება ელექტრონული ფოსტით: info@aaf.ge ან ტელ.: 239-33-50.

შპს „ააფ-მენეჯმენტის“ გენერალურ დირექტორს ფრიდონ ალშიბაიას
„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარ რედაქტორს გიორგი ცერცვაძეს

ჟურნალის ხელმომწერის ----------

შ ე კ ი თ ხ ვ ა

„კითხვა-პასუხის“ რუბრიკის ფორმატში, გთხოვთ განმარტებას შემდეგ საკითხზე: ----------

---

თარიღი, ხელმოწერა, საკონტაქტო ტელეფონი ან ელ. ფოსტის მისამართი.
(კითხვის ავტორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია ჟურნალში არ ქვეყნდება!)

წინამდებარე ნომერში მკითხველთა შეკითხვებს პასუხობდა **შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს აუდიტისა და კონსალტინგის მენეჯერი გოგა ფარასტაშვილი.**

კითხვა: ჩვენმა კომპანიამ გასულ წლებში რამდენჯერმე სამედიცინო კონგრესზე დასასწრებად გავუშვით აზერბაიჯანელი ექიმები. ასეთ ხარჯებს ვბეგრავთ ხოლმე არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით (10%-ით). ეს დაბეგვრა სწორია? ამ აზერბაიჯანელ ექიმებს არაფერი არ აქვთ საერთო საქართველოსთან და მიღებულ ცოდნასაც აზერბაიჯანში იყენებენ. არგუმენტი რა უნდა გვქონდეს, რატომ დავაფინანსეთ აზერბაიჯანელი ექიმი? სხვა არანაირ ხარჯს არ ვეწეოდით და არ ვწევთ აზერბაიჯანისთვის.

პასუხი: თუ რატომ დააფინანსა საქართველოს კომპანიამ აზერბაიჯანელი ექიმების ვიზიტი საზღვარგარეთ სამედიცინო კონგრესზე, ჩვენ არ ვიცით. თქვენი კომპანიის მენეჯმენტმა უნდა განმარტოს, თუ რა იყო მისი მოტივაცია. ჩვენ მხოლოდ ამ ტრანზაქციის დაბეგვრის შედეგებზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

თუ კომპანიის მენეჯმენტი ვერ დაასაბუთებს, თუ რატომ დაუფინანსა მათ ამ კონგრესზე გამგზავრება, ეს ჩაითვლება კომპანიის არაეკონომიკურ ხარჯად. ამ შემთხვევაში, გაწეული ხარჯი დაიბეგრება მოგების გადასახადით სსკ 98^2 და 98^3 მუხლების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მენეჯმენტი ასაბუთებს, რომ ამ აზერბაიჯანელ ექიმთა გამგზავრება საზღვარგარეთ სამედიცინო კონგრესზე მის ინტერესს წარმოადგენდა, მაშინ გამოდის, რომ ამ აზერბაიჯანელმა ექიმებმა თქვენს კომპანიას გაუწიეს მომსახურება, რადგან შეასრულეს რაღაც მოქმედება თქვენს ინტერესებში (სსკ მე-14 მუხლის „ლ" პუნქტი). მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, გადახდის წყაროსთან არარეზიდენტის 10% საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა არასწორია, რადგან ჯერ ერთი, აზერბაიჯანელი ექიმებისთვის ეს არ არის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი სსკ 104-ე მუხლის მიხედვით, და მეორეც, რომც იყოს, დაბეგვრისაგან გათავისუფლდება ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად. კერძოდ, საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებულია კონვენცია „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და შემოსავლებზე და ქონებაზე გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" (ძალაშია 1998 წლის 6 ივნისიდან), რომლის მე-14 მუხლი „შემოსავლები დამოუკიდებელი პირადი მომსახურეობიდან" ადგენს:

„1. შემოსავალი, რომელსაც იღებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი პროფესიონალური მომსახურეობის ან სხვა დამოუკიდებელი ხასიათის საქმიანობის შედეგად, იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა მას გააჩნია მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მუდმივი ბაზა, რომელსაც იგი იყენებს ასეთი საქმიანობისათვის. თუ მას გააჩნია ასეთი მუდმივი ბაზა, მაშინ აღნიშნულ ბაზასთან დაკავშირებული შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს ამ სხვა სახელმწიფოში, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც განეკუთვნება ამ მუდმივ ბაზას.

2. ტერმინი „პროფესიონალური მომსახურება" შეიცავს, კერძოდ, დამოუკიდებელ სამეცნიერო, ლიტერატურულ, სამსახიობო, საგანმანათლებლო ან სასწავლო საქმიანობას, აგრეთვე ექიმების, ადვოკატების, ინჟინრების, არქიტექტორების, სტომატოლოგების და ბუღალტრების დამოუკიდებელ საქმიანობას".

კითხვა: მიმდინარე წლიდან, როგორ იბეგრებიან (რა განაკვეთით) ის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები, რომლებიც ეწევიან შენობა-ნაგებობების სარემონტო მომსახურებას, რაც არ არის მშენებლობა?

პასუხი: „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2010 წ. №415 დადგენილებაში შეტანილი ცვლილების თანახმად, რომელიც 1 თებერვლიდან ამოქმედდა, დანართ №5-ს („შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და არ ითვლება მცირე ბიზნესის განხორციელების ფარგლებში მიღებულ ერთობლივ შემოსავალში") დაემატა შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ 006-2016-ის 41.2 ჯგუფით გათვალისწინებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობის მომსახურების, 42-ე განყოფილებით გათვალისწინებული სამოქალაქო მშენებლობის მომსახურების ან/და 43-ე განყოფილებით გათვალისწინებული სპეციალიზებული სამშენებლო მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი, თუ აღნიშნული მომსახურების მიმღებს წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საწარმო, ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი".

ამგვარად, ეს შეზღუდვა ეხება სეკ 006-2016 კლასიფიკატორის 41.2 ჯგუფს და 42-ე და 43 განყოფილებებით გათვალისწინებულ მომსახურებას.

როგორც სეკ 006-2016 კლასიფიკატორის 43-ე განყოფილებაში „სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები" არის აღნიშნული:

„ეს განყოფილება შეიცავს სპეციალიზებულ სამშენებლო სამუშაოებს (სპეციალიზებული პროფესიების), მაგალითად, სამოქალაქო მშენებლობის შენობებისა და ობიექტების ზოგიერთი ნაწილის მშენებლობას ან მშენებლობისათვის მომზადებას. ჩვეულებრივ, მსგავი სამუშაოები დაფუძნებულია ერთ ასპექტზე, რომელიც საერთოა სხვადასხვა სახის შენობებისა და ნაგებობებისათვის და მოითხოვს სპეციალიზებულ ცოდნას (კვალიფიკაციას) ან მოწყობილობებს აღნიშნული სამუშაოების შესრულებისათვის. ასეთი სამუშაოებია: ხიმინჯების ჩასობა, ნულოვანი დონის სამშენებლო სამუშაოები, შიდა კომუნიკაციების მონტაჟი, ბეტონის სამუშაოები, აგურების დაწყობა, სამშენებლო ხარაჩოების დაყენება, გადახურვის სამუშაოები და ა.შ. აქვე შედის ფოლადის კონსტრუქციების აგება, იმ პირობით, რომ ამ კონსტრუქციების დეტალებს არ უშვებს იგივე ორგანიზაცია. სპეციალიზებულ სამშენებლო სამუშაოებს ძირითადად აწარმოებს სუბმენარდე, მაგრამ ეს სამუშაოები სრულდება უშუალოდ ქონების მფლობელისათვის (ეს განსაკუთრებით ეხება სარემონტო სამუშაოებს).

ეს განყოფილება შეიცავს აგრეთვე შენობების სრულ მოპირკეთებას.

აქვე შედის ყველა სახის კომუნიკაციების დაყენება, რომლის მეშვეობითაც აქვე შედის ყველა სახის კომუნიკაციების დაყენება, რომლის მეშვეობითაც ნაგებობა ხდება ფუნქციური... განყოფილება შეიცავს აგრეთვე სარემონტო სამუშაოებს ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების ყველა ტიპის მიხედვით.

შენობების სრული მოსაპირკეთებელი სამუშაოები შეიცავს: გაპრიალებას, საბათქაშე და სამღებრო სამუშაოებს,

იატაკის და კედლების ფილებით მოპირკეთებას ან ისეთი მოსაპირკეთებელი მასალების დაგებას, როგორიცაა პარკეტი, ორხოვისებრი ფენილები, შპალერი და ა.შ., აგრეთვე იატაკის მოხვეწას, მოსაპირკეთებელ სახუროო სამუშაოებს, ბგერათსაიზოლაციო სამუშაოებს, გარე ტერიტორიების გასუფთავებას და ა.შ. აქვე შედის სარემონტო სამუშაოები ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების ყველა ტიპის მიხედვით".

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ მომსახურების გამწევი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები დაიბეგრებიან ჩვეულებრივი წესით როგორც სპეციალური სტატუსის არმქონე ინდმეწარმეები, ანუ 20%-ით, თუ ისინი ამ მომსახურებას უწევენ საქართველოს საწარმოს, ორგანიზაციას ან მეწარმე ფიზიკურ პირს.

კითხვა: მოგახსენებთ, რომ შპს „ა"-ს (რომლის დამფუძნებელია საქართველოს რეზიდენტი ფპ „ბონდო" 100% -იანი წილით) შვილობილ კომპანია შპს „გ"-ში აქვს 53% -იანი წილი. ამავე დამფუძნებელს, ბონდოს როგორც ფიზიკურ პირს, ამ შპს „გ"-ში ეკუთვნის 8% წილი.

შპს „ა" არის მეოთხე კატეგორიის საწარმო, ხოლო შპს „გ" - მესამე ზომითი კატეგორიის საწარმო. შპს „ა" შპს „გ"-სთან ერთობლიობაში ქმნის მესამე ზომითი კატეგორიის ჯგუფს.

გვაქვს ასეთი მოსაზრება: ბონდომ როგორც ფიზიკურმა პირმა, შპს „ა"-სგან შეიძინოს შპს „გ"-ის 5% წილი, რათა ამ გზით შპს „ა" ავარიდოთ მე-3 კატეგორიის ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას. საინტერესოა თქვენი მოსაზრება ამ საკითხზე.

პასუხი: იმისათვის, რომ შპს „გ"-ში 53% წილის მფლობელმა შპს „ა"-მ გაყიდოს 5% წილი ამავე ფირმაში 8% წილის მფლობელ ბონდოზე, ამისათვის მხოლოდ მათი გადაწყვეტილება არ არის საკმარისი. საჭიროა ასევე დანარჩენი 39% წილის მფლობელი პირების თანხმობაც, რადგან შპს-ში წილის გასხვისებას, როგორც წესი, სჭირდება ამ შპს-ის ყველა პარტნიორის თანხმობა.

თუ ეს თანხმობა არის და გარიგება შედგება, მაშინ შპს „ა" გახდება შპს „გ"-ს 48% წილის მფლობელი, რაც, როგორც წესი (უმეტეს შემთხვევაში), იმას ნიშნავს, რომ შპს „გ" აღარ არის შპს „ა"-ს შვილობილი საწარმო. თუ ეს ასეა, მაშინ შპს „ა" და შპს „გ" აღარ ქმნიან ჯგუფს და შესაბამისად, შპს „ა"-ს აღარ მოუწევს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, წარადგენს მხოლოდ განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებას როგორც მე-4 ზომითი კატეგორიის საწარმო.

თუმცა, აქ უნდა შევნიშნოთ, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს 2026 წლის 8 ივნისის კანონის მე-2 მუხლში მოყვანილია ჯგუფისა და შვილობილი საწარმოს შემდეგი განმარტებები:

„ც) მშობელი საწარმო – სუბიექტი, რომელიც ერთ ან რამდენიმე შვილობილ საწარმოს აკონტროლებს;

ძ) შვილობილი საწარმო – სუბიექტი, რომელსაც მშობელი საწარმო აკონტროლებს, მათ შორის, შვილობილი საწარმო, რომელიც წარმოადგენს მშობელ საწარმოს;

წ) ჯგუფი – მშობელი საწარმო და ყველა მისი შვილობილი საწარმო".

ამასთან, ეს განმარტებები ანალოგიურია იმ განმარტებებისა, რომლებიც მოყვანილია მსს ფასს-ში (იხ. მსს ფასს-ის „ბ" დანართი „ტერმინების ლექსიკონი").

როგორც ზემოთ მოყვანილი ცნებიდან ჩანს, „შვილობილი საწარმოს" განმარტებაში არ არის კონკრეტულად მითითებული მფლობელთა წილის პროცენტების რაოდენობა, არამედ ზოგადად მითითებულია მშობელი საწარმოს მხრიდან კონტროლის არსებობის შესახებ. ეს კონტროლი კი შეიძლება მიიღწეოდეს სხვა გზითაც და დასაშვებია ისეთი შემთხვევების არსებობა, როდესაც მშობელი საწარმო სხვა კომპანიაში არ ფლობს წილის 50%-ზე მეტს, მაგრამ სხვა პარტნიორებთან შეთანხმებით, ან სხვა პარტნიორებზე გავლენის არსებობის გამო ფაქტობრივად აკონტროლებს მას. ზოგადად თუ ვიტყვით, ეს საკითხი (არსებობს თუ არ არსებობს კონტროლი სხვა საწარმოზე) კონკრეტულ შემთხვევებში სამსჯელოა და შეიძლება იყოს ისეთი სიტუაცია, როდესაც ერთი შპს მაინც ჩაითვლება მეორე შპს-ის შვილობილ კომპანიად, მიუხედავად იმისა, რომ ეს მეორე შპს პირველ შპს-ში წილის 50%-ზე ნაკლებს ფლობს.

მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში, იმის გათვალისწინებით, რომ „ბონდო" შპს „ა"-ს 100%-იანი დამფუძნებელია, მის მიერ შპს „ა"-სგან შპს „გ"-ის 5% წილის შესყიდვის მიუხედავად (რის შემდეგაც შპს „ა" გახდება შპს „გ"-ის წილის მხოლოდ 48%-ის მფლობელი) შპს „გ" მაინც უნდა ჩაითვალოს შპს „ა"-ს შვილობილ კომპანიად. საპირისპიროს დამტკიცება ძალიან ძნელი იქნება.

კითხვა: GDP სერტიფიკატის მისაღებად ჩვენთან ჩამოსულია შესამოწმებლად 5-კაციანი ჯგუფი, რომელთა კვებას უზრუნველყოფს ჩვენი კომპანია. კერძოდ, შუადღეს მიგვყავს შემმოწმებლები რესტორანში სასადილოდ.

რესტორანში გადახდილი ფული ჩაითვლება წარმომადგენლობით ხარჯად?

პასუხი: სსკ მე-8 მუხლის 33-ე პუნქტში მოცემული განმარტების თანახმად:

„33. წარმომადგენლობითი ხარჯი – პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯი, რომელიც მოიცავს:...

დ) სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათ შორის:...

დ.ე) მიღებებისა და წვეულებებისათვის გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, გამაგრილებელი სასმელები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს“.

ამ განმარტებიდან გამომდინარე, თუ ამ სტუმრების კვება თქვენი კომპანიის სახელშეკრულებო ვალდებულება არის, არამედ თქვენი ნების გამოვლენაა, მაშინ ზემოაღნიშნული სარესტორნო ხარჯი ჩაითვლება წარმომადგენლობით ხარჯად, თუ არსებობს ამ ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები. რეკომენდებულია ასევე წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევაზე შესაბამისი აქტის შედგენა სტუმრების ვიზიტის დასრულების შემდეგ.

კითხვა: თბილისში ჩატარდა ღვინის ფესტივალი, რომელშიც ჩვენი კომპანია მონაწილეობდა. შიდა გადაზიდვით 6 სახეობის ღვინო გავიტანეთ ფესტივალზე, ჯამში 72 ბოთლი. ეს რაოდენობა მარკეტინგულ ხარჯში რომ გავუშვა, შეიძლება?

პასუხი: თუ თქვენი კომპანია ამ ფესტივალის ოფიციალური მონაწილე იყო, მაშინ ამ ფესტივალში მონაწილეობის ყველა ხარჯი, გახარჯული ღვინის ჩათვლით (ასევე, მათზე დარიცხული დღგ-ის ხარჯის ჩათვლით, თუ დღგ დარიცხულია), მარკეტინგული ხარჯია, გარდა, შესაძლოა, იმ ღვინისა, რომელიც გაყიდეთ ამ ფესტივალზე. თუ ღვინის ნაწილი გაიყიდა, მაშინ გაყიდული ღვინო – რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ხარჯი იქნება. ამასთან, ვინაიდან ღვინის ფესტივალზე მონაწილეობა თქვენი კომპანიის იმიჯის/ცნობადობის ამაღლებას და შესაბამისად, გაყიდვების/შემოსავლის ზრდას ემსახურება, გახარჯული (არგაყიდული) ღვინო არ დაიბეგრება მოგების გადასახადით სსკ 98[3] მუხლის მიხედვით.

თუ ღვინის ნაწილი არ გახარჯულა/არ გაყიდულა ამ ფესტივალზე, ის რჩება კომპანიის მარაგში და სავარაუდოდ უკან დაბრუნდება საწყობში.

კითხვა: სამეთვალყურეო საბჭოს ჩატარებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები დაბეგვრის გარეშე შესაძლოა გავატაროთ? თვითონ გაწეული ხარჯები წარმომადგენლობითი ხარჯის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

პასუხი: როგორც ცნობილია, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის თანახმად:

„1. ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობის კონტროლის განხორციელების მიზნით სამეწარმეო საზოგადოებას კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა სავალდებულოა.

2. სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობის კონტროლს და ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციები მას არ შეიძლება გადაეცეს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა“.

ამავე კანონის 45-ე მუხლის მიხედვით კი:

„1. ხელმძღვანელი პირის/სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას/სააქციო საზოგადოებას/კოოპერატივს და ხელმძღვანელ პირს/სამეთვალყურეო საბჭოს წევრს შორის იდება სასამსახურო ხელშეკრულება. მასზე არ ვრცელდება შრომის სამართლის დებულებები. იგივე წესი გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების ხელმძღვანელი პირის მიმართ, თუ ხელმძღვანელ პირად ინიშნება მოწვეული პირი და არა პარტნიორი...

3. სასამსახურო ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს ხელმძღვანელი პირის საქმიანობის ანაზღაურების ოდენობა, ფორმა და პერიოდულობა, სამსახურებრივი პრივილეგიები, რომლებსაც ხელმძღვანელი პირი მიიღებს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, აგრეთვე მისი უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც იმოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც. თუ სასამსახურო ხელშეკრულება არ შეიცავს ინფორმაციას ხელმძღვანელი პირის საქმიანობის ანაზღაურების შესახებ, ივარაუდება, რომ იგი თავის საქმიანობას უსასყიდლოდ ახორციელებს“.

წარმომადგენლობითი ხარჯები, იმისათვის, რომ ისინი ასეთად იქნეს ცნობილი, საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში უნდა იყოს გაწეული. როგორც წესი, ისინი სხვა პირების მიმართ გაიწევა (მაგალითად, პრეზენტაციები, მიღებები, სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯები და სხვა ანალოგიური). სამეთვალყურეო საბჭოს ჩატარებისთვის გაწეული ხარჯები – წარმომადგენლობით ხარჯად ვერ ჩაითვლება, რადგან მასში მხოლოდ საწარმოს ადმინისტრაციის ან/და დამფუძნებლების წარმომადგენლები მონაწილეობენ. იმისდა მიუხედავად, თუ რა სახისაა კონკრეტული ხარჯი, ის შეიძლება შეფასდეს ან როგორც მიმდინარე ადმინისტრაციული ხარჯი (დაბეგვრის გარეშე), ან როგორც ხელფასთან გათანაბრებული სარგებელი, ან როგორც დამფუძნებლებისათვის

(მათ ინტერესებში) გაწეული ხარჯი, თუ მისი დაფინანსება ხდება კომპანიის გაუნაწილებელი მოგებიდან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ეს ხარჯი მიჩნეულ უნდა იქნეს კომპანიის მიერ გაწეულ ისეთ ხარჯად, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის და მაშინ დაიბეგრება მოგების გადასახადით სსკ 98[2] მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტის შესაბამისად.

თუ რომელი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან, დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე და გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობაზე.

კითხვა: შპს-ს ნაშთად ერიცხება რეზიდენტი (ადგილობრივი) ორგანიზაციებისგან შეძენილ საქონელზე 2 წლის და მეტი ხნის კრედიტორული დავალიანება. ამ ვალებს შპს ჯერჯერობით ვერ იხდის. რა გადასახადები ეკისრება შპს-ს?

სხვადასხვა მიზეზების გამო, სამი წლის და მეტი ხნით თუ დარჩა შპს-ს ნაშთად კრედიტორული დავალიანება, შეიძლება ეს თანხა გავატაროთ მოგება-ზარალის ანგარიშზე და კრედიტორული დავალიანება დავხუროთ?

პასუხი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე და 129-ე მუხლების თანახმად:

„მუხლი 128. ცნება. სახეები

1. სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა...

მუხლი 129. სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

1. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.

2. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

3. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც".

შესაბამისად, თუ ხანდაზმულობის ვადა გასულია და არ არის გაგრძელებული ამა თუ იმ საფუძვლით, კრედიტორი ვეღარ მოითხოვს მისთვის თანხის გადახდას, ამიტომ ასეთი კრედიტორული დავალიანება აღარ აკმაყოფილებს ვალდებულების ცნებას და უნდა ჩამოიწეროს ბალანსიდან.

თუ კომპანია მოგების გადასახადით დაბეგვრის ე.წ. „ესტონურ მოდელზეა", მაშინ მისთვის არსებული კრედიტორული დავალიანების ჩამოწერა (მიკუთვნება არასაოპერაციო შემოსავალზე) მისთვის დასაბეგრ ოპერაციას არ წარმოშობს.

კითხვა: ბანკმა ჩვენს კომპანიას (დღგ-ის გადამხდელ შპს-ს) გადასცა ოქროს მონეტა-მედალიონები (3 ცალი). გადმოცემის დოკუმენტში, სადაც აღნიშნულია საფუძველი, წერია: „ინტერნეტ და მობილ ბანკის მეშვეობით კონვერტირებული თანხის მოცულობის პროპორციულად დაგროვებული ქულების გაქვითვა".

ბანკმა გამოგვიწერა ზედნადები და ა/ფ. რამე ვალდებულება არ გვაქვს მათ წინაშე.

გთხოვთ, შესაბამისი ბუღალტრული გატარება მომწეროთ.

პასუხი: როგორც კითხვიდან ჩანს, ბანკმა ეს 3 ცალი ოქროს მონეტა-მედალიონი, უბრალოდ, აჩუქა თქვენს კომპანიას, როგორც ერთგვარი ჯილდო საბანკო კონვერტაციებში გამოვლენილი აქტიურობისათვის, თავისი მარკეტინგული ღონისძიებების ფარგლებში.

აღნიშნული მედალიონები წარმოადგენს კომპანიის მარაგს, რადგან სავარაუდოდ, მათ ან გააჩუქებთ, ან გაყიდით. ვინაიდან ბანკმა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაც გამოგიწერათ, დღგ შეგიძლიათ ჩაითვალოთ. ამასთან, ნაჩუქარი ქონების ღირებულებაც დადგენილია. ბუღალტრულ გატარებებს ექნება სახე:

დ-ტი 1690 კ-ტი 3110/„ბანკი" X,

დ-ტი 3340 კ-ტი 3110/„ბანკი" X*18%,

დ-ტი 3110/„ბანკი" კ-ტი 7470 [X+X*18%] – გაწეული საბანკო ხარჯების შემცირება.

(შენიშვნა: თუ კომპანია წინასწარ აღიარებდა საბანკო ხარჯების მოსალოდნელ შემცირებას წლის განმავლობაში, მაშინ შესაძლებელია 3110-ის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს 1480 ანგარიში).

თუმცა, თუ ამ მონეტა-მედალიონების გაჩუქებას არაურთიერთდამოკიდებულ პირებზე აპირებთ, შეგიძლიათ დღგ არ ჩაითვალოთ და სამაგიეროდ, არ დაარიცხავთ დღგ-ს მათი გაჩუქებისას.

კითხვა: მზღვეველ კომპანიას და დღგ-ის გადამხდელ შპს-ს (დაზღვეული) შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ზიანის ანაზღაურებაზე. საკითხი ეხება 2024-2025 წლებს. მაინტერესებს, თუ ზიანის

სანაცვლოდ ხდება ანაზღაურების თანხის გადახდა დაზღვეულისათვის, ხოლო დაზიანებული ქონება (TOYOTA LANDCRUISER LC 150) გადაეცემა მზღვეველს, რაიმე საგადასახადო ვალდებულება ხომ არ წარმოეშობა დაზღვეულ საწარმოს?

პასუხი: „ტოიოტა ლენდკრუიზერი" მსუბუქი ავტომანქანაა და ამიტომ მისი გასხვისება არ იბეგრება დღგ-ით, სსკ 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ღ" პუნქტის თანახმად. მზღვეველისათვის მისი გადაცემისას, მართალია, ის დაზიანებულია, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ ჩამოწერილი არ არის ჯართად ან სათადარიგო ნაწილებად, ანუ კვლავინდებურად მსუბუქი ავტომანქანის სტატუსი აქვს, ამიტომ ეს გადაცემა დაზღვეული საწარმოდან მზღვეველის საკუთრებაში არ დაიბეგრება დღგ-ით.

ამასთან, აღნიშნული გადაცემა არც მოგების გადასახადით დაიბეგრება, რადგან თავისი არსით არ წარმოადგენს უსასყიდლო მიწოდებას, არამედ დაზღვეული საწარმოსთვის დაზღვევის კომპენსაციის მიღების აუცილებელი პირობაა. ანუ, საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ქმედებაა.

კითხვა: **გვაქვს ასეთი ოპერაცია: ჩვენი ქართული კომპანიის დაკვეთით არარეზიდენტმა კომპანიამ დაამზადა საქართველოში მშენებარე გასაყიდი უძრავი ქონების (აპარტჰოტელის) მაკეტი. მაკეტს ვიყენებს სხვადასხვა ქვეყნებში სამშენებლო გამოფენებზე პოტენციური უცხოელი მყიდველებისთვის წარსადგენად და ამჟამადაც ერთ-ერთ უცხო ქვეყანაშია.**

არის ეჭვი, რომ ამ მაკეტის დამზადების მომსახურებაში გადახდილი საფასური უნდა დაიბეგროს გადახდის წყაროსთან, როგორც საქართველოში მდებარე უძრავ ქონებასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურება. როგორია თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით?

პასუხი: სსკ 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

„1. ამ კარის მიზნებისათვის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება:...

გ) საქართველოში მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი. ამ მიზნით, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მომსახურება საქართველოში გაწეულად ითვლება, თუ:

გ.ა) მომსახურება ფაქტობრივად გაიწევა საქართველოს ტერიტორიაზე;

გ.ბ) მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ უძრავ ქონებასთან, რომელიც მდებარეობს საქართველოში;

გ.გ) მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ მოძრავ ქონებასთან, რომელიც მდებარეობს საქართველოში...".

თუ ეს მომსახურება არარეზიდენტმა პირმა (რომელსაც არ აქვს მუდმივი დაწესებულება საქართველოში) გაწია საქართველოს საწარმოს დაკვეთით, მაშის მომსახურების გამწევი პირისთვის გადახდილი საზღაური გადახდის წყაროსთან უნდა დაიბეგროს (დაკავდეს) არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით, სსკ 134-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოში მშენებარე გასაყიდი უძრავი ქონების მაკეტი დამზადება, ცხადია, დაკავშირებულია ამ უძრავ ქონებასთან, მაგრამ საკითხი დგას ასე: ეს დაკავშირებულობა არის „უშუალო" თუ არა? მოქმედი საგადასახადო კოდექსი მკაფიოდ არ განმარტავს ამას.

ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი უარყოფითია. მიგვაჩნია, რომ უშუალოდ დაკავშირებულობა მაშინ ვლინდება, როდესაც ან: 1) მომსახურება უშუალოდ უტარდება ამ უძრავ ქონებას ან მონაწილეობს მის შექმნაში (მაგალითად, პროექტდება, ან რემონტდება, ან იზომება, ან კომუნიკაციის ქსელები უერთდება, ან სხვა ანალოგიური); ან 2) ეს უძრავი ქონება თავად მონაწილეობს მომსახურების გაწევაში (მაგალითად, ქირავდება, ან სასტუმრო მომსახურება გაიწევა, ან გამოიყენება სხვისი ქონების შესანახად, ან სხვა ანალოგიური). „უშუალობა" სწორედ ამას ნიშნავს, ის სხვაგვარად ვერ იქნება განმარტებული.

თუ გაწეული მომსახურება არც ერთი და არც მეორე სახის არ არის, მაშინ მისი დაკავშირებულობა უძრავ ქონებასთან „უშუალოდ" ვერ ჩაითვლება. უძრავი ქონების მაკეტის დამზადება, რომელიც მოძრავი ქონებაა და სარეკლამო-მარკეტინგული მიზნით გამოიყენება, ამ უძრავ ქონებასთან „არაუშუალოდ" დაკავშირებული მომსახურებაა, ისევე როგორც, მაგალითად, ამ უძრავი ქონების დახატვა ან მასზე სტატიის დაწერა.

კითხვა: **ერთმა შპს-მ მეორე შპს-ს (ორივე არის დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე") ასესხა გარკვეული თანხა 1 წლით. ამ მეორე შპს-ს სესხის თანხა ვერ დააბრუნა, ვინაიდან აქვს ფინანსური პრობლემები. სესხის გამცემმა შპს-ის დამფუძნებელმა გადაწყვიტა აჩუქოს მათ ეს თანხა.**

ამ შემთხვევაში, რა ვალდებულებები წარმოეშვებათ ამ შპს-ებს ბიუჯეტის წინაშე?

პასუხი: იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მომხდარი ოპერაციის (უპროცენტო სესხის გაცემა და მისი შემდგომი ჩუქება) გადაკვალიფიცირების საფუძველი, ეს ჩუქება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით, რადგან სსკ 98[3] მუხლის მე-3 ნაწილის „ზ" პუნქტის თანახმად:

„3. მოგების გადასახადით არ იბეგრება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ან/და ფულადი სახსრების გადაცემის შემდეგი შემთხვევები:...

ზ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა იმ პირისთვის, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით“.

თუმცა, როგორც სესხის უპროცენტოდ გაცემა, ასევე მისი შემდგომი ჩუქება გვაფიქრებინეს, რომ ეს ოპერაცია მომხდარია ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, ის საგადასახადო ორგანომ შეაფასოს ე.წ. „საეჭვო გარიგებად“ და დაიწყოს მოკვლევა, ხომ არ იყო ეს ქმედება შპს-ს დირექტორის, დამფუძნებლის ან სხვა ურთიერთდამოკიდებული ფიზიკური პირის ინტერესი, ანუ მათი სარგებელი. ასევე შეიძლება შესწავლად დაექვემდებაროს, ხომ არ ჰქონდა სესხის გამცემ შპს-ს მომხდარ ოპერაციასთან დაკავშირებით რამე ხარჯი გაწეული (მაგალითად, თავად ხომ არ ჰქონდა პროცენტიანი სესხი აღებული, რომლის ნაწილი გაასესხა უპროცენტოდ), რაც, გამოვლენის შემთხვევაში, არ ჩაითვლება მის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯად და შესაბამისად, დაიბეგრება მოგების გადასახადით.

კითხვა: 1) დამფუძნებელმა, იგივე დირექტორმა, 3 წლის წინ შემოიტანა უპროცენტო სესხი შპს–ში. ძირი თანხის გატანის დღეს დავარიცხე პროცენტი, გავატარე ხარჯში და იგივე თანხა ავიღე შემოსავალში. მაქვს თუ არა ვალდებულება დარიცხული თანხა დავადეკლარირო და გადავიხადო საშემოსავლო 5%?

2) დამფუძნებელმა, იგივე დირექტორმა 3 წლის წინ შემოიტანა პროცენტიანი სესხი. ხელშეკრულებით პროცენტის დარიცხვა ხდება ძირი თანხის გატანის დღეს. 3 წლის შემდეგ პირობითად, იანვარში გამსესხებელს დავუბრუნეთ ძირი თანხა, მაგრამ დარიცხული პროცენტი გამსესხებელს გადავურიცხეთ მარტში. მაინტერესებს, როდის მქონდა დარიცხულ პროცენტზე დეკლარირების ვალდებულება: იანვარში თუ მარტში?

პასუხი: 1) მოცემულ შემთხვევაში, გაუგებარია, თუ სესხი უპროცენტო იყო, გაცემის დღეს რატომ „გაატარეთ ხარჯში და იგივე თანხა აიღეთ შემოსავალში“? ასე ხდებოდა 2016 წლამდე (ჩათვლით) საგადასახადო პერიოდებზე, მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ შემოღებამდე. ახლა ასეთი ქმედება არასწორია. დამფუძნებელს უპროცენტო სესხის შპს-დან დაბრუნებისას, საგადასახადო თვალსაზრისით შემოსავალი არ მიუღია, ამიტომ პროცენტის თანხის დარიცხვისა და საშემოსავლო გადასახადის დეკლარირების ვალდებულება არ წარმოგეშვებათ.

2) პირველ რიგში, შევნიშნავთ, რომ პროცენტის დარიცხვა უნდა ხდებოდეს ყოველთვიურად (ან, თუ ყოველთვიურ ანგარიშგებას არ ადგენთ, ყოველწლიურად მაინც), მიუხედავად იმისა, რომ პროცენტის გადახდა ხდება სესხის ხელშეკრულების დასრულების შემდეგ.

გადახდილი პროცენტისაგან საშემოსავლო გადასახადის დაკავების ვალდებულება კი წარმოიშვება, ცხადია, მარტში, როდესაც მოხდა პროცენტის ფაქტობრივი გადახდა. ეს ბუნებრივია, რადგან საშემოსავლო გადასახადი კავდება გადახდის წყაროსთან. ამასთან, სსკ 154-ე მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულია:

„3. პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია:

ა) ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში“.

თუმცა, აქ კიდევ არის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხი: კითხვის მოცემულობა მიანიშნებს იმ შესაძლო გარემოებაზე, რომ დამფუძნებლის მიერ სესხი გაცემულია შპს-ზე არასაბაზრო პირობებით. არსებობს მაღალი საგადასახადო რისკი იმისა, რომ საგადასახადო შემოწმებამ პროცენტის გაცემა დამფუძნებელზე მიიჩნიოს მისთვის მოგების ფაქტობრივ განაწილებად და დაბეგროს შპს არა მხოლოდ გადახდის წყაროსთან 5%-ით, არამედ მოგების გადასახადითაც.

კითხვა: როდესაც 1430 ანგარიშზე მაქვს რიგით თანამშრომელზე ჩარიცხული თანხა და ამ თანხის ხელფასად დაბეგვრა მიწევს, როგორც საბუთის გარეშე გახარჯულის, რომელია სწორი დაბეგვრა: იმ თანამშრომელზე ვაჩვენო ხელფასი, ვისზეც არის გაცემული, თუ დირექტორზე?

პასუხი: მსგავს შემთხვევებში, პრაქტიკაში ვხვდებით ორივე მიდგომას. ვფიქრობთ, რომ დასმული კითხვის პასუხი ცალსახა არ არის, ანუ ორივე ვარიანტს აქვს არსებობის უფლება.

ფორმალურად, თუ თანხა თანამშრომელზე (როგორც ანგარიშვალდებულ პირზე) არის გადარიცხული/გაცემული და მან ხარჯვის საბუთები ვერ წარმოადგინა, ეს უნდა დაიბეგროს როგორც *„ვ) დამქირავებლის მიერ*

დაქირავებულისათვის ხარჯების ანაზღაურებისას – ანაზღაურების თანხა" სსკ 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" პუნქტის მიხედვით, რაც მისთვის გაცემულ ხელფასთან გათანაბრებული თანხაა.

ზოგჯერ ეს გარანტირებულად ასეა (მაგალითად, თანამშრომლის მიერ მივლინებაში ყოფნის დროს გახარჯულ თანხებთან მიმართებით, რაც არ შედის სამივლინებო ნორმატიულ ხარჯებში), მაგრამ ზოგ შემთხვევაში ისე ხდება, რომ ეს თანხა გახარჯულია თანამშრომლის მიერ საწარმოო მიზნებისათვის ან უშუალოდ დირექტორის მითითებით, რაც არსებითად ერთი და იგივეა დაბეგვრის მიზნებისათვის. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება გაცემული თანხის დაბეგვრა დირექტორზე და არა თანამშრომელზე და ამის ახსნა, თუ რატომ იქნა მიღებული ასეთი გადაწყვეტილება.

ამგვარად, გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია საკითხის გადაწყვეტის ორივე ვარიანტი.

კითხვა: კომპანიის ბალანსზე ირიცხება არარეზიდენტი კომპანიის დებიტორული დავალიანება (დაახლოებით 50000 აშშ დოლარი), რომელიც მოდის 2022 წლიდან.

მყიდველის მხარის პოზიცია არის ის, რომ მხარეებს შორის სიტყვიერად შეთანხმებულ ფასზე მეტ თანხაზეა გამოწერილი ინვოისები და უარს აცხადებს ამ დავალიანების დაფარვაზე. ამბობს, რომ სიტყვიერად შეთანხმებული დავალიანება ანაზღაურებული აქვს, თუმცა, როდესაც საქონელს ღებულობდა, ინვოისში მითითებულ გაზრდილ ფასზე რეაქცია არ ჰქონდა. ექსპორტის დეკლარაციების კორექტირება ვერ ხერხდება (ბევრია).

რამდენად რეალურია რისკი, რომ შემოწმების შემთხვევაში საგადასახადო აუდიტორმა დაბეგროს ჩამოკიდებული დებიტორული დავალიანება? რას გვირჩევთ აღნიშნული დავალიანების ჩამოსაწერად?

პასუხი: გაუგებარია, რას ნიშნავს „სიტყვიერად შეთანხმებული დავალიანება"?! ხელშეკრულება არ არსებობდა?

იმის გათვალისწინებით, რომ ეს დებიტორი არარეზიდენტია (და შესაბამისად, მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონული მოდელი" მას არ ეხება, და ამ მიზეზით, არც სსკ 98[3] მუხლის მე-3 ნაწილის „ზ" პუნქტი არ ეხება), საგადასახადო შემოწმების მხრიდან ასეთი დავალიანების დაბეგვრის რისკი საკმაოდ მაღალია. ეს გამომდინარეობს შემოსავლების სამსახურის უფროსის 2024 წლის 29 ოქტომბრის №23106 ბრძანებით „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე" შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანებაში (ნაწილი I) ცვლილების შეტანის შესახებ" დამტკიცებული №11 დანართის „დებიტორული დავალიანების შესახებ" მიხედვით და ბოლო 6 თვის მანძილზე დამკვიდრებული საგადასახადო პრაქტიკით.

რა შეიძლება იყოს გამოსავალი (დავალიანების გადახდის გარდა), რთული სათქმელია. ერთ-ერთი გამოსავალი, შესაძლოა, ის იყოს, რომ უჩივლოთ ამ დებიტორს სასამართლოში. ეს დავა რომც ვერ მოიგოთ, ეს იქნება დამატებითი მტკიცებულება იმისა, რომ თანხა არ არის მის მიერ თქვენთვის გადახდილი. თუმცა, რამდენად გაითვალისწინებს ამ ფაქტს საგადასახადო შემოწმება, ცალსახად ამის მტკიცება ძნელია.

კითხვა: როდესაც დღგ-ის გადამხდელი საწარმო ახდენს ე.წ. „საწარმოს მიწოდების" ხელშეკრულების ფარგლებში დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის გაყიდვას სხვა დღგ-ის გადამხდელისთვის, რაც არ იბეგრება დღგ-ით, შეიძლება თუ არა, რომ გასაყიდ აქტივებს შორის, ძირითად საშუალებებთან ერთად, შედიოდეს სასაქონლო მარაგიც?

პასუხი: დიახ, შეიძლება. ეს გამომდინარეობს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010 წ. №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" ინსტრუქციის 50[1] მუხლის „დასაბეგრი პირის მიერ ყველა აქტივის ან მისი ნაწილის (დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის) სხვა დასაბეგრი პირისთვის მიწოდება" მე-3 ნაწილიდან, სადაც აღნიშნულია:

„3. ყველა აქტივის ან მისი ნაწილის (დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის) მიწოდების ფარგლებში, გადასაცემ აქტივებს შესაძლებელია წარმოადგენდეს ნებისმიერი აქტივი, რომელსაც მიმწოდებელი იყენებს ან განკუთვნილია გამოსაყენებლად იმ ეკონომიკურ საქმიანობაში, რომელთან დაკავშირებითაც ხორციელდება ყველა აქტივის ან მისი ნაწილის მიწოდება, მათ შორის:

ა) ძირითადი საშუალებები;

ბ) სასაქონლო მატერიალური ფასეულობები;

გ) არამატერიალური ქონება (მათ შორის, გუდვილი, ინტელექტუალური საკუთრება, მოთხოვნები, ხელშეკრულებებში ჩანაცვლების უფლება)".

რედაქციაში შემოსულ სხვა შეკითხვებს პასუხი გაეცემათ ჟურნალის შემდეგ ნომერში.

რუბრიკის სპონსორები:

www.aafcapital.ge

შპს „ააფ-კაპიტალი“

AAFC – სასწავლო-სასერტიფიკაციო პროგრამები ფინანსებში

საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის / თბილისი

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის – ამ რუბრიკის მეშვეობით „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ ეხმარება სასწავლო ცენტრი „ააფ–კაპიტალის“ მსმენელებს ან/და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ინფო ბუღალტერის“ მცოდნე ფინანსური სფეროს სპეციალისტებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს შოვნაში, ხოლო საწარმოებს – კადრების შერჩევაში. ნებისმიერი სახის ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ჟურნალის რედაქციაში: ტელ. 239-33-50 ან 239-33-47.

განცხადებების განთავსება უფასოა, თუმცა გამოქვეყნების ჯერადობა შეზღუდულია. აუცილებელი მოთხოვნაა, რომ უფასო განცხადების გამოქვეყნების მსურველმა გაიაროს ერთჯერადი გასაუბრება ჟურნალის მთავარ რედაქტორთან.

ამ რუბრიკის მეშვეობით სამსახური იშოვა 69 განმცხადებელმა!

ბანცხ. 040010. კაცი, 24 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – სასაუბრო. კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 289026. ქალი, 34 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 098901. ქალი, 35 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 228501. ქალი, 39 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 058018. ქალი, 44 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 070015. ქალი, 24 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 139402. ქალი, 30 წლის, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 139303. ქალი, 31 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 089026. ქალი, 33 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ბანცხ. 049712. კაცი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ბანცხ. 029402. კაცი, 29 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ბანცხ. 099702. კაცი, 26 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ბანცხ. 137323. ქალი, 50 წლის, „ბიჯისი“ კურსები, რუსული – ძალიან კარგად, ინგლისური – საშუალო, კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 040010. კაცი, 23 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ბანცხ. 125931. ქალი, 59 წლის, AAFC-2 კურსები, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 39121. კაცი, 31 წლის, მსმენელი/AAFC-2 კურსები, ინგლისური – ძალიან კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 318811. ქალი, 34 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 049932. ქალი, 23 წლის, AAFC-2 კურსი, ინგლისური – საშუალო, რუსული – კარგად, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 126008. ქალი, 62 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, რუსული – კარგად, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 189604. ქალი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 139832. ქალი, 23 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, კომპიუტერი – საშუალო. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 129901. ქალი, 22 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, რუსული – კარგი, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 080011. ქალი, 22 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – საშუალო. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 138530. ქალი, 36 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, რუსული – კარგი, ინგლისური – საშუალო, კომპიუტერი – საშუალო. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 089112. ქალი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგი, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 089112. ქალი, 30 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, რუსული – კარგი, ინგლისური – ძალიან კარგი, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 089612. ქალი, 24 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-2 კურსები, რუსული – კარგი, ინგლისური – საშუალოდ, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 088028. ქალი, 40 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგი, კომპიუტერი – საშუალო. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 139025. ქალი, 30 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, ინგლისური – საშუალოდ, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 179322. ქალი, 27 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალოდ, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 129521. ქალი, 25 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალოდ, გერმანული – საშუალოდ, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 088908. ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – ძალიან კარგად, რუსული – ძალიან კარგად, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 128903. ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალოდ, რუსული – სუსტად, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 127510. ქალი, 44 წლის, უმაღლესი განათლებით, ბუღალტრად მუშაობის 15 წლის სტაჟით, AAFC-2/ AAFC-1 კურსები, რუსული – კარგად, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 115215. ქალი, 67 წლის, უმაღლესი განათლებით, ბუღალტრად მუშაობის 9 წლის სტაჟით, ინგლისური – საშუალოდ, რუსული – კარგად, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 139203. ქალი, 27 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-2 კურსები, ინგლისური – სუსტად, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 138206. ქალი, 37 წლის, უმაღლესი განათლებით, ბუღალტრის თანაშემწის მუშაობის 6 წლის სტაჟით, AAFC-ის სრული სერთიფიკატი, კომპიუტერი – კარგად, ინგლისური – საშუალოდ, რუსული – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 018714. ქალი, 32 წლის, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, AAFC-2 კურსები, ინგლისური – სუსტად, რუსული – საშუალოდ, ფრანგული – საშუალოდ, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 39410. კაცი, 25 წლის, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, AAFC-2/ AAFC-1 კურსები, ინგლისური – საშუალოდ, რუსული – კარგად, კომპიუტერი – კარგად. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 058919. კაცი, 30 წლის, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, AAFC-2/ AAFC-1 კურსები, ინგლისური – საშუალოდ, რუსული – ძალიან კარგად, თურქული – კარგად, კომპიუტერი – კარგად. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 128214. ქალი, 36 წლის, ბუღალტრად მუშაობის 4 წლის სტაჟით, AAFC-1/AAFC-2/AAFC-5/AAFC-6 კურსები, კომპიუტერი – კარგად. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 138620. ქალი, 32 წლის, ბუღალტრად მუშაობის 5 წლის სტაჟით, AAFC-2 კურსები, კომპიუტერი – კარგად. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 129032. ქალი, 28 წლის, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალოდ, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 189425. ქალი, 24 წლის, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალოდ, კომპიუტერი – კარგად. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

***მეტი ინფორმაციის გასაგებად დაუკავშირდით შპს „ააფ-კაპიტალს“:* 599 25-47-13; 212-05-76 / 95.**

საზღვარგარეთის ამბები

საზღვარგარეთის ამბები – ამ რუბრიკით საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარ სხვადასხვა სიახლეებს და მნიშვნელოვან ამბებს გაგაცნობთ.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ფრიდონ კერვალიშვილი.

NATO-ს ყველა ქვეყანა სამხედრო ბიუჯეტს მისი მშპ-ის 5%-მდე გაზრდის

რუსი კოლეგით იმედგაცრუებული ტრამპი ისევ სანქციებით იმუქრება

ცნობილი ფრაზაა – „გინდა მშვიდობა? ემზადე ომისთვის!“ NATO-ს ქვეყნებმა საკმაოდ ოპერატიული და მიზანმიმართული ზრუნვა დაიწყეს, მეტწილად სამხედრო შეიარაღების მიმართულებით უკრაინის მხარდაჭერისთვის. ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ალიანსის წევრი 32-ვე ქვეყნის მთავრობები 2025 წლის ბოლომდე 50 მილიარდი დოლარით მიზნობრივ დახმარებას გეგმავენ. ცოტა უფრო შორ პერსპექტივაში კი, NATO საკუთარი ხაზინის თვალშისაცემ შევსებას აპირებს – 2035 წლისთვის ალიანსის წევრთა წლიური სამხედრო ბიუჯეტი შესაბამისი ქვეყნის მშპ-ის 5%-მდე უნდა გაიზარდოს.

დონალდ ტრამპის მეორე ვადით პრეზიდენტობის პერიოდში (2028 წლის ჩათვლით) უკრაინის NATO-ში გაწევრება პრაქტიკულად გამორიცხულია. „*დაივიწყეთ*“, – ირწმუნება ალიანსის ნიდერლანდელი გენერალური მდივანი მარკ რუტე. სამაგიეროდ, მსოფლიოს უდიდესი სამხედრო გაერთიანების წევრები საკუთარი ქვეყნის ბიუჯეტებში თანხების ისეთი მასშტაბით მიზნობრივ კონსოლიდირებას აპირებენ,ამ ეტაპზე არც უკრაინელები უნდა იყვნენ ზედმეტად მომთხოვნი.

მსოფლიოს სამხედრო ხარჯების ახალი რეკორდი

2024 წლის მონაცემებით, გლობალურმა სამხედრო ხარჯებმა ახალ მაქსიმუმს 2,7 ტრილიონ დოლარს მიაღწია, წინა წლის მაჩვენებელს 9,4%-ით აღემატება. ცივი ომის დამთავრების შემდეგ ეს ყველაზე მკვეთრი ზრდაა. აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაცვაზე გაწეული ხარჯების მატება ზედიზედ 10 წელია შეინიშნება.

მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს, სტოკჰოლმის მსოფლიო პრობლემების კვლევის ინსტიტუტის (Stockholm International Peace Research Institute – SIPRI) მიერ გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, სამხედრო ბიუჯეტი 100-ზე მეტმა ქვეყანამ გაზარდა. უდიდესი მატებაა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში – რაც უკრაინასა და ღაზის სექტორში მიმდინარე ომების გამოძახილია.

ევროპაში შეიარაღებაზე გაწეული ხარჯების ზრდაში უდიდესი წვლილი გერმანიამ შეიტანა. 2024-ში მისი თავდაცვის წლიური ბიუჯეტი ზედიზედ მესამედ გაიზარდა და 88,5 მილიარდი დოლარი გახდა – 28%-ით მეტი, ვიდრე წინა წელს. ამდენად, აშშ-ს, ჩინეთისა და რუსეთის შემდეგ გერმანია ყველაზე მეტს ხარჯავს საკუთარი თუ სხვა ქვეყნების შეიარაღებაზე (2023 წელს ამ მხრივ გერმანელები მსოფლიოში მე-7 ადგილზე იყვნენ). SIPRI-ს ექსპერტი ლორენცო სკარაცატო გერმანიის ასეთ „წინსვლას“ 2022 წელს შექმნილი 100-მილიარდევროიანი სპეცფონდის შექმნით ხსნის, რომლის დეკლარირებული დანიშნულება ბუნდესვერის მოდერნიზაცია და გადაიარაღებაა.

„*გერმანიასა და სხვა ევროპულ ქვეყნებში ბოლო პერიოდში მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები იმას მიუთითებენ, რომ რეგიონი დიდი და ზრდადი სამხედრო ხარჯების ფაზაშია, რომელიც კვლავ გაგრძელდება*“, – მიიჩნევს სკარაცატო.

SIPRI-ს სტატისტიკიდან ჩანს, რომ ასევე მკვეთრად იმატა თავდაცვაში ასიგნებათა მუხლებმა პოლონეთში. წლიურმა მატებამ აქ 31%-ს მიაღწია, რაც 38 მილიარდი დოლარია. სხვათა შორის, NATO-ს წევრთა შორის პოლონეთს ქვეყნის მშპ-სთან მიმართებით, სამხედრო ბიუჯეტის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს – 4,2%. ასევე შთამბეჭდავი წინსვლა აქვს შვედეთს, რომელმაც ალიანსში შესვლის პირველსავე წელს თავდაცვის ხარჯები 34%-ით (12 მილიარდამდე) გაზარდა.

SIPRI-ს ანალიტიკოსები თვლიან, რომ უკრაინაში უკვე მე-4 წელია მიმდინარე ომი ევროპაში სამხედრო ხარჯების გაზრდის უპირველესი მასტიმულირებელი ფაქტორია. იმის გარდა, რომ საკუთარი შეიარაღებული ძალების განვითარებაზე ზრუნავენ, ალიანსის ქვეყნებმა კიევს სამხედრო დახმარების სახით თითქმის 60 მილიარდი დოლარი გაუგზავნეს. ამ თანხაში უდიდესი წილი აშშ-ს მიუძღვის, ხოლო გერმანიამ 7,7 მილიარდი დოლარი გაიღო. უკრაინამ შარშან რუსეთისგან თავდაცვის მიზნით საკუთარი მშპ-ის 34% დახარჯა (შედარებისთვის გერმანიამ მხოლოდ 1,9%). SIPRI-ს ანგარიშით, უკრაინელთა მიერ გადასახადების სახით ბიუჯეტში აკუმულირებული თითოეული გრივნა სამხედრო საჭიროებისთვის დაიხარჯა, ხოლო სამოქალაქო ხარჯებში მხოლოდ უცხოური დახმარება მიდიოდა.

რუსეთმა საანგარიშო პერიოდისთვის საკუთარი სამხედრო ხარჯები მშპ-ის 7,1%-მდე აიყვანა, რაც 149

მილიარდი დოლარია. ეს 2023 წელთან შედარებით 38%-ით, ხოლო 2015 წელთან შედარებით 2-ჯერ მეტია. მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ 2022 წლის თებერვლიდან უკრაინაში შეჭრის შემდეგ, რუსული „თავდაცვის" ხარჯები სულ უფრო გაუმჭვირვალეა.

2024 წელს ჩრდილოელი აგრესორის საბიუჯეტო ხარჯების 30% მონიშნულია როგორც გასაიდუმლოებული. ამიტომაც SIPRI-ს ექსპერტთა მოსაზრებით, მოსკოვის რეალური სამხედრო ასიგნებები, ანგარიშში ნაჩვენებ 149 მილიარდ დოლარზე ბევრად მეტია. ამას გარდა, რუსი სამხედროები ფინანსდებოდნენ რეგიონული ბიუჯეტებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული არასაბიუჯეტო შემოსავლებით.

რუსეთის სამხედრო საჭიროებისთვის განკუთვნილი ხარჯების დიდი ნაწილი შარშან მიემართებოდა შეიარაღების ახალი სისტემების შესყიდვებზე და იარაღის ზოგიერთი, ბანკროტობის ზღვარზე მყოფი მწარმოებლის სუბსიდირებაზე. ხარჯების კიდევ ერთი მსხვილი მუხლია სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური მხარდაჭერა: 2024 წლის ოქტომბრისთვის ასეთმა გასავლებმა 9,4 მილიარდი დოლარს მიაღწია, რაც თავდაპირველად ბიუჯეტში წლის ბოლოსთვის დაგეგმილ მაჩვენებელზე (5,7 მილიარდი დოლარი) ბევრად მეტია.

აშშ კვლავ მსოფლიოში ყველაზე დიდი სამხედრო ბიუჯეტის მქონე ქვეყანაა. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეირაღებაზე გაწეულმა წლიურმა ხარჯებმა 997 მილიარდი დოლარი შეადგინა. SIPRI-ს მოხსენებაში წერია: *„ამერიკის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულ იქნა სამხედრო პოტენციალისა და ქვეყნის ბირთვული არსენალის გაძლიერებაზე, რათა შენარჩუნებულიყო სტრატეგიული უპირატესობა რუსეთსა და ჩინეთზე".*

2035 წლისკენ აღებული მოდერნიზაციის კურსი კვლავ შენარჩუნებული აქვს ჩინეთს. შეიარაღებული ძალების ყველა სფეროში შარშან ამ ქვეყანამ 314 მილიარდი დოლარი დახარჯა. ჩინეთის არმიის ბრძოლისუნარიანობის გაუმჯობესება მოიცავს *„ახალი სტელსის ტიპის საბრძოლო თვითმფრინავების, უპილოტო საფრენი აპარატებისა და უპილოტო წყალქვეშა აპარატების"* გამოყენებას. ამას გარდა, 2024 წელს ჩინეთი სწრაფად აფართოებდა საკუთარ ბირთვულ არსენალს.

აქტიური გადაიარაღების პროცესში არიან აზიის სხვა ქვეყნებიც. მაგალითად, იაპონია, რომლის სამხედრო ხარჯები 21%-ით გაიზარდა და 55,3 მილიარდი დოლარი გახდა. *„აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის მსხვილი თავდაცვითი კომპანიები სულ უფრო მეტ ინვესტიციებს აბანდებენ მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიებში"*, – აღნიშნავს SIPRI-ს სამხედრო ხარჯებისა და შეიარაღების წარმოების პროგრამების დირექტორი ნან ციანი.

მისივე სიტყვებით, ზრდადი დაძაბულობის გათვალისწინების ფონზე, არსებობს რისკი, რომ *„ეს ინვესტიციები რეგიონს შეიარაღების რბოლის სახიფათო სპირალში ჩაითრევს"*. კერძოდ, ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის მასშტაბური გადაიარაღება, აზიის სხვა ქვეყნების მიერ პოტენციურ ხიფათად მიიჩნევა.

ახლო აღმოსავლეთში გამოირჩევა ისრაელი, რომელმაც 2024 წელს სამხედრო ხარჯების 65%-იანი გაზრდის შედეგად შესაბამის საბიუჯეტო სფეროში 46,5 მილიარდი დოლარი დააბანდა. ამის მიზეზის დასადგენად SIPRI-ს ექსპერტობა არაა საჭირო. ებრაული სახელმწიფოსა და ლიბანის რადიკალური შიიტური მოძრაობის „ჰესბოლას" შეიარაღებულ კონფლიქტს დაემატა ღაზის სექტორში მიმდინარე ომი. ამის ფონზე ლიბანმაც საგრძნობლად გაზარდა სამხედრო ბიუჯეტი. ეს კი, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის გამო, უიშვიათესი მოვლენაა.

ვინ როგორ ავსებს NATO-ს ბიუჯეტს?

ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაცია (North Atlantic Treaty Organization – NATO) ჩრდილოეთ ამერიკისა (აშშ, კანადა) და ევროპის (ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია, ისლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საფრანგეთი (დამფუძნებლები – 04.04.1949), საბერძნეთი, თურქეთი (პირველი გაფართოება – 18.02.1952), გერმანია (მეორე გაფართოება – 09.05.1955), ესპანეთი (მესამე გაფართოება – 30.05.1982), უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი (მეოთხე გაფართოება – 12.03.1999), ბულგარეთი, ლატვია, ლიეტუვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესტონეთი (მეხუთე გაფართოება – 29.03.2004), ალბანეთი, ხორვატია (მეექვსე გაფართოება – 01.04.2009), მონტენეგრო (მეშვიდე გაფართოება – 05.06.2017), ჩრდილოეთი მაკედონია (მერვე გაფართოება – 27.03.2020), ფინეთი (მეცხრე გაფართოება – 04.04.2023), შვედეთი (მეათე გაფართოება – 07.03.2024)) 32 სახელმწიფოსგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია.

ალიანსის ბიუჯეტში თითოეული წევრი ქვეყანა მეტწილად საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით იხდის. ბიუჯეტის შევსების 2 ძირითადი ასპექტი არსებობს:

– საერთო – ესაა NATO-ს ადმინისტრაციული და სამხედრო ოპერაციების მხარდამჭერი ბიუჯეტი, რომელიც წილობრივად ნაწილდება წევრი ქვეყნების მიერ. წილი განისაზღვრება თითოეული ქვეყნის მშპ-ის მიხედვით;

– თავდაცვის – ესაა ის თანხა, რომელსაც წევრი ქვეყნები საკუთარი თავდაცვისთვის გამოყოფენ. იგი NATO-ს მოთხოვნის მიხედვით, უნდა შეადგენდეს ქვეყნის მშპ-ის მინიმუმ 2%-ს. ეს თანხა პირდაპირ არ შედის ალიანსის ბიუჯეტში, მაგრამ აშშ და სხვა გავლენიანი სამხედრო ძალის მქონე ქვეყნები ხშირად ითხოვენ ამ კრიტერიუმის შესრულებას.

ამ ორგანიზაციის მასშტაბურობასა და გავლენაზე მეტყველებს ერთი თითქოს უმნიშვნელო სტატისტიკური გარემოება. NATO-ს ჯამური სამხედრო ხარჯები აღემატება ალიანსგარეთ მყოფი მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების ანალოგიურ ხარჯებს. 2024 წლის მონაცემთა

შეჯამებით, თავდაცვის ბიუჯეტი 1 ტრილიონ 506 მილიარდ დოლარს შეადგენს. ეს არის პლანეტის ყველა ქვეყნის ბიუჯეტის ანალოგიური მუხლის 55%.

სამხედრო ალიანსის ბიუჯეტი მსოფლიოს უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. თუმცა, მისი სამართლიანი დაფინანსება დიდი ხანია კამათის საგანს წარმოადგენს. ევროპული ქვეყნები ხშირად ვერ აკმაყოფილებენ ნატოს მოთხოვნას მშპ-ის 2%-ის სამხედრო ხარჯებისთვის გამოყოფაზე. თავად განსაჯეთ, 2025 წლის დასაწყისში 32 წევრიდან ამ მინიმალურ ნიშნულს მხოლოდ 23 აკმაყოფილებდა. „წარუმატებელთა“ შორის არიან: კანადა (1,3%), ბელგია (1,3%), უნგრეთი (1,4%), ესპანეთი (1,4%), იტალია (1,6%), სლოვაკეთი (1,7%), გერმანია (1,9%), ნიდერლანდები (1,9%), თურქეთი (1,9%).

რატომ გახდა აქტუალური NATO-ს ბიუჯეტში წევრი ქვეყნების შენატანების მშპ-ის 2%-იანი ნიშნულის 5%-მდე გაზრდა? ყველაფერი დაიწყო აშშ-ის პრეზიდენტის მხრიდან ჩვეული „დაშანტაჟებით“. დონალდ ტრამპმა არაერთი საჯარო გამოსვლისას განაცხადა,რომ შტატები აღარ აპირებს მდიდართა ხელებშემყურე ალიანსის წევრი ქვეყნების მომავალშიც დონორობას. ტრამპის საყვედურებისთვის რაღაც ფორმით ყურის გდებას ჰგავდა, 25 ივნისს ჰაგის სამიტზე 5%-იანი ნიშნულის სავალდებულოდ შემოღება. თუმცა, ყველაფერი დროში იქნება „გაწელილი“.

ახალი გეგმა-შეთანხმებით NATO-ს წევრი ქვეყნები ვალდებული არიან ახალ 5%-იან სამიზნეს 2035 წლისთვის მიაღწიონ. 5%-დან არანაკლები მშპ-ის 3,5% პირდაპირ სამხედრო ხარჯებს მოხმარდება, ხოლო 1,5% – კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის, სამოქალაქო მზადყოფნის და მდგრადობის უზრუნველყოფა-მოწესრიგებას.

მიმდინარე მდგომარეობის ფონზე, 2029 წელს გეგმური მაჩვენებელი გადახედვას დაექვემდებარება. ეს იმას ნიშნავს, რომ მომდევნო წლების რეალური სურათის გათვალისწინებით, ცვლილებები დიდი ალბათობით შესაძლოა მოხდეს. მეტიც, შეთანხმება ახლახან შედგა და დონალდ ტრამპმა ჟურნალისტებთან გულახდილი საუბრისას საკუთარი პირობა უკვე წამოაყენა: *„დარწმუნებული ვარ, რომ შეერთებულ შტატებზე არ უნდა გავრცელდეს მშპ-ის 5%-იანი შენატანის ვალდებულება“.*

რამ გამოიწვია NATO-ს ბიუჯეტის ევროპელთა ხარჯზე შევსების ზრდის აუცილებლობა?

შეუძლებელია ზუსტად იმის დათვლა, რამდენით შეივსება ალიანსის ბიუჯეტის სამხედრო ნაწილი. ყველაფერი ხომ წევრების ეკონომიკის მასშტაბებზე იქნება დამოკიდებული – თუ ქვეყნებს გარემო პირობებმა ხელი არ შეუწყოთ,მშპ-ც ვერ მოიმატებს და შესაბამისად ვერც NATO-ს ხაზინაში შეტანილი მილიარდები.

ცნობილია, რომ NATO-ს ქვეყნებმა 2024 წელს ძირითად თავდაცვაზე 1,5 ტრილიონ დოლარზე მეტი დახარჯეს. ეს 10 წლის წინანდელ ტრილიონ დოლართან შედარებით, საკმაოდ მომატებული თანხაა. თუ ალიანსის წევრი ქვეყნები გასულ წელს ძირითად თავდაცვაზე მშპ-ის 2%-ს კი არა 3,5%-ს დახარჯავდნენ, როგორც ახალ გეგმაშია გათვალისწინებული, ეს დაახლოებით 1,8 ტრილიონ დოლარს გაუტოლდება. შედეგად, გაზრდილი სამიზნე ნიშნულის მიღწევა, მიმდინარე ხარჯებთან შედარებით, შეიძლება წევრი ქვეყნების მიერ წლიურად ასობით მილიარდი დოლარით მეტის დახარჯვას და თავდაცვითი სამხედრო პოტენციალის გაძლიერებას ნიშნავდეს.

„ამერიკა ვერ იქნება ყველგან და არც უნდა იყოს“, – განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მდივანმა, პიტ ჰეგსეთმა ივლისის დასაწყისში. ეს კიდევ ერთი მანიშნებელი იყო ევროპული ქვეყნებისთვის, რომ მოსალოდნელი საფრთხისგან თავის დასაცავად თავდაცვის ბიუჯეტი მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაზარდონ.

გაგახსენებთ, NATO-ს წევრობისთვის გაზრდილი საპროცენტო შენატანის დაწესება აშშ-ის პრეზიდენტის კატეგორიული მოთხოვნის შედეგია. მისი დღის წესრიგში დაყენება კი, უკრაინისთვის აგრესორ რუსეთთან ომში სამხედრო დახმარების დროული და ეფექტური აღმოჩენის აუცილებლობამ გამოიწვია. ევროკავშირისა და აშშ-ის წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრებზე, მხარეები სწორედ ამ კომპრომისზე შეთანხმდნენ – უკრაინისთვის რომ რუსეთის დამარცხება რეალური გახდეს, მან ბევრი საჭირო იარაღი უნდა მიიღოს.

დონალდ ტრამპს თვით შტატებშიც კი პრეზიდენტი პუტინისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას „წამოაძახებენ“ ხოლმე. ის სხვებთან შედარებით „ძალიან გვიან“ ხვდება, რომ რუსთან მოლაპარაკებების მაგიდასთან კი არა, სანქციების და იარაღის ენაზე უნდა ისაუბრო. 14 ივლისს, თეთრ სახლში NATO-ს გენერალურ მდივან მარკ რუტესთან შეხვედრის შემდეგ, საჯაროდ მეასედ მაინც გაიმეორა, რომ რუსი კოლეგით იმედგაცრუებულია. თუმცა, ამჯერად მან კონკრეტიკასთან ახლოს მყოფი მუქარაც დაამატა: *„ჩვენ ძალიან მკაცრ ტარიფებს დავაწესებთ. თუ პუტინთან 50 დღეში შეთანხმებას ვერ მივაღწევთ, დაახლოებით 100%-იან ტარიფებს, მეორად ტარიფებს, დავაწესებთ“.*

პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ პუტინთან ომის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმებას ვერც სატელეფონო საუბრით მიაღწევს ვინმე და ვერც მოლაპარაკებათა მაგიდასთან. რუსთა პრეზიდენტი რომ მისი ქვეყნიდან სადმე გაქცევას აპირებდეს,ვიფიქრებდით – მას ამერიკელი კოლეგა მოსამზადებელ დროს აძლევს-თქო. მაშ, რას ემსახურება კიდევ ერთი 50 დღის „მოსაფიქრებლად“ მიცემა? საომარ სტატისტიკას ხომ, ათასეულობით ახალი მსხვერპლი დაემატება! საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, ტრამპი ასმეერთედ იმედგაცრუებული დარჩება.

თუმცა, ტრამპის განცდებზე მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში უკრაინისთვის საჭირო შეიარაღების მიწოდებაა და როგორც ვხედავთ, ამერიკის პრეზიდენტი ამ საქმეს სერიოზულად მოეკიდა.

ფრიდონ კერვალიშვილი

დონალდ ტრამპის განცხადებით, აგვისტოდან ევროკავშირსა და მექსიკას 30%-იან ტარიფს დაუწესებს

აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა ევროკომისიისა და მექსიკის პრეზიდენტებს წერილები გაუგზავნა, სადაც წერია, რომ აშშ 1-ლი აგვისტოდან ევროკავშირიდან და მექსიკიდან იმპორტირებულ საქონელზე 30%-იან ტარიფებს დააწესებს.

ტრამპმა შესაბამისი წერილები სოციალურ ქსელში განათავსა. ის კიდევ უფრო მაღალი ტარიფებით დაიმუქრა, თუ ევროკავშირი ან მექსიკა მის ნაბიჯს კონტრზომებით უპასუხებენ.

ევროკავშირი იმედოვნებდა, რომ ტარიფის თავიდან ასაცილებლად წინასწარ შეთანხმებას მიაღწევდა, თუმცა ტრამპის წერილმა გააქარწყლა ოპტიმიზმი უახლოეს მომავალში შეთანხმების მიღწევის შესახებ.

„ევროკავშირი შეერთებულ შტატებს სრულ, ღია ბაზარზე წვდომას მისცემს, ან რა რაოდენობითაც თქვენ გაზრდით ტარიფებს, ჩვენ მიერ დაწესებულ 30%-ს დაემატება“, ნათქვამია ევროკომისიის პრეზიდენტისთვის, ურსულა ფონ დერ ლაიენისთვის გაგზავნილ წერილში.

მექსიკის ლიდერისადმი გაგზავნილ წერილში ტრამპმა აღიარა, რომ ქვეყანამ დიდი დახმარება გასწია შეერთებულ შტატებში არალეგალური მიგრანტებისა და ფენტანილის ნაკადის შესაჩერებლად, თუმცა საკმარისი არ გააკეთა, რომ ჩრდილოეთ ამერიკის „ნარკოტრეფიკინგის სათამაშო მოედნად“ გადაქცევა შეეჩერებინა.

„მექსიკამ ჯერ კიდევ ვერ შეაჩერა კარტელები, რომლებიც ცდილობენ მთელი ჩრდილოეთ ამერიკა ნარკოტრეფიკინგის სათამაშო მოედანად აქციონ. ცხადია, ამის დაშვება არ შემიძლია!“, – ნათქვამია ტრამპის წერილში მექსიკის პრეზიდენტ კლაუდია შეინბაუმისადმი.

ტრამპი კანადას ტარიფებს 35%-მდე უზრდის

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კანადურ პროდუქციაზე დაწესებული 25%-იანი ტარიფების 35%-მდე გაზრდა დააანონსა. ცვლილება ძალაში 1-ლი აგვისტოდან შევა.

მედიასთან საუბრისას ტრამპმა მიღებული გადაწყვეტილება განმარტა. როგორც მან განაცხადა, კანადური მხარე ფენტანილის კონტრაბანდის აღსაკვეთად არასაკმარის ნაბიჯებს დგას. პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ტარიფების გაზრდა კარნის ხელისუფლების მიერ ამერიკულ რძის ნაწარმზე ტარიფების დაწესებამ განაპირობა.

ტრამპის გადაწყვეტილებას ოფიციალურმა ოტავამ უკვე უპასუხა. კანადის ხელისუფლებამ დადო პირობა, რომ ფენტანილის კონტრაბანდის აღსაკვეთად მეტ ძალისხმევას ჩადებს. რაც შეეხება რძეზე დაწესებულ ტარიფებს, ამ მხრივ კანადა პოზიციას არ შეიცვლის და საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებს ბოლომდე დაიცავს.

უკრაინის აღდგენას $1 ტრილიონი დასჭირდება

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა, დენის შმიჰალმა რომში გამართულ უკრაინის აღდგენის კონფერენციაზე ქვეყნის მასშტაბური აღდგენის გეგმა წარადგინა, რომლის ღირებულება $1 ტრილიონს აღწევს და პროექტი ორი ძირითადი ფონდით ხორციელდება. პრემიერის თქმით, აღდგენა მოიცავს 14-წლიან პერიოდს და დაფინანსდება როგორც რუსული აქტივების კონფისკაციით, ისე კერძო ინვესტიციების გზით განხორციელდება.

გეგმა იყოფა ორ კომპონენტად: პირველი უკრაინის ფონდია, რომლის მოცულობა დაახლოებით $540 მილიარდია და ის უნდა დაფინანსდეს რუსული აქტივების კონფისკაციითა და რუსულ ენერგოპროდუქტებზე დაწესებული სპეციალური გადასახადებით.

მეორე კომპონენტი ევროპული სტრუქტურული ფონდია 460 მილიარდი დოლარის მოცულობით, რომელიც კერძო ინვესტიციების მოზიდვას ისახავს მიზნად.

შმიჰალის განცხადებით, რუსეთის აქტივების სრული კონფისკაცია „გამართლებული და სამართლიანი გადაწყვეტილებაა“, რომელიც უკრაინის აღდგენისთვის აუცილებელია. მისი თქმით, უკრაინის თავდაცვის ხარჯი ყოველწლიურად €50 მილიარდს აღწევს და მას მიაჩნია, რომ ამ ოდენობის ნახევარი ევროკავშირმა უნდა დაფაროს. პრემიერის თქმით, ეს იქნება უკრაინისა და ევროპული უსაფრთხოების ერთობლივი ინტერესების დაცვისა და მხარდაჭერის ნიშანი.

აზერბაიჯანმა არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმება გააფორმა

არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და აზერბაიჯანს შორის ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმება გაფორმდა. წარმომადგენლებმა დოკუმენტს ხელი 10 ივლისს მოაწერეს. ორი ქვეყანა ერთმანეთთან ენერგეტიკის, ლოგისტიკისა და ტურიზმის მიმართულებით ეკონომიკურ ურთიერთობებს გააღრმავებს. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ამ აზიურ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობა 43%-ით გაიზარდა და 2024 წელს $2.4 მილიარდი დოლარი შეადგინა. აქვე უნდა ითქვას, რომ შეთანხმება ნავთობით ვაჭრობას არ შეხებია.

შეთანხმების ხელმომწერი ქვეყნები მოელიან, რომ ახალი სავაჭრო გარიგება მათ მთლიან შიდა პროდუქტს

მნიშვნელოვნად გაზრდის. არაბთა გაერთიანებული საამიროების შემთხვევაში, მშპ 2031 წლამდე $680 მილიონით, ხოლო აზერბაიჯანის შემთხვევაში, $300 მილიონით უნდა გაიზარდოს.

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული საამიროები არაბულ ქვეყნებს შორის აზერბაიჯანის ყველაზე მსხვილი ინვესტორია. ახალი შეთანხმება კი ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ თანამშრომლობას კიდევ უფრო გააღრმავებს.

აზერბაიჯანის ეკონომიკა 1.5%-ით გაიზარდა

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, რაც იანვარ-ივნისის პერიოდს მოიცავს, აზერბაიჯანის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა წლიურად 1.5%-ით გაიზარდა, რაც ანალიტიკოსების მიერ პროგნოზირებულ მაჩვენებელს ჩამორჩება. ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება საერთაშორისო ბირჟაზე ნავთობის და გაზის გაიაფებით არის განპირობებული, რაც აზერბაიჯანისთვის მთავარ საექსპორტო საქონელს წარმოადგენს.

IMF-ის პროგნოზით, წლის ბოლოს აზერბაიჯანის ეკონომიკის მოცულობა 78.9 მილიარდ დოლარს მიაღწევს და ის ამ მაჩვენებლით გლობალურ რეიტინგში 84-ე ადგილს დაიკავებს.

27-წლიანი აკრძალვის შემდეგ აზერბაიჯანში კაზინოები დასაშვები გახდა

აზერბაიჯანში კაზინოს საქმიანობა ლეგალური გახდა. შესაბამის კანონში ინიციირებული ცვლილებები მილი მეჯლისმა მესამე, დასკვნითი მოსმენით მიიღო. დოკუმენტის მიხედვით, კაზინოების მოწყობა მხოლოდ კასპიის ზღვაში, ხელოვნურ კუნძულებზე იქნება შესაძლებელი. ინფორმაციას აზერბაიჯანული მედია ავრცელებს.

კანონმდებლების შეფასებით, ეს ნაბიჯი საგადასახადო შემოსავლების ზრდას, ტურიზმის განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს. დეპუტატები აღნიშნავენ, რომ აქამდე აზერბაიჯანის მოსახლეობა კაზინოში სათამაშოდ ან ქვეყანას ტოვებდა ან ონლაინ-პლატფორმებზე თამაშობდა. ახალი კანონი კი ჩრდილოვანი გემბლინგის მასშტაბებს შეამცირებს.

ესტონეთმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების პაკეტს შესაძლოა ვეტო დაადოს

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, მარკუს ცაჰკნა ევროკავშირს რუსული ნავთობის ფასზე დაწესებული ზედა ზღვრის $60-დან $45 დოლარამდე შემცირებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, თუ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, ის რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მე-18 პაკეტს ვეტოს დაადებს. ცაჰკნა აცხადებს, რომ სანქციებს რეალური შედეგი არ ექნება, თუ ევროკავშირი კრემლზე ზეწოლას არ გააძლიერებს.

ესტონეთის ინიციატივას უკვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. სლოვაკეთისა და უნგრეთის პირველი დიპლომატების შეფასებით, მსგავსი რიტორიკა ვითარებას კიდევ უფრო გაამწვავებს.

აღსანიშნავია, რომ ნავთობის ფასზე ზედა ზღვრის დაწესებას მხოლოდ ესტონეთი არ უჭერს მხარს. როგორც ცნობილია, G7-ის ქვეყნებიც უფრო მკაცრი მიდგომის მომხრე არიან.

რუსეთის ბიუჯეტის დეფიციტი რეკორდულად გაიზარდა

მსოფლიოს მასშტაბით რუსული ნავთობის გაიაფებისა და საერთაშორისო სანქციების გამკაცრების ფონზე, რუსეთის ფედერაციის საბიუჯეტო შემოსავლები მკვეთრად მცირდება.

ქვეყნის ხაზინის შეფასებით, წელს ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა 47 მილიარდ დოლარს მიაღწევს, რაც თანამედროვე რუსეთის ფედერაციის ისტორიაში დაფიქსირებული ანტირეკორდი იქნება და ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 1.7%-ს შეადგენს.

საერთო ჯამში, ქვეყნის მთავრობა დაახლოებით $483 მილიარდის შემოსავლის მიღებას და $530 მილიარდის ხარჯების დაგროვებას პროგნოზირებს, ხოლო შემოსავალსა და გასავალს შორის სხვაობა დეფიციტში გადავა, რომელიც სამთავრობო ვალით ან გადასახადების გაზრდით იქნება შევსებული.

დეფიციტის გაღრმავება ნავთობისა და გაზის სარეალიზაციო შემოსავლების შემცირებითაა განპირობებული. ერთწლიან ჭრილში ენერგორესურსებიდან მიღებული შემოსავლები თითქმის განახევრებულია. ამასთან, მთავრობა პროგნოზირებს, რომ წელს ბარელი რუსული ნავთობის საშუალო ფასი $56-ის ფარგლებში იქნება, ნაცვლად წინასწარ ნავარაუდევი 70 დოლარისა. ცხადია, ნავთობის გაიაფება ავტომატურად იწვევს კრემლის ბიუჯეტის შემცირებას, რადგან ქვეყანა ეკონომიკურად პირდაპირაა დამოკიდებული ენერგეტიკული რესურსების რეალიზაციაზე.

ქვეყნის ეროვნული რეზერვის მოცულობას რაც შეეხება, რუსეთის ცენტრალური ბანკის მფლობელობაში არსებული აქტივების საერთო მოცულობა 687.7 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც, ოფიციალური უწყების ინფორმაციით, მცირედით გაზრდილი მაჩვენებელია, რასაც, თავის მხრივ, რუსული რუბლის გამყარება და ამერიკული დოლარის გაუფასურება განაპირობებს.

როგორც მარეგულირებელი განმარტავს, ზრდის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი საერთაშორისო ბირჟაზე ოქროს გაძვირებაა, რომელსაც რუსულ რეზერვში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, კერძოდ, საუბარია $230 მილიარდის ოქროზე და მის ციფრულ სერტიფიკატებზე.

სავალუტო რეზერვის მოცულობას რაც შეეხება, ის დაახლოებით 418 მილიარდ დოლარს შეადგენს, აქედან $390 მილიარდი კი უცხოურ ვალუტაზე მოდის.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული პორტფელის თითქმის ნახევარი დასავლურ იურისდიქციაშია გაყინული და ცენტრალურ ბანკს მასთან წვდომა არ აქვს, თუმცა ის ფინანსურ ანგარიშგებაში მაინც აღირიცხება და რუსეთის მთავრობის ბალანსზე რჩება.

თუკი რუსეთის მთავრობას ბიუჯეტის შევსება საგარეო ვალით ან გადასახადების გაზრდით გაუჭირდება, მაშინ მას ეროვნული რეზერვების გამოყენება მოუწევს, რაც ქვეყნის ფინანსური მდგრადობისათვის პოზიტიურ მოცემულობას არ წარმოადგენს.

ჯეფ ბეზოსმა Amazon-ის 3 მლნ აქცია გაყიდა

ჯეფ ბეზოსმა, ივლისის ორ დღეში, Amazon-ის თითქმის 3 მლნ აქცია გაყიდა. ინფორმაციას CNBC-ი ავრცელებს.

როგორც ცნობილია, მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს გადაწყვეტილი აქვს, რომ 2026 წლისთვის 25 მლნ-მდე აქცია გაყიდოს. აღნიშნული 3 მლნ აქციის გაყიდვაც სწორედ ამ გეგმის ნაწილია.

აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიაში (SEC) წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ბეზოსმა, 3 მლნ აქციის სანაცვლოდ, 665.8 მლნ აშშ დოლარი მიიღო. ივნისის ბოლოს კი ამავე ფორმით გამომუშავებულმა თანხამ 736.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ჯეფ ბეზოსი ამჟამად Amazon-ის 900 მლნ აქციას ფლობს, რაც დაახლოებით 200 მლრდ აშშ დოლარად ფასდება.

ბეზოსმა თავისივე დაფუძნებული კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა 2021 წელს დატოვა და მას შემდეგ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტს იკავებს.

ბიტკოინის ფასმა 123 ათას დოლარს გადააჭარბა

ბიტკოინის ფასმა ახალი რეკორდი დაამყარა. Coindesk-ის ინფორმაციით, 14 ივლისს კრიპტო ვალუტის ფასმა 123 ათას დოლარს გადააჭარბა, თუმცა შემდეგ 121,793 დოლარამდე შემცირდა.

ჯერ კიდევ მაისის ბოლოს, ბიტკოინის ფასი 109 ათასი დოლარი იყო. მაშინ უცხოური მედია წერდა, რომ ფასის მატება აშშ-ის სატარიფო არეულობამ გამოიწვია.

ცნობისთვის, ბიტკოინის ფასმა წლის დასაწყისიდან დღემდე დაახლოებით 15%-ით მოიმატა. ბოლოს მისი ფასი 9 მაისს, ერთ დღეში 3%-ზე მეტად ერთბაშად გაიზარდა. მაშინ ამის მთავარი მიზეზი აშშ-ის პრეზიდენტის მიერ დიდ ბრიტანეთთან ახალი მასშტაბური სავაჭრო შეთანხმების გამოცხადება გახდა.

რაც შეეხება სხვა კრიპტო ვალუტებს, ამ მომენტისთვის ეთერიუმის ფასი 3 ათას დოლარს ასცდა, BNB 687 დოლარს, Solana 163 დოლარს და ა.შ.

Bloomberg-ის მილიარდერთა ინდექსის ტოპ-ათეულში ბილ გეიტსი აღარ არის

Bloomberg-ის მილიარდერთა ინდექსის ზედა ათეულში სერიოზული ცვლილებებია, რაც, პირველ რიგში, ბილ გეიტსის ათეულს მიღმა დარჩენას ეხება, რაც აქამდე არასდროს მომხდარა.

Bloomberg-ის მილიარდერთა ინდექსი 2012 წლის მარტში შეიქმნა, რის შემდეგაც პირველადაა, როცა Microsoft-ის დამფუძნებელი საუკეთესო ათეულში არ ფიგურირებს.

გეიტსის ქონების დაახლოებით 30%-იანი ვარდნა განაპირობა აქციების მასობრივად გაყიდვამ და თანხის საქველმოქმედო მიზნებისთვის მობილიზებამ. საერთოდაც, გეიტსმა გამოაცხადა, რომ უახლოესი 20 წლის განმავლობაში თავისი ქონების 99%-ს სწორედ ამ მიზნებისკენ მომართავს.

Bloomberg-ის ამჟამინდელი მონაცემებით, გეიტსის კაპიტალი 124 მლრდ აშშ დოლარად ფასდება, რაც ინდექსის მე-10 ადგილოსან იენსენ უანის კაპიტალზე 19 მლრდ აშშ დოლარით ნაკლებია.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი რეგრესი აქვს უორენ ბაფეტს, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში ტოპ-5-ში სტაბილურად ტრიალებდა, ახლა კი, 144 მლრდ აშშ დოლარის კაპიტალით, ინდექსის მე-9 ადგილზეა.

2025 წლის 11 ივლისის მონაცემებით, Bloomberg-ის მილიარდერთა ინდექსის ტოპ-10 ასე გამოიყურება:

- ილონ მასკი 357 მლრდ აშშ დოლარი;
- მარკ ცუკერბერგი 256 მლრდ აშშ დოლარი;
- ლარი ელისონი 251 მლრდ აშშ დოლარი;
- ჯეფ ბეზოსი 243 მლრდ აშშ დოლარი;
- სტივ ბალმერი 173 მლრდ აშშ დოლარი;
- ბერნარ არნო 165 მლრდ აშშ დოლარი;
- ლარი პეიჯი 161 მლრდ აშშ დოლარი;
- სერგეი ბრინი 151 მლრდ აშშ დოლარი;
- უორენ ბაფეტი 144 მლრდ აშშ დოლარი;
- იენსენ უანი 143 მლრდ აშშ დოლარი.

უცხოური ვალუტის კურსები

ივნისის თვის ევროს საშუალო კურსი: **1 EURO=3,1393** ლარი

ვალუტა	ივნისი, 2025 წელი														
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1 ბულგარული ლევი	1,5834	1,5834	1,5958	1,5934	1,5893	1,5951	1,5952	1,5952	1,5952	1,5948	1,5944	1,5968	1,6167	1,6061	1,6061
10 დანიური კრონი	4,1518	4,1518	4,1820	4,1775	4,1683	4,1831	4,1829	4,1829	4,1829	4,1803	4,1809	4,1878	4,2399	4,2100	4,2100
1 ევრო	3,0969	3,0969	3,1200	3,1162	3,1087	3,1203	3,1202	3,1202	3,1202	3,1186	3,1189	3,1238	3,1625	3,1401	3,1401
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,6846	3,6846	3,6991	3,6924	3,6948	3,7076	3,7015	3,7015	3,7015	3,7042	3,6858	3,6852	3,7058	3,6937	3,6937
100 ისლანდიური კრონი	2,1475	2,1475	2,1608	2,1552	2,1498	2,1607	2,1637	2,1637	2,1637	2,1612	2,1689	2,1753	2,2024	2,1779	2,1779
100 სერბიული დინარი	2,6417	2,6417	2,6615	2,6582	2,6519	2,6626	2,6631	2,6631	2,6631	2,6611	2,6607	2,6646	2,6974	2,6803	2,6803
10 ნორვეგიული კრონი	2,6882	2,6882	2,7062	2,6990	2,6985	2,7104	2,7095	2,7095	2,7095	2,7131	2,7113	2,7003	2,7345	2,7399	2,7399
10 პოლონური ზლოტი	7,2827	7,2827	7,3309	7,2858	7,2473	7,2850	7,2805	7,2805	7,2805	7,3014	7,3175	7,3322	7,4105	7,3400	7,3400
10 რუმინული ლეი	6,1183	6,1183	6,1707	6,1602	6,1501	6,1751	6,1864	6,1864	6,1864	6,1822	6,1944	6,2138	6,2879	6,2401	6,2401
100 უნგრული ფორინტი	0,7673	0,7673	0,7750	0,7725	0,7699	0,7732	0,7741	0,7741	0,7741	0,7763	0,7767	0,7802	0,7890	0,7787	0,7787
10 შვედური კრონი	2,8507	2,8507	2,8706	2,8502	2,8430	2,8518	2,8461	2,8461	2,8461	2,8432	2,8495	2,8431	2,8863	2,8605	2,8605
1 შვეიცარიული ფრანკი	3,3160	3,3160	3,3404	3,3343	3,3159	3,3343	3,3258	3,3258	3,3258	3,3282	3,3251	3,3219	3,3585	3,3533	3,3533
10 ჩეხური კრონა	1,2433	1,2433	1,2526	1,2521	1,2519	1,2576	1,2598	1,2598	1,2598	1,2589	1,2582	1,2612	1,2778	1,2652	1,2652
1 აშშ დოლარი	2,7334	2,7334	2,7328	2,7321	2,7320	2,7318	2,7315	2,7315	2,7315	2,7311	2,7306	2,7306	2,7301	2,7296	2,7296
1 კანადური დოლარი	1,9789	1,9789	1,9961	1,9902	1,9921	2,0000	1,9976	1,9976	1,9976	1,9970	1,9928	1,9953	2,0023	2,0016	2,0016
1 ავსტრალიური დოლარი	1,7559	1,7559	1,7719	1,7652	1,7690	1,7789	1,7738	1,7738	1,7738	1,7818	1,7795	1,7782	1,7784	1,7650	1,7650
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5497	0,5497	0,5499	0,5498	0,5503	0,5502	0,5505	0,5505	0,5505	0,5502	0,5514	0,5516	0,5487	0,5487	0,5487
1 თურქული ლირა	0,0697	0,0697	0,0697	0,0698	0,0698	0,0694	0,0696	0,0696	0,0696	0,0696	0,0696	0,0697	0,0694	0,0692	0,0692
100 იაპონური იენი	1,8995	1,8995	1,9129	1,9115	1,8945	1,9087	1,8961	1,8961	1,8961	1,8951	1,8880	1,8815	1,9018	1,8920	1,8920
10 არაბეთის გაერთიანებული საამიროების დირჰამი	7,4419	7,4419	7,4404	7,4385	7,4383	7,4377	7,4369	7,4369	7,4369	7,4358	7,4345	7,4347	7,4337	7,4329	7,4329
10000 ირანული რიალი	0,6508	0,6508	0,6507	0,6505	0,6505	0,6504	0,6504	0,6504	0,6504	0,6503	0,6501	0,6501	0,6500	0,6499	0,6499
10 ისრაელის შეკელი	7,7835	7,7835	7,7320	7,7425	7,7957	7,8313	7,8163	7,8163	7,8163	7,8358	7,8127	7,8097	7,6759	7,5667	7,5667
1 სინგაპურული დოლარი	2,1176	2,1176	2,1242	2,1220	2,1178	2,1267	2,1244	2,1244	2,1244	2,1250	2,1233	2,1232	2,1342	2,1255	2,1255
1 ქუვეითური დინარი	8,9094	8,9094	8,9132	8,9110	8,9135	8,9187	8,9148	8,9148	8,9148	8,9135	8,9177	8,9148	8,9248	8,9173	8,9173
10 ჩინური იუანი	3,7995	3,7995	3,7961	3,8008	3,8003	3,8055	3,8033	3,8033	3,8033	3,8034	3,8005	3,7996	3,8037	3,7998	3,7998
10 ჰონკონგური დოლარი	3,4855	3,4855	3,4840	3,4825	3,4816	3,4813	3,4812	3,4812	3,4812	3,4800	3,4790	3,4788	3,4782	3,4774	3,4774
100 ინდური რუპია	3,1939	3,1939	3,2005	3,1920	3,1803	3,1841	3,1896	3,1896	3,1896	3,1893	3,1893	3,1932	3,1895	3,1707	3,1707
1 ახალზელანდიური დოლარი	1,6288	1,6288	1,6454	1,6393	1,6422	1,6533	1,6482	1,6482	1,6482	1,6537	1,6517	1,6474	1,6506	1,6372	1,6372
100 რუსული რუბლი	3,4746	3,4746	3,4498	3,4675	3,4775	3,4452	3,4423	3,4423	3,4423	3,4561	3,4729	3,4628	3,4069	3,4174	3,4174
1 აზერბაიჯანული მანათი	1,6073	1,6073	1,6070	1,6066	1,6065	1,6064	1,6066	1,6066	1,6066	1,6063	1,6057	1,6057	1,6059	1,6051	1,6051
1 ბელარუსული რუბლი	0,9121	0,9121	0,9122	0,9107	0,9119	0,9142	0,9103	0,9103	0,9103	0,9113	0,9116	0,9128	0,9149	0,9112	0,9112
10 თურქმენული მანათი	7,8097	7,8097	7,8080	7,8060	7,8057	7,8051	7,8043	7,8043	7,8043	7,8031	7,8017	7,8017	7,8003	7,7989	7,7989
10 მოლდოვური ლეი	1,5759	1,5759	1,5771	1,5834	1,5829	1,5814	1,5823	1,5823	1,5823	1,5828	1,5824	1,5818	1,5889	1,5951	1,5951
1000 სომხური დრამი	7,1062	7,1062	7,1059	7,1074	7,1146	7,1161	7,1187	7,1187	7,1187	7,1182	7,1197	7,1159	7,1170	7,1169	7,1169
10 ტაჯიკური სომონი	2,6790	2,6790	2,6957	2,7044	2,7070	2,7068	2,7065	2,7065	2,7065	2,7061	2,7089	2,7060	2,7024	2,7502	2,7502
1000 უზბეკური სუმი	0,2137	0,2137	0,2133	0,2125	0,2129	0,2138	0,2128	0,2128	0,2128	0,2148	0,2154	0,2159	0,2149	0,2139	0,2139
10 უკრაინული გრივნა	0,6581	0,6581	0,6560	0,6559	0,6584	0,6589	0,6597	0,6597	0,6597	0,6575	0,6569	0,6577	0,6576	0,6584	0,6584
100 ყაზახური ტენგე	0,5347	0,5347	0,5343	0,5335	0,5354	0,5356	0,5355	0,5355	0,5355	0,5372	0,5371	0,5362	0,5342	0,5323	0,5323
100 ყირგიზული სომი	3,1301	3,1301	3,1295	3,1287	3,1285	3,1310	3,1307	3,1307	3,1307	3,1302	3,1296	3,1296	3,1291	3,1285	3,1285
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,5285	1,5285	1,5241	1,5267	1,5320	1,5388	1,5392	1,5392	1,5392	1,5417	1,5399	1,5359	1,5335	1,5167	1,5167
1 ბრაზილიური რიალი	0,4823	0,4823	0,4775	0,4816	0,4845	0,4846	0,4888	0,4888	0,4888	0,4912	0,4912	0,4898	0,4931	0,4929	0,4929
10 კატარული რიალი	7,4990	7,4990	7,4974	7,4949	7,4944	7,4944	7,4936	7,4936	7,4936	7,4919	7,4909	7,4909	7,4890	7,4870	7,4870
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,9815	1,9815	1,9868	1,9882	2,0038	2,0124	2,0123	2,0123	2,0123	2,0161	1,9969	1,9896	2,0178	1,9912	1,9912

უცხოური ვალუტის კურსები

ივნისის თვის აშშ დოლარის საშუალო კურსი: **1 USD=2,7288** ლარი.

ვალუტა	ივნისი, 2025 წელი															
	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
1 ბულგარული ლევი	1,6061	1,6157	1,6132	1,6041	1,5997	1,6071	1,6071	1,6071	1,5983	1,6156	1,6165	1,6324	1,6302	1,6302	1,6302	1,5834
10 დანიური კრონი	4,2100	4,2375	4,2302	4,2062	4,1943	4,2140	4,2140	4,2140	4,1898	4,2358	4,2380	4,2794	4,2732	4,2732	4,2732	4,1518
1 ევრო	3,1401	3,1602	3,1553	3,1373	3,1287	3,1435	3,1435	3,1435	3,1254	3,1599	3,1619	3,1925	3,1882	3,1882	3,1882	3,0969
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,6937	3,7073	3,6982	3,6686	3,6632	3,6795	3,6795	3,6795	3,6479	3,7079	3,7063	3,7439	3,7376	3,7376	3,7376	3,6846
100 ისლანდიური კრონი	2,1779	2,2008	2,1948	2,1847	2,1847	2,2044	2,2044	2,2044	2,1857	2,2189	2,2234	2,2420	2,2450	2,2450	2,2450	2,1475
100 სერბიული დინარი	2,6803	2,6959	2,6915	2,6763	2,6693	2,6815	2,6815	2,6815	2,6664	2,6954	2,6977	2,7237	2,7206	2,7206	2,7206	2,6417
10 ნორვეგიული კრონი	2,7399	2,7574	2,7598	2,7414	2,7102	2,7127	2,7127	2,7127	2,6756	2,6989	2,6840	2,7076	2,7049	2,7049	2,7049	2,6882
10 პოლონური ზლოტი	7,3400	7,4092	7,3782	7,3417	7,3159	7,3663	7,3663	7,3663	7,3079	7,4216	7,4407	7,5200	7,5265	7,5265	7,5265	7,2827
10 რუმინული ლეი	6,2401	6,2842	6,2756	6,2357	6,2185	6,2318	6,2318	6,2318	6,1957	6,2556	6,2533	6,2971	6,2776	6,2776	6,2776	6,1183
100 უნგრული ფორინტი	0,7787	0,7875	0,7833	0,7773	0,7762	0,7806	0,7806	0,7806	0,7737	0,7862	0,7881	0,7989	0,7987	0,7987	0,7987	0,7673
10 შვედური კრონი	2,8605	2,8842	2,8811	2,8454	2,8270	2,8271	2,8271	2,8271	2,7997	2,8550	2,8617	2,8843	2,8735	2,8735	2,8735	2,8507
1 შვეიცარიული ფრანკი	3,3533	3,3681	3,3587	3,3377	3,3341	3,3400	3,3400	3,3400	3,3301	3,3615	3,3790	3,4035	3,4109	3,4109	3,4109	3,3160
10 ჩეხური კრონა	1,2652	1,2748	1,2720	1,2646	1,2611	1,2663	1,2663	1,2663	1,2568	1,2740	1,2765	1,2893	1,2878	1,2878	1,2878	1,2433
1 აშშ დოლარი	2,7296	2,7288	2,7283	2,7276	2,7270	2,7268	2,7268	2,7268	2,7260	2,7252	2,7248	2,7242	2,7236	2,7236	2,7236	2,7334
1 კანადური დოლარი	2,0016	2,0115	2,0120	1,9962	1,9888	1,9904	1,9904	1,9904	1,9767	1,9864	1,9843	1,9906	1,9936	1,9936	1,9936	1,9789
1 ავსტრალიური დოლარი	1,7650	1,7795	1,7827	1,7713	1,7641	1,7697	1,7697	1,7697	1,7397	1,7738	1,7695	1,7819	1,7791	1,7791	1,7791	1,7559
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5487	0,5428	0,5443	0,5390	0,5384	0,5382	0,5382	0,5382	0,5380	0,5445	0,5460	0,5460	0,5458	0,5458	0,5458	0,5497
1 თურქული ლირა	0,0692	0,0693	0,0692	0,0690	0,0689	0,0687	0,0687	0,0687	0,0686	0,0687	0,0685	0,0685	0,0683	0,0683	0,0683	0,0697
100 იაპონური იენი	1,8920	1,8945	1,8855	1,8833	1,8724	1,8755	1,8755	1,8755	1,8424	1,8783	1,8699	1,8901	1,8830	1,8830	1,8830	1,8995
10 არაბეთის გაერთიანებული საამიროების დირჰამი	7,4329	7,4306	7,4288	7,4271	7,4259	7,4251	7,4251	7,4251	7,4227	7,4206	7,4195	7,4178	7,4162	7,4162	7,4162	7,4419
10000 ირანული რიალი	0,6499	0,6497	0,6496	0,6494	0,6493	0,6492	0,6492	0,6492	0,6490	0,6489	0,6488	0,6486	0,6485	0,6485	0,6485	0,6508
10 ისრაელის შეკელი	7,5667	7,7026	7,7865	7,7862	7,8243	7,8370	7,8370	7,8370	7,8484	8,0014	7,9906	8,0256	8,0487	8,0487	8,0487	7,7835
1 სინგაპურული დოლარი	2,1255	2,1324	2,1295	2,1225	2,1172	2,1227	2,1227	2,1227	2,1081	2,1279	2,1276	2,1381	2,1341	2,1341	2,1341	2,1176
1 ქუვეითური დინარი	8,9173	8,9206	8,9131	8,9050	8,9001	8,9053	8,9053	8,9053	8,8969	8,9117	8,9075	8,9114	8,9036	8,9036	8,9036	8,9094
10 ჩინური იუანი	3,7998	3,8006	3,7984	3,7945	3,7943	3,7975	3,7975	3,7975	3,7924	3,7987	3,7984	3,7991	3,7975	3,7975	3,7975	3,7995
10 ჰონკონგური დოლარი	3,4774	3,4763	3,4757	3,4747	3,4739	3,4737	3,4737	3,4737	3,4726	3,4716	3,4711	3,4704	3,4696	3,4696	3,4696	3,4855
100 ინდური რუპია	3,1707	3,1706	3,1634	3,1543	3,1441	3,1490	3,1490	3,1490	3,1423	3,1698	3,1650	3,1783	3,1860	3,1860	3,1860	3,1939
1 ახალზელანდიური დოლარი	1,6372	1,6504	1,6561	1,6431	1,6297	1,6353	1,6353	1,6353	1,6059	1,6438	1,6401	1,6517	1,6494	1,6494	1,6494	1,6288
100 რუსული რუბლი	3,4174	3,4651	3,4711	3,4814	3,4745	3,4821	3,4821	3,4821	3,4717	3,4691	3,4828	3,4779	3,4609	3,4609	3,4609	3,4746
1 აზერბაიჯანული მანათი	1,6051	1,6056	1,6049	1,6039	1,6036	1,6034	1,6034	1,6034	1,6030	1,6025	1,6023	1,6028	1,6025	1,6025	1,6025	1,6073
1 ბელარუსული რუბლი	0,9112	0,9142	0,9161	0,9181	0,9183	0,9162	0,9162	0,9162	0,9153	0,9182	0,9154	0,9178	0,9196	0,9196	0,9196	0,9121
10 თურქმენული მანათი	7,7989	7,7966	7,7951	7,7931	7,7914	7,7909	7,7909	7,7909	7,7886	7,7863	7,7851	7,7834	7,7817	7,7817	7,7817	7,8097
10 მოლდოვური ლეი	1,5951	1,5911	1,5936	1,5904	1,5820	1,5864	1,5864	1,5864	1,5858	1,5925	1,5963	1,6015	1,6054	1,6054	1,6054	1,5759
1000 სომხური დრამი	7,1169	7,1079	7,1112	7,1053	7,1016	7,1010	7,1010	7,1010	7,0713	7,0618	7,0728	7,0713	7,0717	7,0717	7,0717	7,1062
10 ტაჯიკური სომონი	2,7502	2,7353	2,7297	2,7564	2,7544	2,7599	2,7599	2,7599	2,7591	2,7589	2,7593	2,7587	2,7579	2,7579	2,7579	2,6790
1000 უზბეკური სუმი	0,2139	0,2146	0,2153	0,2161	0,2160	0,2181	0,2181	0,2181	0,2196	0,2188	0,2176	0,2166	0,2153	0,2153	0,2153	0,2137
10 უკრაინული გრივნა	0,6584	0,6566	0,6569	0,6544	0,6544	0,6512	0,6512	0,6512	0,6504	0,6524	0,6538	0,6548	0,6533	0,6533	0,6533	0,6581
100 ყაზახური ტენგე	0,5323	0,5321	0,5259	0,5255	0,5243	0,5212	0,5212	0,5212	0,5219	0,5257	0,5253	0,5252	0,5234	0,5234	0,5234	0,5347
100 ყირგიზული სომი	3,1285	3,1267	3,1261	3,1195	3,1188	3,1186	3,1186	3,1186	3,1235	3,1199	3,1227	3,1221	3,1219	3,1219	3,1219	3,1301
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,5167	1,5360	1,5300	1,5076	1,5112	1,5111	1,5111	1,5111	1,5061	1,5382	1,5338	1,5427	1,5194	1,5194	1,5194	1,5285
1 ბრაზილიური რიალი	0,4929	0,4923	0,4967	0,4959	0,4964	0,4964	0,4964	0,4964	0,4944	0,4958	0,4944	0,4896	0,4962	0,4962	0,4962	0,4823
10 კატარული რიალი	7,4870	7,4848	7,4848	7,4827	7,4807	7,4799	7,4799	7,4799	7,4777	7,4776	7,4750	7,4732	7,4717	7,4717	7,4717	7,4990
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,9912	2,0066	1,9980	1,9843	1,9772	1,9929	1,9929	1,9929	1,9620	2,0041	1,9996	2,0093	2,0005	2,0005	2,0005	1,9815